

თემატიკური და თემის განვითარება

დამხმარე
სახელმძღვანელო



თემაზ გუშაობა
და თემის განვითარება

დამხმარე
სახელმძღვანელო

2012
თბილისი

თემთან მუშაობა და თემის განვითარება. დამხმარე სახელმძღვანელო

ნინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა თემის განვითარების საკითხებზე მომუშავე (ჰერა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით და მისი მიზანი, შეასრულოს ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს როლი დამწყები სათმო ჯგუფებისა და ინიციატივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თემის ლიდერებისათვის.

მომზადდა და გამოიცა EED-ის ფინანსური ხელშეწყობით.

© სათემო განვითარების კოალიცია

ავტორები: თეა გულუა (საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია); დათო დოლიძე, მანანა გიგაური (ბოლოგოურ მეურნეობათა ასოციაცია „ელეანა“); გიორგი შაშმელაშვილი, ანა მარგველაშვილი (კავკასიური სახლისათვემო განვითარების ცენტრი); ნინო თევზაძე, ნინო გაფრინდაშვილი (CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი); ნინო ვასაძე (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი); პავლე თვალიაშვილი (CTC - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი); ირაკლი ანანიძე, ნათა აფხაზავა (სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი); იულია ხარშვილი, ლინა ბერაა (იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“); ელისო რეხვიაშვილი (კავშირი „რეა“).

კონსულტანტი: ლევან აბაშიძე

პროექტის კოორდინატორი: ანა მარგველაშვილი

გარე ექსპერტი/რეცენზიტი: დავით ლოსაბერიძე

ლიტერატურული რედაქტორი: ნანა გამყრელიძე, ანა ჭაბაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება: მანანა გიგაური

ISBN

შინაარსი

შესავალი

ზრდასრულთა განათლება თემის განვითარებისათვის
თეა გულუა
(საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია)

ძალა ერთობაშია...

დათო დოლიძე, მანანა გიგაური
(ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“)

თანამშრომლობა ცვლილებებისათვის

გიორგი შაიშმელაშვილი, ანა მარგველაშვილი
(კავკასიური სახლი/სათემო განვითარების ცენტრი)

სათემო განვითარება და თემთან მუშაობა

ნინო თევზაძე
CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

თემთან მუშაობა - გზა განვითარებისაკენ

ნინო ვასაძე
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

თემის განვითარება

პავლე თვალიაშვილი
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)

ლიდერი – თემის სახე

ირაკლი ანანიძე, ნათია აფხაზავა
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

სათემო განვითარება

იულია ხარაშვილი, ლიანა ბერია
იძულებით გადადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“

სათემო განვითარება — „რეას“ პირველი ნაბიჯები

ელისო რეხვიაშვილი
კავშირი „რეა“

თემთან მუშაობა - გამოწვევები და პერსპექტივები

დავით ლოსაბერიძე
მშეიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

ტერმინთა განმარტებები

შენიშვნები

6

8



14



24

32

36

45

50

55

62

70

79

86





შესავალი

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა თემის განვითარების საკითხებზე მომუშავე ცხრა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით და მისი მიზანია შეასრულოს ერთოგარი დამხმარე სახელმძღვანელოს როლი დამტყები სათემო ჯგუფებისა და ინიციატივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თემის ლიდერებისათვის. ასევე, გაუზიაროს სათემო განვითარებაზე მომუშავე დაინტერესებულ პირებს საქართველოში დღემდე დაგროვილი, საკმაოდ მრავალფეროვანი გამოცდილება.

სახელმძღვანელოს არა აქვს საქართველოში არსებული სათემო განვითარების პრაქტიკის სრულად ასახვის პრეტეზია, რადგან მასში მხოლოდ ცხრა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის შედეგებისა თავმოყრილი. სწორედ ამ ორგანიზაციების ორნლიანი თანამშრომლობის შედეგად გახდა შესაბამისობა ნარმოდგენილი პუბლიკაციის მომზადება და გამოცემა.

ერთობლივი პუბლიკაციის მომზადების იდეა დაიბადა და სათემო განვითარების პროექტებზე მომუშავე, საქართველოს 14 არასამთავრობო ორგანიზაციის სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც 2010 წლის 12-13 მაისს ქ. სიღნაღმში შედგა. შეხვედრა პროექტში ჩართული ორგანიზაციების ინიციატივითა და გერმანული ორგანიზაცია EED-ის მსარდაჭერით გამამართა. შეხვედრის მონაცილეებმა განხილეს პრაქტიკულად ყველა ის ფუნდმენტური საკითხი, რომელიც ე.ნ. განვითარების პროექტების განხორციელებისას გეხვდება: თემის (რეგიონის) შერჩევის კრიტერიუმები, თემთან მუშაობის ძირითადი მიღებობები, რას ნიშნავს განვითარებული თემი, თემის განვითარების პროცესის შეფასების კრიტერიუმები, თანამშრომლობის კულტურა და ნდობა, როგორც სოციალური კაპიტალი საქართველოს რეგიონებში.

შეხვედრაზე დამსრუ იორგანიზაციები, უპირველესად, შეკვერდნენ თავად „თემის“ და „განვითარებული თემის“ „განმარტებული“:

თემი განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ამ ადამიანთა ერთობაა, რომლებიც საერთო სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პირობებში იმყო-

ფებიან და აქვთ მსგავსი ინტერესები, პრობლემები და საჭიროებები.

ხოლო განვითარებული თემის ძირითადი ნიშნები შემდეგნარად განისაზღვრა:

- ❖ თემში არსებობს სამოქალაქო ჯგუფი;
- ❖ თემში არსებობს ხედვა და განვითარების გრძელვადინი გეგმა/სტრატეგია;
- ❖ თემში გაცნობიერებული აქვს საკუთარი უფლებები, საჭიროებები და იცავს (ადვოკატირებას უწევს) მათ;
- ❖ თემს შესწევს უნარი განსაზღვროს პრობლემები და რეაგირება მოახდინოს მათზე.

დამხმარე სახელმძღვანელოში გაერთიანებული სტატიები მომზადებულია ორგანიზაციებში მომუშავე პრაქტიკოსების მიერ, რომლებიც ამასთანავე მდიდარ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ექსპერტიზს ფლობენ. სწორედ არსებული ცოდნის განზოგადებისა და კონსოლიდაციის გზით მომზადდა კრებულში შესტავი სტატიები. თითოეული მათგანი ასახავს თემში მუშაობის მეთოდოლოგიას, სპეციფიკურ მიღეო-მებს, განვითარების ნარმატებულ და ნარუმატებელ მაგალითებს. თემისა და განვითარებული თემის ზოგადი განსაზღვრებისას სტატიების ავტორები სილალში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე შეჯერებულ ვარიანტს ეყრდნობან, თუმცა, თითოეული ორგანიზაცია, საკუთარი სტრატეგიასა და სპეციფიკური ამოცანების მიხედვით, თავისივე თვალსაზრისით აზუსტებს ამ ზოგად დებულებებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ პუბლიკაციაში თავმოყრილი სტატიები დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს, გაეცნონ საქართველოში სათემო განვითარების პროექტების ისტორიის ერთ ნაწილს, ამ სფეროში არსებულ მეთოდოლოგიურ მრავალფეროვნებას, ტიპურ შეცდომებსა და შესაბამის შედეგებს და, რაც მთავარია, თემთან თანმიმდევრული მუშაობის თუ განვითარების პოზიტიურ მაგალითებსა და შედეგებს¹.

¹ პუბლიკაციის ავტორთა საერთო შეთანხმებით, სტატიებში არ სახელდება ის რეალური სოფლები, რომლებშიც განხორციელდა ესა თუ ის პროექტი. მთა აღსანიშნად გამოყენებული იქნება პირობითი ნიშანი N.





შესავალი

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა თემის განვითარების საკითხებზე მომუშავე ცხრა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით და მისი მიზანია შეასრულოს ერთგვარი დამტმარე სახელმძღვანელოს როლი დამტყები სათემო ჯგუფებისა და ინიციატივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თემის ლიდერებისათვის. ასევე, გაუზიაროს სათემო განვითარებაზე მომუშავე დაინტერესებულ პირებს საქართველოში დღემდე დაგროვილი, საკმაოდ მრავალფეროვანი გამოცდილება.

სახელმძღვანელოს არა აქვს საქართველოში არსებული სათემო განვითარების პრაქტიკის სრულად ასახვის პრეტეზია, რადგან მასში მხოლოდ ცხრა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის შედეგებისა თავმოყრილი. სწორედ ამ ორგანიზაციების ორნლიანი თანამშრომლობის შედეგად გახდა შესასლებელი წარმოდგენილი პუბლიკაციის მომზადება და გამოცემა.

ერთობლივი პუბლიკაციის მომზადების იდეა დაიბადა და სათემო განვითარების პროექტებზე მომუშავე, საქართველოს 14 არასამთავრობო ორგანიზაციის სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც 2010 წლის 12-13 მაისს ქ. სიღნაღმი შედგა. შეხვედრა პროექტში ჩართული ორგანიზაციების ინიციატივითა და გერმანული ორგანიზაცია EED-ის მსარდაჭერით გამამართა. შეხვედრის მონაცილეებმა განხილეს პრაქტიკულად ყველა ის ფუნდამენტური საკითხი, რომელიც ე.ნ. განვითარების პროექტების განხორციელებისას გეხვდება: თემის (რეგიონის) შერჩევის კრიტერიუმები, თემთან მუშაობის ძირითადი მიღომები, რას ნიშნავს განვითარებული თემი, თემის განვითარების პროცესის შეფასების კრიტერიუმები, თანამშრომლობის კულტურა და ნდობა, როგორც სოციალური კაპიტალი საქართველოს რეგიონებში.

შეხვედრაზე დამსრუ იორგანიზაციები, უპირველესად, შეკვერდნენ თავად „თემის“ და „განვითარებული თემის“ „განმარტებული“:

თემი განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ადამიანთა ერთობა, რომელმც საერთო სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პირობებში იმყო-

უფიან და აქვთ მსგავსი ინტერესები, პრობლემები და საჭიროებები.

ხოლო, განვითარებული თემის ძირითადი ნიშნები შემდეგნარად განისაზღვრა:

- ❖ თემში არსებობს სამუქალაქო ჯგუფი;
- ❖ თემში არსებობს ხედვა და განვითარების გრძელვადისი გეგმა/სტრატეგია;
- ❖ თემს გაცნობიერებული აქვს საკუთარი უფლებები, საჭიროებები და იცავს (ადვოკატირებს) მათ;
- ❖ თემს შესწევს უნარი განსაზღვროს პრობლემები და რეაგირება მოახდინოს მათზე.

დამსარე სახელმძღვანელოში გაერთიანებული სტატიები მომზადებულია ორგანიზაციებში მომუშავე პრატიკოსების მიერ, რომელებიც ამასთანავე მდიდარ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ექსპერტიზს ფლობენ. სწორედ არსებული ცოდნის განზოგადებისა და კონსოლიდაციის გზით მომზადდა კრებულში შესული სტატიები. თითოეული მათგანი ასახავს თემ-ში მუშაობის მეთოდოლოგიას, სპეციფიკურ მიდგო-მებს, განვითარების წარმატებულ და წარუმატებელ მაგალითებს. თემისა და განვითარებული თემის ზოგადი განსაზღვრებისას სტატიების ავტორები სილალში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე შეჯერებულ ვარიანტს ეყრდნობან, თუმცა, თითოეული ორგანიზაცია, საკუთარი სტრატეგიისა და სპეციფიკური ამოცანების მიხედვით, თავისივე თვალსაზრისით აზუსტებს ამ ზოგად დებულებებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ პუბლიკაციაში თავმოყრილი სტატიები დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს, გაეცნონ საქართველოში სათემო განვითარების პროექტების ისტორიის ერთ ნაწილს, ამ სფეროში არსებულ მეთოდოლოგიურ მრავალფეროვნებას, ტიპურ შეცდომებსა და შესაბამის შედეგებს და, რაც მთავრია, თემთან თანმიმდევრული მუშაობის თუ განვითარების პოზიტიურ მაგალითებსა და შედეგებს .

1 პუბლიკაციის ავტორთა საერთო შეთანხმებით, სტატიებში არ სახელდება ის რეალური სოფლები, რომლებშიც განხორციელდა ესა თუ ის პროექტი. მთა აღსანიშნად გამოყენებული იქნება პირობითი ნიშანი – N.



ზრდასრულთა განათლება თემის განვითარებისათვის

საქართველოს ზრდასრულთა
განათლების ასოციაცია
თემა გულუა

1. შესავალი



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის იდეის გარშემო ჩამოყალიბდა 2004 წელს და ზრდასრულთა განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები და ექსპერტები გააქრთიანა. ასოციაცია თვლის, რომ სწავლა სიბერულედ ახლებური ხარისხის მიმნიჭებული სიკეთეა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის, კონკრეტული თემის, არამედ ერთი დიდი თემის, ანუ მთელი საზოგადოების ცხოვრებისა და ნინსვლისათვის.

ასოციაციის მისაა – „შეიქმნას და განვითარდეს ზრდასრულთა განათლების სისტემა საქართველოში, რომელიც შეესაბამება ქართულ რეალობას და ქვეყანაში განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს. ასოციაციის მიზანია, ხელი შეუწყოს განათლების თანაბაზრ ხელმისაწვდომობას ყველასათვის, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, საცხოვრებელი ადგილისა, ეთნიკური და რელიგიური კუთხით და მიმართ მიმართავად ასოციაცია შემდგენ სტრატეგიული მიმართულებებით წარმართავს თავის მუშაობას:

- * იდეის – „სწავლა სიბერულედ“ – ანუ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპისა და კონცეფციის აქტიური საინიციატივური პროცესისათვის;
- * ზრდასრულთა განათლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ყველა ტიპის ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ხელშეწყობა;
- * საქართველოში არსებული „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ სისტემის წინაშე არსებული გამოწვევების მიმღებ ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დარგის პროფესიონალების ძლიერი ქადაგის შექმნა, ორგანიზაციებისა და მათი წევრების შესაძლებლობათა განვითარების ხელშეწყობა.

ასოციაცია, როგორც ზრდასრულთა განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციისა და ექსპერტების საზოგადოებრივი გაერთიანება, თავისი არსებობის მეშვიდე წელს ითვლის. დღეისათვის ჩვენი საზოგადოებრივი გაერთიანების წევრია 50-ზე მეტი ორგანიზაცია თუ ფიზიკური პირი. ასოციაციას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჰყავს წევრი ორგანიზაციები, ასევე, ურთიერთობს საქართველოში მოქმედ სათემო ორგანიზაციებთან. ეს ორგანიზაციები ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობენ მოსახლეობას. ასევე აღსანიშნავია, რომ ასოციაციას დღეისათვის მოიაზრებენ ქვეყანაში მოქმედ ერთადერთ პროფესიულ გაერ-

თიანებად, რომელიც სწორედ ამგვარი ნიშნით მომსახურებას სთავაზობს თავის წევრებს.

რაც შეეხება ასოციაციის წევრ სათემო ორგანიზაციებს, ისინი თავიანთი საქმიანობითა და სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებით ხელს უწყობენ განათლების ყველასათვის ხელმისაწვდომობას; ეს კი თემის განვითარებას ემსახურება. მათ მიერ ორგანიზებული სწავლება მიმდინარეობს უშუალო და არაფორმალურ გარემოში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ, ვისი განათლებაც არ ითვლება სკოლების, პროფესიული ან უმაღლესი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების პრიორიტეტად.

დაარსების დღიდანვე ასოციაციის მიზანი იყო შეექმნა სათემო ორგანიზაციების ქსელი, რომელშიც გაერთიანდებოდა საქართველოში არსებული ზრდასრულთა სათემო განათლების ცენტრების დიდი უმრავლესობა. ასოციაცია დღესაც ამ მიზნის მიმდევარია: მას სურს ხელი შეუწყოს ზრდასრულთა სათემო განათლების იდეისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიის პოპულარიზებას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა 2009 წელს, ასოციაციასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე: „ზრდასრულთა განათლების სტრატეგია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცექსტში“.

ამ სტრატეგიის თანახმად მოქალაქეებისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საშუალებების უზრუნველყოფა ქვეყნის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს წინაპირობად განისაზღვრა. დღეისათვის ხომ უკვე ცხადებული ცხადია, რომ თანამედროვე ეპიქაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის გარეშე წარმატება წარმოუდგენელია.

იდეის განვითარებისა და ამ სფეროში მოღვაწეთა წარმატებების მიზნით ასოციაციამ 2010 წლიდან დაარსა ზრდასრულთა ქართველი განმანათლებლის – ანასტასია თუმანიშვილის სახელობის პრიზი – „ანასტასია“.

ზრდასრულთა განათლებაში შეტანილი განსაკუთრებული და გამორჩეული წვლილისათვის პრიზი ყოველწლიურად გადაცემა ერთ პიროვნებასა და ერთ ორგანიზაციას. გასული საუკუნის კეთილშობილი ქართველი ქალბატონი მიიჩნევდა, რომ „ერის წინსვლის ერთ-ერთი პირობა საფუძვლიანი სწავლა-განათლების სისტემის ჩამოყალიბება, რისთვისაც საჭირო ყველასთვის სწავლა-განათლების მიღების უზრუნველყოფა“. პირველი პრიზები გადაეცათ ლექსო ხუბულავასა და ფონდს „ტასო“. ლექსო ხუბულავას სახოგადოება იცნობს, როგორც ჯობს.გე-ს დამფუძნებელსა და დირექტორს. ჯობს.გე ვებ-გვერდია, სადაც ქვეყნდება განცხადებები ვაკანსიების, ტრენინგების, გაცვლითი პროგრამების, გრანტებისა და ტეხნერების შესახებ. დღისათვის ქვეყნაში ჯობს.გე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინტერნეტ-გვერდია დამატებითი განათლების მიღებისა და დასაქმების მსურველთა შორის. რაც შეეხება ფონდს „ტასო“, ის ქალთა მოძრაობის განვითარების საჭიროებისა და ქვეყნაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ხელს უწყობს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ მიერ დაარსებულ საინიციატივო კეგუფებსა და ორგანიზაციებს. ფონდი რეალურად ეხმარება თვითრეალიზებასა და ცხოვრებაში დამტკიცებები იმ ადამიანებს, რომელთაც ასაკის მიუხედავად საზოგადოების თანადგომა და მხარდაჭერა კვლავაც სჭირდებათ.



“ანასტასიას” წომინანტები: მარინა თაბუკაშვილი (ფონდი „ტასო“) და ლექსო ხუბულავა (ჯობს.გე)



ასოციაციის მიერ დაწესებული ზრდასრულთა ქართველი განმანათლებლის, ანასტასია თუმანიშვილის სახელობის პრიზით “ანასტასია” დაჯილდოების ცერემიანიალიეროვნულ ბიბლიოთეკაში

2] მიღებობა, ხელვა, მიზნობრივი ჯგუფი

ასოციაციის მისიდან, მისი მიზნიდან, სტრუქტურიდან და საქმიანობის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში თემს მისი ორი სხვადასხვა მნიშვნელობით მოვიაზრებთ.

თემი, ცხადია, თავად ტერმინის პირველადი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვგულისხმობთ ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ერთ გეოგრაფიულ სივრცეშია დასახლებული. თუმცა, ამავე დროს ზრდასრულთა განათლებაში მოღვაწე გარკვეული სტრუქტურული ერთეულებისა თუ პირების ერთობასაც ჩვენს თემად მოვიაზრებთ. თუკი პირველ შემთხვევაში ჩვენი თემი ეალაქისა თუ სოფლის ადამიანთა ჯგუფია, მეორე შემთხვევაში ეს არის ქსელი, რომელიც საერთო მიზნებისა და პრობლემატიკის მქონე ჯგუფების ერთობას ნარმოადგენს.

ჩვენ მიერ აღიარებული მიღებომა გულისხმობს, რომ არაფორმალურმა განათლებამ ზრდასრულები უნდა უზრუნველყოს სწავლის იმგვარი გამოცდილებით, რომ მათ შეძლონ საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობა. ასევე ვიზიონებთ იმ მოსაზრებას, რომ საგანმანათლებლო საჭიროება მნიშვნელოვანილად მომდინარეობს ზრდასრულთა პირადი, ოჯახური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური საჭიროებებიდან. უზრო ფართო გაგებით კი იგულისხმება, რომ საგანმანათლებლო საჭიროება ადრე ნასავლის ერთგვარი უკმარისობაა, რაც მოითხოვს შესაბამის რეაგირებას. ამგვარად მიმართულმა სწავლებამ ადამიანის არსებულ სტატუსა და მის სასურველ თუ საჭირო უფრო მაღალ სტატუსს შორის განსხვავება უნდა დაფაროს.

ჩვენ ვთვლით, რომ საგანმანათლებლო საჭიროებები ცვლის ადამიანს, მის სწავლასა და მის ქცევას, რამდენადაც ისინი შემეცნებით ზრდას, უნარ-ჩვევათა დახვეწა-ათვისებას, დამოკიდებულებებისა და ლირებულებების ცვლას გულისხმობს.

თემის განვითარებისათვის კი მხარს უჭერთ საგანმანათლებლო საჭიროებების იმგვარ სწავლებაზე აქცენტის გაკეთებას, რომელიც სოციალურ ცვლილებას უკავშირდება, რადგან ვთვლით, რომ ზრდასრულთა განათლება თემის განვითარებისაც მიმართული საქმიანობაა.



ჩვენ ვიზიარებთ **ხედვას**, რომ ზრდასრულთა განმანათლებელი შესაძლოა დაეხმაროს უსახლეკარო ადამიანს, მაგრამ იყი ყველა უსახლეკაროს სახლით ვერ დააკმაყოფილებს. უსახლეკარო ადამიანს სახლი სჭირდება, თუმცა მას არანაკლებ სჭირდება – იცოდეს, თუ როგორ უნდა მოიპოვოს სახელმწიფო თუ სხვა ტიპის საცხოვრებელი. ზრდასრულთა განმანათლებელი შესაძლოა მუშაობდეს კოორდინირებულად სხვა სფეროს პროფესიონალებთან და მოახდინოს ამა თუ იმ ამოცანის გადამისამართება. მისი ვალია, ზეგავლენა მოახდინოს კლიენტთა საგანმანათლებლო საჭიროებებზე და არ ემსახურებოდეს მხოლოდ უკიდურეს საჭიროებებს, რადგან ცხობილი ჭეშმარიტება, რომ მშიერ ადამიანს არ უნდა მისცე თევზი, მას უნდა მისცე ანკესი. ზრდასრულთა განათლება სწორედ ასეთი ანკესია.

ზრდასრულებზე, როგორც მიზნობრივ ჯგუფზე საუბრისას, ალბათ, უპრიანია ალვნიშნოთ, თუ ვის მივიჩნევთ ჩვენ ზრდასრულად. 15 წელს მიღწეული პიროვნება ჩვენს სახელმწიფოში უკვე ქმედუნარიანად განიხილება, რადგან საქართველოს ფორმალური განათლების სისტემაში ამ ასაქში მოქალაქე ასრულებს სავალდებულო საბაზო განათლებას (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-9 კლასი).

3. გამოცდილება

გამოცდილება, რომელიც დღემდე აქვს ასოციაციას ე.ნ. ორივე თემთან მუშაობისას, ცხადია, ეყრდნობა ჩვენს ხედვასა და მიდგომას. გვაქვს პროექტები, რომლებსაც მივმართავთ ასოციაციის ნევრებისაგან შემდგარი თემის განვითარებაზე და ასევე კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მოქცეულ თემზე. რას ვაკეთებთ ჩვენ საამისოდ?

3.1. ასოციაციური ცხოვრების განვითარება

საქართველოში ზრდასრულთა განათლების ე.ნ. თემის განვითარებისათვის, მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის და ზრდასრულთა განათლების ეფექტურად მიწოდების მიზნით, მიგვაჩინა, რომ აუცილებელია პროფესიონალური შესაძლებლობების



ასოციაციის საგრანტო კონკურსის პროექტი ბუდალტრებისათვის სათემო ორგანიზაციაში „გულგულა“

გაძლიერება. ამ მიზნით ასოციაცია მოწოდებულია შეიძულოს სხვადასხვა სახის დოკუმენტები. 2010 წელს მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტი: „დასაქმება და ზრდასრულთა განათლების მუნიციპალური პროგრამები საქართველოში“. ამ დოკუმენტს ჩვენ სწორედ იმ „ინსტრუმენტად“ მოვაზრობთ, რომელიც ასოციაციის წევრთა პროფესიულ შესაძლებლობებს გააძლიერებს.

სტატიის მიზანია, საქართველოში ზრდასრულთა არაფორმალური განათლების საკითხის აქტუალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების როლისა და უფლებამოსილების ხაზებასმა ამ სფეროში. დოკუმენტი განკუთვნილია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური და აღმასრულებელი რგოლების უმაღლესი თანამდებობის პირთათვის, ასევე თვითმმართველობის განვითარების საკითხებზე მომუშავე, ზრდასრულთა განათლების და ზრგადად განათლების სფეროში მოღვაწე სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ესპერტებისათვის.

დოკუმენტი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ეძღვნება საქართველოს თვითმმართველი ერთეულების როლს ზრდასრულთა განათლების სფეროში - პოლიტიკის, კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზს. ამ ნაწილში მიმოხილულია ზრდასრულთა განათლების საკითხები საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ და სტრატეგიულ დოკუმენტებში; ზრდასრულთა განათლების სფეროში თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლები; საქართველოს თვითმმართველი ერთეულების გამოცდილება ზრდასრულთა განათლების მხარდაჭერის სფეროში. მეორე ნაწილი მიმოხილავს გერმანიისა და ფინეთის გამოცდილებას ზრდასრულთა განათლების სფეროში, ხოლო დასკვნითი ნაწილი შეიცავს სარეკომენდაციო წინადაღებებს.

ზრდასრულთა განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების არცთუ იოლ გზაზე პროფესიული შესაძლებლობების განვითარებას ემსახურება აგრეთვე ასოციაციის ნევრებისათვის წამოწყებული მცირე საგრანტო პროგრამა (10'000 ევრო) სახელწოდებით: „ინოვაცია ზრდასრულთა განათლებაში“. უკვე მეორე წელია, რაც ასოციაცია ამ პროგრამას ახორციელებს. პროგრამაში პრიორიტეტი ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციებს რეგიონებიდან.



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია

ასოციაციის მიერ 2010 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 4 პროექტი, ხოლო 2011 წელს - 5 პროექტი. საგრანტო პროგრამის განხორციელებისას მიღებულმა გამოცდილებამ და შედეგებმა გვიჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია იმ მცირე პროექტთა დაფინანსება, რომლებიც, ერთი მხრივ, ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების განვითარებასა და ლობირებაზე მიმართული და მეორე მხრივ - აძლიერებს თავად ასოციაციას, როგორც თემას.

2010 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში ქალქ N-ში განხორციელდა პროექტი, რომელმაც მიზნად დაისახა დაერიცერესებინა თვითმმართველობა ადგილობრივ ზრდასრულთა განათლებით, აემაღლების მათი ცნობიერება და ლობირება გაეწია ამ მიმართულებით.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო „საინფორმაციო შტურმი“ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მსოი შესაბამისი სამსახურების ინფორმირებისთვის ზრდასრულთა სათემო განათლების შესახებ საქართველოში და, კონკრეტულად, რეგიონში.

პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ინფორმირების მიზნით, ჩატარდა შეხვედრები მუნიციპალიტეტების საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომებთან და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეებთან; ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან; ასევე, გაიმართა დიდი წარმომადგენლობითი საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ 17-დან 24-ლამდე ახალგაზრდებთან, პროექტის პოტენციურ ბენეფიციარებთან.

პროექტის ფარგლებში პირველად მიეწოდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ინფორმაცია ზრდასრულთა სათემო განათლების შესახებ. შესაბამისად, აქტუალური

გახდა საუპარი ადგილობრივი თვითმმართველობის როლსა და პასუხისმგებლებებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

გაიზარდა მუნიციპალიტეტის ინტერესი ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ზრდასრული ახალგაზრდების პრობლემებისადმი. გამოითქვა სურვილი, გააქტიურდნენ ამ მიმართულებით და იზრუნონ მათზე - სხვადასხვა ტრენინგ-კურსების ორგანიზებითა და შეთავაზებით, პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის გზით.

ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, კერძო და საჯარო სკოლების ადმინისტრაციებს პირველად მიეწოდათ ინფორმაცია ზრდასრულთა სათემო განათლების პროგრამის შესახებ. გაიზარდა მათი პასუხისმგებლობა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების მიმართ; აგრეთვე, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ზრდასრულების მიმართ, რათა მათ განივთარონ პიროვნული საკვანძო კომპტენციები.

სკოლების უმრავლესობამ გამოითქვა სურვილი, ითანამშრომლოს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან, რათა დაიგეგმოს სამომავლო შეხვედრები სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის დამატებითი ტრენინგ-კურსების შეთავაზების მიზნით; განსაკუთრებით მათთვის, ვისაც რიგი მიზეზების გამო არ შეუძლია სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ საფეხურზე.

მუნიციპალიტეტის მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ შესაბამისმა სამსახურმა აიღოს პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ზრდასრულთა სათემო განათლების უფრო შედეგიანად წარმართვაზე, ამ საქმეში კონკრეტული ადამიანების ან შესაბამისი სამსახურის აქტიურად ჩართვაზე.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ პირველად გაიგო ზრდასრულთა არაფორმალური სათემო განათლების შესახებ; ის, რომ მათთვის შესაძლებელია არაფორმალური განათლების მიღება ადგილზე; რომ ფორმალური განათლების მიღების გარეშეც შეიძლება იყოს საზოგადოებრივად აქტიური, კონკურენ-



ასოციაციის საგრანტო კონკურსის პროექტი: პიროვნული განვითარების პროგრამა ახალგაზრდებისათვის - საქართველოს სამოქალაქო განათლების ასოციაცია (ლაგოდეხი) - სერტიფიკატის გადაცემა



საერთაშორისო კონფერენცია: „ზრდასრულთა განათლება და საზოგადოების ტრანსფორმაცია“

ტუნარიანი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში, გაიადვილოს სოციალური ურთიერთობები, შეიქმნას თანასწორი შესაძლებლობები და გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი.

ამავე საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი, რომელსაც **ნეგატიურ გამოცდილებად** განვითარავთ. **M** რეგიონში განხორციელებული პროექტი მიზნად ისახავდა ერთ-ერთი ძველი ქართული ტრადიციული საქმიანობის აღდეგნას. პროექტის ძირითად პროდუქტად უნდა ქცეულიყო თანამედროვე ტექნოლოგიით მომზადებული ვიზუალური მასალა. სწორედ ამ მასალით უნდა გაძლიერებულიყო ზრდასრულთა სწავლება-კონსულტირება. გადაღებულ იქნა ფოტო და ვიდეომასალა - უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება ფერმერულ მეურნეობაში. დამზადდა და დისკებზე ჩაიწერა ვირტუალური გაკეთილების ელექტრონული ვერსია. პროექტის შედეგად ჩვენ მივიღეთ მხოლოდ და მხოლოდ ერთჯერადი პროდუქტი მისი პრაქტიკული გამოყენების გარეშე. ვფიქრობთ, რომ რესურსი, რომელიც საქართველოში ამ დარგის აღორძინებას სჭირდება, და რესურსი, რომელიც ჩვენ გავიღეთ საამისოდ, ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. ამზიციურმა მიზანმა ამ შემთხვევაში არ გაამართლა.

3.2 „გეოგრაფიული“ თემის განვითარება

ჩვენს ასოციაციას მიეცა შანსი, თავადაც ყოფილიყო მონაწილე იმ პროცესისა, რომელიც მის მიერ ადვოკატირებული და ღობირებული იდეის - **სწავლა სიბრუნვეში** - პრაქტიკაში განხორციელებას დაუკავშირდა.

2006-2008 წლებში ასოციაცია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანულ ასოციაციასთან (dvn international) ერთად მონაწილეობდა ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაფუძნებაში ევროკავშირის პროექტით: „ზრდასრულთა განათლების ცენტრები სამცხე-ჯავახეთში - ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის შანსი“.

ზრდასრულთა მულტიპროფილური განათლების ცენტრები, პირველ რიგში, ეთნიკურ უმცირესობათა



სახელობო კურსი ზრდასრულთათვის

სამოქალაქო ინტეგრაციას ემსახურებოდა. პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ აგრეთვე სოციალურად დაუცელი მოქალაქეები.

დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობა ორ წლის მანძილზე ესწრებოდა სახელმწიფო ენის, პროფესიული მომზადებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამების კურსებს.

აღსანიშნავია, რომ შენობები, რომლებშიც ზრდასრულთა განათლების ცენტრები განთავსდა, შეძენილი იქნა და ამით მათ სტაბილურობას კარგი საფუძველი ჩაეყარა.

ევროკავშირის პროექტის დასრულების შემდეგ სამცხე-ჯავახეთის ზრდასრულთა განათლების ცენტრები ასოციაციის საკუთრებაა და იმართება მის მიერ.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის მიზნად კვლავაც რჩება ყმაწვილებსა და ზრდასრულებში იმ პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც დაეხმარება მათ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში უკეთ თვითრეალიზებაში.

ასოციაციის ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრებში უკვე მესამე წელია ცხადდება კონკურსი პიროვნული განვითარების ინდივიდუალურ პროგრამაში მონაწილეობისათვის.

ინდივიდუალური განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს, რომლებიც წინასწარ გაივლიან რეგისტრაციას, უტარდება გასაუბრება. ამასთან, პრიორიტეტი ენიჭება უმუშევრებს ან დაბალი შემოსავლის მქონე პირებს, საკუთარი ბიზნესის წამოწყების, ახალი პროფესიისა და საჭირო პიროვნული უნარ-ჩვევების შეძენის მსურველებს. პროგრამაში მონაწილეთა უნარ-ჩვევების და მიღებების გათვალისწინებით ვცდილობთ შევადგინოთ ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები.

მსმენელებს აქვთ არჩევანი შემდეგ პროფესიულ კურსებს შორის: მცირე ბიზნესი, მარკეტინგი, ფინანსური მენეჯმენტი, ოფისის მენეჯმენტი, საქმიანი ქართული/ფრანგული ენერგეტიკური წერა, ტურიზმის მენეჯმენტი (გიდობა) და სხვადასხვა დონის კომპიუტერული კურსები. შეთავაზებულია აგრეთვე ხელობათა კურსები: თექა, ხალიჩების ქსოვა, კერვა, ხის მხატვრული დამუშავება. პროექტების მენეჯმენტი, სამუშაოს მოძიების ტექნიკა, ეფექტური კომუნიკაცია და ლიდერობა — ის ტრენინგებია, რომლებიც პიროვნული განვითარების პროგრამას ავსებს.

ზემოთ ჩამოთვლილი კურსებიდან და ტრენინგებიდან მონაწილეობის მსურველები ირჩევენ მათთვის სასურველს, ხოლო გასაუბრების შემდეგ, პროგრამაში მოხვედრისას იხდიან კურსის საფასურის მხოლოდ 10%-ს, 90% იფარება გრანტით.

რეგიონის ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის პიროვნული განვითარების პროგრამაში მონაწილეობა და ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ახალი უნარ-ჩვევების შეძენა არის შესაძლებლობა, შეიძინონ ის პიროვნული საკვანძო კომპეტენციები, რომლებიც მათ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია

ჩვენ ვთვლით: რომ ასწავლო ადამიანს – მოერგოს ცვლილებას – ეს ის ამოცანაა, რომელიც დღეს განსაზღვრავს მომავალს. ისეთი ქვეყნისათვის კი, როგორიც საქართველოა, ინვესტიცია სოციალურ კაპიტალში (ადამიანურ რესურსებში) განვითარების მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესი დაბანდებაა. ამ ფაქტორისა და ასევე იმ მოვლენის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ყოველწლიურად სკოლის დამთავრების შემდეგ 20 000 — 25 000 ბავშვი ვერ ან არ აგრძელებს სწავლას, ახალციხესა და ახალქალაქში ამგვარი ცენტრების არსებობას ჩვენს წარმატებულ საქმიანობად განვიხილავთ.

4. დასკვნა

ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება იმ უცხოური ლიტერატურის მოძიება და შეძლებისდაგვარად ქართულ ენაზე თარგმნაცაა, რაც ჩვენს პრაქტიკას გამოცდილებით გაამდიდრებს. სწორედ ამიტომ 2009 წლის დასასრულს ასოციაციამ გამოსცა ამერიკელი ავტორის ედვინ ჰამილტონის წიგნი „ზრდასრულთა განათლება თემის განვითარებასათვის“.

ჩვენი ასოციაციისათვის ეს ნაშრომი არის ერთგვარი გამართლება, თუ რატომ ვირჩევთ ჩვენ ზრდასრულთა განათლებას თემის განვითარებისათვის. ჰამილტონი აღნიშნავს, რომ თემის განვითარება დამოკიდებულია ეფექტურ სოციალურ ქმედებებზე; ხოლო ეფექტური სოციალური ქმედება ითხოვს შესაბამისი ცოდნისა და უნარების შექმნასა და ქონას. აქვე აღნიშნავთ, რომ თემის განვითარებისათვის მიძლვნილი სხვა პუბლიკაციები თუ კვლევები ხაზს უსვამს ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების როლს. ჰამილტონი კი სწორედ საგანმანათლებლო მოდელს ქმნის თემში ცვლილებების მისაღწევად. მისი წიგნი ფოკუსირებულია არა ფორმალური, არამედ სწორედ არაფორმალური განათლების როლზე. მისი აზრით, ზრდასრულთა ეფექტური განათლების საშუალებით

მოქალაქეებს მეტი შანსი ეძლევათ, უკეთესი გახადონ თემი. არგუმენტი, რომელსაც ჩვენც ვიზიარებით ამ შემთხვევაში, ეფუძნება თეორიულ მოდელს, რომელიც აღიარებს მრავალი ზრდასრულის მოტივაციას – შეცვალოს თავისი გარემო და რომელიც ასევე ცნობს იმ ფაქტს, რომ მოტივაცია უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციას.



ასოციაციის მიერ გამოცემული პუბლიკაციები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია

ოთარ ჩხეიძის ქ. 5 (ყოფილი: ალ. ყაზბეგის გამზ. 34/3)
0177 თბილისი, საქართველო
(+995 32) 272 90 65

www.aeag.org.ge
aeag@gol.ge



ქალა ერთობაშია...

ბიოლოგიურ მეურნეობათა
ასოციაცია „ელკანა“
დათო დოლიძე, მანანა გიგაური



ადამიანთა ფიქრის ერთი საქებარი თვისება
მოვლენათა მიზეზების ძაებაა...
ვაჟა-ფშაველა

1. შესავალი

„ელკანა“

ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ დაფუძნდა 1994 წელს. ორგანიზაცია ფერმერთა გაერთიანებაა და მისი მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადი გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი სიტუაციის მდგრადი გაუმჯობესება ბიოაგრონარმობის სექტორის განვითარებისა და ამ სექტორში ჩართულ მხარეთა გააქტიურდის გზით.

ასოციაციის წევრობა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. ძირითადი პირობაა, რომ იგი დაინტერესებული იყოს საქართველოში მდგრადი ბიომეურნეობების განვითარებითა და გარემოს დაცვით. ჩვენი სამოქმედო პრინციპებია: ქვეყნის ტრადიციებს მისადაგებული თანამედროვე აზროვნება, სოფლის მოსახლეობის აქტიური ჩართვა ქვეყნის ცხოვრებასა და განვითარებაში, ზენობრიობა, გარემოსდაცვითი ეთიკა და პროფესიონალიზმი, თანამონაწილეობა სწავლასა და ქმედებაში.

ნინაისტორია

XX ს-ის 90-იან წლებში, როდესაც ჩვენმა ორგანიზაციამ მუშაობა დაიწყო, ყველასთვის კარგად ცნობილი მიზეზების გამო ქართული სოფლი არასახარბიელო მდგომარეობაში იყო: სანარმოო საშუალებების არქონასთან ერთად სოფლად მთლიანად მოშენილი იყო ინფრასტრუქტურა (გზები, საირიგაციო სისტემა, ხიდები და სხვ.). ამასთანავე, სოფლის მოსახლეობა განიცდიდა ინფორმაციისა და ცოდნის სრულ დეფიციტსაც - ქვეყანაში არ მუშაობდა რაიმე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც ფერმერებს დემარქობოდა კვალი-ფიციური სასოფლო-სამეურნეო რჩევებით, თანამედროვე ტექნოლოგიებით და უზრუნველყოფდა სოფლის მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ქვეყნის ცხოვრებაში.

ფერმერების დასახმარებელ ოპტიმალურ ვარიანტად რჩევებით მომსახურება მივიჩნიეთ და „ელკანაში“ შეიქმნა სამრჩევლო განყოფილება, რომელიც ბიოაგრონარმობის სფეროში კვალიფიციურ კონსულტაციებს უწევდა და დღესაც უწევს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ფერმერებს. ფერმე-

რებთან მჭიდრო თანამშრომლობისას, ბუნებრივია, ვეცნობოდით სოფლის საერთო პრობლემებსაც და გამოიკვეთა ერთი ტენდენცია: სოფლის წინაშე მრავალი პრობლემა იდგა, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელი იყო კოლექტიური ქმედებით, მაგრამ სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარეშე ხალხი ვერ ხედავდა საკუთარ შესაძლებლობებს და მოტივაციას, დახმარებას ისევ „გარედან“ ელოდებოდა და თავს უმწეოდ და დაუცველად გრძნობდა.

საზოგადოების წინსვლასა და განვითარებას, მისი წევრების - ადამიანების ცოდნა და უნარ-ჩვევები განსაზღვრავს. სილარიბის დაძლევა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება კი მხოლოდ „გარედან“ ჩარევით ვერ მოხერხდება — აუცილებელია თვით მოსახლეობის აქტიური, გაცნობიერებული მონაცილეობა. თითოეულ ადამიანს საშუალება უნდა მიეცეს, წვლილი შეიტანოს საკუთარი საარსებო პირობების გაუმჯობესებაში. მოსახლეობის გააქტიურებას კი მიზანმიმართული და მეთოდური მუშაობა სჭირდება. აღმშენებლობა პრობლემის გააზრებით, მიზნის დასახვითა და შესაძლებლობების შეფასებით იწყება. „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“ და ამ ყველაფერს ერთი ადამიანი ვერ მოერევა. აუცილებელია თანამოაზრების მოძიება, გაერთიანება, ერთიანი ხედვისა და რწმენის შემუშავება...

ამ ყველაფერს კი თემის ჩამოყალიბება და მობილიზება სჭირდება და სწორედ ამიტომ, 1995 წელს „ელკანამ“, ფერმერთა ინდივიდუალური კონსულტირების პარალელურად, მუშაობა დაინტერესი სოფლის (თემის) განვითარების საკითხებზე. ორი წლის თავზე „ელკანაში“ შეიქმნა სათემო მობილიზებისა და სოფლის განვითარების განყოფილება. მოგვიანებით კი, 2002 წელს სათემო მობილიზება ორგანიზაციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი გახდა.



შეხვედრა სოფლის ლიდერებთან

წლების მანძილზე პრობირებული მიდგომებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით, 2010 წლიდან „ელკანაში“ სათემო მობილი ზებისა და სოფლის განვითარების განყოფილების ტრადიციებს აგრძელებს ახალშექმნილი ეკონომიკური განვითარების განყოფილება, რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობით და განვითარებულ ფერმერთა მობილი ზება, მათი ბიზნეს სპონტენიალის შეფასება, ეკონომიკური თანამონაცოლითი პროექტებისა და ბიზნესებების მომზადებისა და განხორციელების ხელშეწყობა.

2. მიზანის, ხედვა, მიზნობრივი პრიუზი

თემთან მუშაობის მიდგომათა ჩამოყალიბება

XX საუკუნის 80-იან წლებამდე პრაქტიკულად ყველა განვითარებად ქვეყანაში სოფლის განვითარების მამორავებელ ძალად ითვლებოდა პროექტები, რომელთა პრიორიტეტებაა და სტრუქტურას განსაზღვრავდა „გარე“ ექსპერტის სოფლად ხანმოკლე ვიზიტის საფუძველზე. საკითხის ხედვა შემდეგნაირი იყო: ჩვენ, ექსპერტები ვფლობთ ცოდნას, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა ამ ცოდნას მოკლებულია. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ მოსახლეობას არაფერს ეკითხებიან და პრობლემის განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება ხდება „გარეთ“.

დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, რომ გარე ძალების ქმედებები მიმართულია თემის მხოლოდ გარე ექსპერტის მიერ „ნავარაუდევი“ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და პრაქტიკულად იგნორებულია თემის რეალური საჭიროებები. შერჩეულ სოფელს პირდაპირ სთავაზობდნენ დახმარების პაკეტს. ეს ქმედება სოფელს თავიდანვე „მიმღების“ პოზიციაში აყენებს და ხალხი ფიქრობს: „თუ თქვენ დიდი სურვილი გაქვთ, რაიმე გააკეთოთ ჩვენს სოფელში, ძალიან კარგი, დაგელოდებით და ვნახავთ, რა გამოგა“.

ეს ტენდენცია ნაწილობრივ დღესაც გრძელდება და ეს არის ხშირად ეკონომიკური განვითარების ზოგირთი მოდელის არაეფექტურობის მთავარი მიზეზი – ხალხისათვის თავს მოხეყული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური სიტუაციის გაუზიარებებას და ხშირად თემის „გარე“ წყაროს ეკონომიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლადა მიმართული.

ასეთი მიდგომით განხორციელებული პროექტები უმტკესად წარუმატებელი იყო და წარუმატებლობის მიზეზების გაანალიზების საფუძველზე XX საუკუნის 80-იან წლებიდან ნელ-ნელა შეიცვლა მიდგომები და ძველი ფორმულირება ახლით შეიცვალა – ადგილობრივი მოსახლეება ფლობს ლრმა ინფორმაციას საკუთარი სოფლისა და რეგიონის შესახებ. ადგილობრივი მოსახლეობა იღებს გადაწყვეტილებას, გეგმავს და ასრულებს ქმედებებს. „გარედან“ რეკომენდებულია მხოლოდ დახმარებისა და მხარდაჭერის

ბილიგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

მიღება (ფასილიტაცია).

შესაბამისად, შეიცვალა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების პროექტებში მონაწილეობის სტრუქტურაც – ინფორმაციის უბრალო შეგროვება შეიცვალა თანამონანილეობითი ანალიზთა და დაგეგმვით, რაც საფუძვლად დაედო ახალ მეთოდოლოგიას – თანამონანილეობითი სწავლება და ქმედება (PLA).

„ელკანას“ ხედვა

სწორედ თანამონანილეობითი მიდგომა დაედო საფუძვლად თემთან მუშაობის „ელკანასული“ ხედვებსა და მიდგომების ჩამოყალიბებას.

ჩვენი ხედვით, თემის განვითარება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება სოფლის მოსახლეობის გაერთიანება, მობილიზება ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული პირობების გასაუმჯობესებლად. ადგილობრივი მოსახლეობა რომ განვითარების პროცესის მონაწილე გახდეს, აუცილებელია, ხალხი მაქსიმალურად ჩაერთოს საკუთარი საჭიროებების შეცნობის პროცესში, თავად განსაზღვროს, რა სკირდება და რა შესაძლებლობები აქვს, თავად დასახოს ამოცანა, მისი შესრულების გეგმაც შეიმუშაოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს პრობლემის გადაჭრაში. ეს ყველაფერი კი თვითდაბარების მიდგომით – თანამონანილეობითი სწავლებითა და ქმედებით მიიღონ.

თემის განვითარება, ჩვენი აზრით, არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას. მთავარია, ადამიანებმა შეძლონ გაერთიანება, დიალოგის დაწყება, ისწავლონ საერთო პრობლემების დადგენა, დასკვნების გამოტანა და ერთად მოქმედება. ამ პროცესში კი ადამიანებს შორის წარმოიშობა ახალი ურთიერთობები, იცვლება მათი პიროვნული თვისებები, ყალიბდება ახალი უნარ-ჩვევები და მიზნები.

მეორეს მხრივ, ერთობლივი საქმიანობისათვის ხალხის მობილიზებას მოტივაცია სჭირდება – თუ ადამიანი მიიჩნევს, რომ კონკრეტული ამოცანის გადაჭრა მათი გაერთიანებისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების შედეგია, თანამონანილეობითი საქმიანობის გაგრძელების მოტივაცია სახეზეა.

თემის განვითარების პროცესში „ელკანა“ საკუთარ როლს ხედავს მხოლოდ პროცესის ხელშეწყობასა და ფასილიტაციაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ორგანიზაცია, მცირე პროექტების ფონდის ფარგლებში, ფინანსურ დახმარებას უწევს სოფლის მოსახლეობას კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას (დაფინანსების პრინციპი — 50/50-ზე), „ელკანას“ მიზანი არ არის – ერთჯერადი დახმარება გაუწიოს სოფელს კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის. ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია სოფლად აქტიური და მდგრადი ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც ჩვენი დახმარებით სათანადო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენს და მომავალში დამოუკიდებლად შეძლებს სოფლის პრობლემებზე მუშაობას.

ელკანა
ELKANA



მიზნობრივი ჯგუფი

თემის განვითარების საკითხებზე მუშაობის დაწყებისთანავე გამოიკვეთა მიზნობრივი ჯგუფი — სოფლის მთელი მოსახლეობა. შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ თემზე, მოვიაზრებთ კონკრეტულ სოფელში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელსაც აქვთ საერთო ინტერესები, პრობლემები, პერსპექტივები. სწორედ აქედან გამომდინარე, ხშირად „თემის განვითარების“ სინონიმად ჩვენ „სოფლის განვითარებას“ ვიყენებთ და ამ საკითხებზე მომუშავე განყოფილებას დავარქვით „სათემო მობილიზებისა და სოფლის განვითარების“ განვითარებას და სოფლის განვითარებას“.

„ელკანას“ მიდგომა — თანამონაწილეობითი სწორება და ქმედება (PLA)

მიდგომა, რომელსაც სათემო მობილიზებისა და სოფლის განვითარების განყოფილება იყენებს, თავიდან სოფლის თემთან მუშაობისათვის შეიქმნა და პირველი პროექტები სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდებოდა; მაგრამ დღეს ეს მეთოდოლოგია ფართოდ გამოიყენება ადამიანის საქმიანობის სრულიად განსხვავებულ სფეროებში. ამასთანავე, გაფართოვდა გამოიყენების გეოგრაფიაც — დღეს იგი წარმატებით გამოიყენება 100-ზე მეტ ქვეყანაში.

ამ მცირე სტატიაში ჩვენ არ შევუძღვით მეთოდოლოგიის დაწვრილებით აღნერას, გაგაცნობთ მხოლოდ ძრითად პრინციპებს.

თანამონაწილეობითი სწორება და ქმედება (PLA)

გულისხმობს თანამონაწილეობით სწორებას, ანალიზსა და დაგეგმვას, რაც ხორციელდება სოფლის საჭიროებების სწრაფი შეფასებისა (RRA) და პრობლემების თანამონაწილეობითი მოგვარების (PRA) გზით.

თემის საჭიროებების სწრაფი შეფასება (RRA) შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეთოდების ნაკრები, რომლის გამოიყენება მოსახლეობისაგან მცირე დროში ზუსტი, სანდო ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა.

თემის პრობლემების თანამონაწილეობითი მოვარება (PRA), როგორც პროცესი, ემყარება თემის საჭიროებების სწრაფი შეფასების (RRA) დროს მოპოვებულ ინფორმაციას, და სოფლის ცხოვრების რეალური სურათის დანხვასთან ერთად გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ინფორმაციის ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საბოლოოდ, თანამონაწილეობითი სწორება და ქმედება (PLA=RRA+PRA) შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ — ეს არის „მუდმივად განხალებადი მეთოდებისა და მიღებობების ნაკრები, რომელიც, ერთი მხრივ, გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად არის მზად თემი, მონაწილეობა მიღობს საკუთარი პრობლემების მოგვარებაში, და მეორე მხრივ, თემს საშუალებას აძლევს, გააანალიზოს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება და არსებული რეალური გარემო, შეაფასოს საკუთარი


შესაძლებლობები, განსაზღვროს პრიორიტეტები, მიღლოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და განახორციელოს იგი“.

თანამონაწილეობითი სწავლება და ქმედება მობილური პროცესია, ანუ იგი არ გულისხმობს მკაცრ წესებს ან მითითებებს. იგი მოიცავს ვიზუალური მეთოდებისა და სერჩების ფართო სპექტრს, რომელიც თემთან ურთიერთობისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამ მეთოდებისა და მიღების ადაპტირება. ხატოვნად მათ შეიძლება გუნდოფოთ „თანამონაწილეობის სამი საფუძველი“:

- * **ქცევა და დამოკიდებულება** — გულისხმობს მირითადად ფასილიტატორის (მობილიზაციონის) პროფესიონალურ დამოკიდებულებასა და ინდივიდუალურ მიდგომას;
- * **ცოდნის (იდეების, გამოცდილების) გაცვლა** — მნიშვნელოვანია ინფორმაციის არა მხოლოდ ცალმხრივი (მოსახლეობიდან ფასილიტატორისაკენ) დინება, არამედ ცოდნის, იდეებისა და გამოცდილების გაცვლა (ორმხრივი პროცესი);
- * **მეთოდები** — სპეციალური მეთოდები, რომლებიც გამოიყენება თემსა და ფასილიტატორებს შორის, აგრეთვე, თვით თემის წევრებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაცვლისა და, ასევე, ანალიზისათვის.

„ელკანას“ სამუშაო ციკლი

სოფლის თემთან მუშაობისათვის „ელკანამ“ შეიმუშავა საკუთარი სამუშაო სქემა, რომელიც მოიცავს სოფლის ჩვენი მუშაობის ყველა ეტაპს:



პიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

➤ სოფლის შერჩევა

ახალი სოფლის შერჩევა, სადაც მუშაობა უნდა დაიწყოს „ელეანას“ სოფლის მობილიზატორთა ჯგუფმა, ხდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით: სოფელში მოსახლეობა უნდა იყოს არა უმეტეს 550 კომლისა, ამასთან, მოსახლეობის 50% მუდმივად უნდა ცხოვრობდეს სოფელში და მათგან მინიმუმ 7 „ელეანას“ წევრი უნდა იყოს; არ უნდა არსებობდეს სერიოზული შიდა სამეზობლო კონფლიქტები. კრიტერიუმები შემუშავდა „ელეანას“ სამუშაო გამოცდილებისა და რესურსების გათვალისწინებით: დიდ სოფელთან სამუშაოდ არასაკმარისი იყო ადამიანური რესურსები და „მცირე პროექტების ფონდი“, საიდანაც ხდებოდა კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის თანხის გამოყოფა. ამიტომ ოპტიმალურად ჩაითვალა სოფელი 550 კომლით. რაც შეეხება 50 %-ს, ჩვენი გამოცდილებით, ეს ციფრი რეალურად უფრო მცირები არის ხოლმე, ვინაიდან სოფლის მუდმივ მცხოვრებლებში იგულისხმება მოხუცებიც და ბავშვებიც, რომლებიც ბენეფიციარები არიან, მაგრამ უმუალოდ პროექტის განხორციელებაში ვერ მოარიღეობენ. გამოცდილებამ ასევე აჩვენა, რომ, ადამიანებს, რომლებიც სოფლად მუდმივად არ ცხოვრობენ, ნაკლები მოტივაცია აქვთ და აქტიურად არ ერთვებიან პროექტის განხორციელებაში.

პროგრამული ინტერესებიდან გამომდინარე, „ელეანა“ ასევე ითვალისწინებს შემდეგ გარემო პირობებს: უნდა არსებობდეს ბიომეურნეობაზე გადასვლის ობიექტური პირობები; ძველი ქართული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის შესაძლებლობა და ბოლოს, სოფლის ტურიზმის განვითარების პოტენციალი.

➤ საველე სამუშაოების დაგეგმვა

როდესაც სოფელი უკვე შერჩეულია, ვიწყებთ მობილიზატორთა ჯგუფის დაკომპლექტებას და მეთოდებზე ვარჯიშს. რეკომენდებულია მობილიზატორთა ჯგუფში გენდერული ბალანსის დაცვა — კონკრეტული სოფლის მენტალიტეტისა და ადათნებების გამო ზოგჯერ მამაკაც მობილიზატორს



სოფელში მუშაობა

პიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელეანა“

უჭირს სოფლის ქალებისგან ინტერვიუს აღება და ამ შემთხვევაში ჯგუფში ქალი მობილიზატორის არსებობა ძალიერი აიოლებს კომუნიკაციას.

სოფელში გასვლამდე მობილიზატორთა ჯგუფი წინასწარ აგროვებს ინფორმაციას რეგიონისა და სოფლის შესახებ. თითქმის ყველა შემთხვევაში გარკვეული ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მაგრამ მონაცემების სიზუსტე ხშირად საეჭვო და მოძველებულია. დასკვნებს, რომლებიც ამ მონაცემებს ეფუძნება, დიდი სიფრთხილით ვეკიდებით და ადგილზე აუცილებლად ვამოწმებთ მათ სიზუსტეს.

➤ სოფელში მუშაობა

მობილიზატორთა ჯგუფს სოფელი ყოველთვის სიხარულითა და გაგებთ არ ხვდება - ხშირია უნდობლობა და გაუცხოება; ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მობილიზატორების ქცევის ფორმასა და ურთიერთობის უნარს. სოფლის მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია საკონტაქტო პირის ან პირების სწორად შერჩევა. ჩვენს შემთხვევაში თითქმის ყველა სოფელში გვყავდა წევრი ბიომეურნეები, რომლებიც ძალზე გვიადვილებდნენ სოფელთან პირველი კონტაქტის დამყარებას.

მობილიზატორთა ჯგუფი სოფელში დაახლოებით 3-7 დღე რჩება. სამუშაო ინცეპტი ინფორმაციის შეგროვებით. თავდაპირველად მობილიზატორები მოინახულებენ სოფლის „ბირჟას“, გაესაუბრებიან მოსახლეობას, შეარჩევენ მოხალისეებს, რომელთაც სურთ, მონაწილეობა მიიღონ სოფლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაში. შემდეგ ინცეპტი ინფორმაციის შეგროვება ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს მეთოდით — ვესაუბრებით მოსახლეობას, ვხვდებით ადგილობრივი ხელისუფლების ნარმომად-გენლებს, მოხალისეებთან ერთად შემოვივლით სოფელს და ვინიშნავთ დაკვირვების შედეგებს.

➤ სიტუაციის ანალიზი

მოპოვებული ინფორმაცია საჭიროებს შეჯამება-სა და ანალიზს, რათა იგი გასაგებად და თვალსაჩი-



სოფლის კრება

**ელეანა
ELKANA**



ნოდ წარვუდგინოთ სოფლის მოსახლეობას. ამ მიზნით ვიყენებთ დიაგრამების შედეგების მეთოდს — ინფორმაციის სქემატური წარმოსახვით თვალსაჩინო ხდება ინფორმაციის ძირითადი ასპექტები, პრობლემების დინამიკა, ურთიერთკავშირები და სხვ.

➤ სოფლის კრება

სოფლის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას და წინასწარი ანალიზის შედეგებს სოფლის მოსახლეობა სოფლის კრებაზე ეცნობა. ფასილიტორთა ჯგუფი, სოფლის ვოლონტერებთან ერთად ამზადებს კრების „სცენარს“, სადაც ზუსტადაა განერილი ყველა „როლი“ — ვინ? როდის?, რა? როგორ? მნიშვნელოვანია კრების ჩატარების ზუსტი დროის განსაზღვრა — ამას ვაკეთებთ მოსახლეობის დასაქმების, ტრადიციების, რელიგიურობის და სხვ. ფაქტორების გათვალისწინებით.

კრების სწორად ჩატარება და მისი შედეგები — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია თემთან მუშაობაში. სწორედ კრებაზე უნდა გამოიკვეთოს თემთან მუშაობს გარმელების მიზანშეწონილობა. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს კრებაზე დამსწრეთა რაოდენობას. ჩვენი გამოცდილებით, თუ კრებაზე სოფლის მოსახლეობის 40-50%-ზე ნაკლები მოვიდა, კრება უნდა გადაიდოს და გაგრძელდეს მოსახლეობასთან მუშაობა, გაირკვეს მოსახლეობის პასიურობის მიზეზები და შემდეგ ჩატარდეს კრება ან გამოვიდეთ სოფლიდან.

კრების მსვლელობისას ძალზე მნიშვნელოვანია მობილიზების ჯგუფის როლი — ჩვენი გამოცდილებით, იგი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოდერაციითა და ფასილიტაციით. კატეგორიულად არ შეიძლება მოსახლეობისათვის იდეების, მოსაზრებების თავს მოხვევა.

რაც შეეხება კრებაზე განსახილველად გამოტანილ საკითხებს — პირველ რიგში, მობილიზატორების ჯგუფი სოფლის მოსახლეობას წარუდგენს სოფლის სიტუაციის ანალიზს — სოფლად მუშაობისას მოპოვებულ ინფორმაციას. კრების მონაწილეების შენიშვნების გათვალისწინებით ხდება ინფორმაციის დაზუსტება და ცვლილებების შეტანა. შემდეგ მოდერატორი სთხოვს კრების მონაწი-

ლებს, გააანალიზონ მოსმენილი და ნანახი და განსაზღვრონ სოფლის შესაძლებლობები, ანუ ის პოტენციალი, რომლის გამოყენებითაც სოფელს შეუძლია, გარკვეულ წინსვლას მიღწნოს. შემდეგ მოდერატორის დახმარებით ხდება იმ პრობლემების გამოვლენა, რაც ხელს უშლის სოფლის პოტენციალის რეალიზაციას. შემდგომ ეტაპზე მოსახლეობა რენკინგის (დაბარისხების) მეშვეობით გამოყოფს მთავარ პრობლემას და განსაზღვრავს, თუ რამდენად აქვს სოფელს ამ პრობლემის მოგვარების შესაძლებლობები. ამ საკითხობან მიმსართებაში მოსახლეობა პასუხობს კითხვებს: რა არის გასაკეთებელი? რა რესურსებია საჭირო? რისი მოგვარება შეუძლია სოფელს დამოუკიდებლად და რაში სჭირდება დახმარება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემით სოფლის მოსახლეობა ივითონ ირჩევს პროექტს, რომელზეც აპირებს მუშაობის გაგრძელებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ კრებაზე მობილიზატორთა ჯგუფი მოსახლეობას ახვდის სრულ ინფორმაციას ჩვენი ორგანიზაციისა და, განსაზღვრებით, დახმარების (მცირე პროექტების ფონდის) სქემის შესახებ.

კრების ბოლოს სოფლის მოსახლეობა ირჩევს სოფლის კომიტეტს (თემის ლიდერებს) — ნდობით ალტურულ პირებს, რომლებთანაც მობილიზატორები აგრძელებენ მუშაობას. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია პროექტის შემდგომი ნარმატებისათვის; ამიტომ მობილიზატორთა ჯგუფი მოსახლეობასთან ერთად განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებს სოფლის კომიტეტის წევრი.

➤ სოფლის კომიტეტთან მუშაობა

კრების შემდეგ, თემის მობილიზატორები იწყებენ მუშაობას სოფლის კომიტეტთან. სოფლის კომიტეტის წევრებმა თემის ლიდერების ფუნქცია რომ შეასრულონ და ხელი შეუწყონ თემის ჩამოყალიბება-განვითარებას, უნდა ფლობდნენ გარკვეულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ამიტომ პირველსავე შეხვედრაზე თემის მობილიზატორები კომიტეტთან ერთად ადგენენ სწავლების გეგმას და განსაზღვრავენ ტრენინგების თემატიკას (მიზნების ფორმულირება, ადამიანური რესურსების შეფასება, თემის განვითარების



მუშაობა სოფლის კომიტეტთან



ტრენინგი თემის წევრებისათვის

პიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

სტარტეგია და სხვ.). პარალელურად სოფლის კომიტეტი, მობილიზაციონთა ჯგუფთან კონსულტაციებით, მუშაობას იწყებს კრებაზე გამოცემილი პროექტის ბიზნესგეგმაზე. სწავლების გარდა, მობილიზაციონთა ჯგუფი კომიტეტის წევრებს ეხმარება ბიზნესგეგმის მომზადებაშიც – ანვდის ინფორმაციას საჭირო ტექნიკური გეგმის მსალების, შესაძლო დონეების შესახებ და სხვ.; საჭიროების შემთხვევაში კომიტეტს აკავშირებს დარგის სპეციალისტებთან და უზრუნველყოფს კომპეტენტური კონსულტაციების ხელმისაწვდომობას.

➤ პროექტის განხორციელება

ბიზნესგეგმის მომზადების „ელკანას“ ოფისში განხილვისა და დამტკიცების შემდეგ იწყება პროექტის განხორციელების ეტაპი. ზემოთ უკვე ითქვა, რომ პროექტის თანადაფინანსება (50/50-ზე) ხორციელდება „ელკანას“ მცირე პროექტების ფონდიდან; თანხის გაცემა ხდება მაშინ, როცა სოფელი საკუთარი რესურსებით დაიწყებს პროექტის განხორციელებას. ამ ეტაპზე კომიტეტის წევრების აქტიურობასა და უნარ-ჩვევებზე ძალზე ბევრია დამოკიდებული. ისინი გეგმავენ სამუშაო გრაფიკს, უზრუნველყოფების მსალების შეძენას, მუშაობების სოფლის მოსახლეობის მობილიზებაზე და სხვ. ამ ეტაპზე ზოგჯერ საჭირო ხდება სოფლის



პროექტის განხორციელება



პროექტის პრეზენტაცია

პიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

კრების მოწვევა, რასაც კომიტეტი დამოუკიდებლად აკეთებს. მობილიზაციონთა როლი ამ ეტაპზე გამოიხატება პროექტის ყველა ეტაპის აქტიურ მონიტორინგში.

➤ პროექტის შეფასება

დამამთავრებელ ეტაპზე ხდება პროექტის შეფასება. ამ პროცესში ჩართულია პრაქტიკულად ყველა მონაწილე მხარე – სოფლის მოსახლეობა, კომიტეტი, მობილიზაციონთა ჯგუფი. შეფასება ხდება სოფლის კრებაზე, ნინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

პროექტების წარმატებით განხორციელების შეფასების კრიტერიუმები:

- შესაბამისობა** – რამდენად შეესაბამება პროექტის ამოცანები თემის მიერ შერჩეულ პრობლემას და თემის განვითარების კურსს;
- პროდუქტულობა** – რამდენად შეესაბამება შედეგების ხარისხი პროექტის განხორციელებაზე განვითარებას;
- ეკონომიკური ეფექტურობა** – რა წელილი შეიტანა პროექტის შედეგებმა პროექტის მიზნის განხორციელებაში, როგორია პროექტის წელილის ღირებულება და ხარისხი (ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტური განაწილება);
- ცვლილება/გავლენა** – რა გავლენა მოახდინა პროექტის განხორციელებაზე თემის განვითარების დონეზე და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; რა უნარ-ჩვევები (ინციატივა, შემოქმედებითი აზროვნება, გამოცდილება, განათლება და სხვ.) შეიძინა თემის;
- ბენეფიციარების რაოდენობა** – რამდენმა ადამიანმა მიიღო სარგებლივი (ქალი, კაცი)
- სიცოცხლისუნარიანობა/მდგრადობა** – რამდენად აგრძელებს პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგი სარგებლის მოტანას და რამდენად უწყობს ხელს სოფლის კომიტეტის მიერ შემუშავებული თემის განვითარების სტრატეგიის სხვა მიზნების განხორციელებას.



ელკანა
ELKANA



პროექტის შეფასება

პროექტის შეფასებით მთავრდება კონკრეტულ პრობლემაზე მუშაობა. მთლიანი პროცესი – სოფელში შესვლიდან პროექტის შეფასებამდე – გრძელდება დაახლოებით 1-1,5 წელს. მაგრამ ამ სოფელთან ურთიერთობა ამით არ მთავრდება. „ელკანას“ მობილიზაციონების ჯგუფი თვალყურს ადევნებს თემის შემდგომ განვითარებას და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებითა და რჩევებით ეხმარება სოფლის კომიტეტს ახალი პროექტების დამოუკიდებლად განხორციელებისას.

3. გამოცდილება

„ელკანა“, უკვე 16 წელია თემის განვითარების საკითხებზე მუშაობს და დღეისათვის მობილიზაციონთა ჯგუფმა 23 სოფელთან იმუშავა. ცხადია, ყველა პროექტი, განსაკუთრებით პირველი პროექტები, ერთნაირად წარმატებული არ იყო, მაგრამ ჩვენ შეცდომებზე ვსწავლობდით – პროექტის სუსტი და ძლიერი მხარეებისა, წარმატებისა და წარმატებლობის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე, ვაუმჯობესებდით მიღებოდა, ვერა და ურთიერთობების განვითარებაზე და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი საცდელი შესვლა სოფელში (1995 წ.) და პროექტი, რომელიც სოფელთან განხორციელდა, მთლიანად წარმატებული იყო; მაგრამ მან დაგვანახვა ჩვენი ნაკლოვანები: სოფელში შესვლა მოხდა სტიქიურად, მიღებოდის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის გარეშე, ზუსტად არ იყო განსაზღვრული ამოცანები, ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული პროექტის შესახებ, თვით სამუშაო ჯგუფიც კი არ ფლობდა სრულ ინფორმაციას და სხვ. ამ წარმატებელი ცდის შემდეგ უცხოელ ექსპერტებთან ერთად გაანალიზდა შეცდომები და ჩამოყალიბდა სათემო მობილიზებისა და სოფლის განვითარების განყოფილება, შემუშავდა თემთან თანამონაზილებითი მუშაობის მიღების შეიქმნა სამუშაო მეთოდოლოგია და სხვ.

ჩვენი ორგანიზაციის წარმატებული და წარმატებელი გამოცდილების გაზიარების მიზნით, შევარჩიეთ ერთსა და იმავე პერიოდში (2003-2005 წწ) ორ სოფელში განხორციელებული პროექტი. საინტერესოა ის, რომ ორივე სოფელში მსგავსი პრობლემა იყო – სარწყავი სისტემის არქონა – მაგრამ შედეგი კარდინალურად განსხვავებული მივიღეთ...

3.1. პოზიტიური გამოცდილება – საირიგაციო სისტემა სოფელ M-ში

სოფელი M თბილისიდან 100 კმ-ში, მთიან, ძირითადად არაქართველი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონში მდებარეობს. თვითონ სოფელი მთლიანად ქართველებითა დასახლებული. სოფელი

ყველა მონაცემით შეესაბამებოდა ჩვენს კრიტერიუმებს – სოფელში 270 კომლი ცხოვრიბდა და მათი 90% მუდმივად იმყოფებოდა სოფელში. წინასწარი ინფორმაციით, სოფელში არ იყო მკვეთრად გამოხატული კონფლიქტები და ბოლოს, 1999 წლიდან ამ სოფელში გვყავდა წევრი ბიომეურნეების საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომელიც 20-მდე ფერმერს აერთიანებდა. სოფელ M-ში მუშაობა სათემო მობილიზებისა და სოფლის განვითარების განყოფილებამ 2003 წელს დაიწყო.

ლამაზი ბუნება, ნაყოფიერი ნიადაგი, მშრომელი ხალხი – სოფელ M-ის სიმდიდრეს წარმოადგენს, მაგრამ მოსახლეობის გამოკითხვისას გამოჩნდა, რომ სარწყავი სისტემის არარსებობის გამო, სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 65-70% სრულფასოვნად ვერ იყენებდა ამ სიმდიდრეს - ვერ ახერხებდა სახანგამის მინწების მორწყვას და, შესაბამისად, მოსავლიანობა დაბალი იყო..

სოფლის საერთო კრებას სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 40% დაესწრო და კრებაზე გამოთქმული მოსაზრებებიდან ცხადი გახდა, რომ ხალხს კარგად ესმის სარწყავი სისტემის მნიშვნელობაც და ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სიძნელებიც...

სოფლის საერთო კრებამ აირჩია საინიციატივო ჯგუფი – კომიტეტი, რომელთანაც გააგრძელა მუშაობა „ელკანას“ მობილიზაციონთა ჯგუფმა. ლიდერებისათვის ჩატარებულ პირველსავე ტრენინგზე გამოჩნდა, რომ მოსახლეობამ სწორი არჩევანი გააკეთა – კომიტეტმა ძალზე აქტიურად და მონდომებით დაიწყო სწავლა და პარალელურად მუშაობდა სარწყავი სისტემის პროექტზეც. აქვე უნდა ითქვას, რომ კომიტეტის წევრების გარდა, ამ პროცესში ჩატართო სოფლის 17-20 აქტივისტიც. ასეთი აქტიურობა, ჩვენი აზრით, სოფელში გამოკვეთილი ლიდერის არსებობამ განაპირობა. ეს იყო ადამიანი, რომელმაც ჯერ კიდევ 1999 წელს, დამოუკიდებლად იპოვა „ელკანა“; იწმუნა, რომ ბიომეურნების აშენება და 4,5 კმ-იანი სარწყავი სისტემის გაყვანა. თანხის ნაწილს, შეთანხმების თანახმად, „ელკანა“ გაიღებდა, ნანილს – მოსახლეობა შეაგრივებდა. თავიდანვე ჩანდა, რომ პროექტი ქვირად ლირებული იქნებოდა, მაგრამ 42 000 ლარის შეგროვება მაინც სერიოზული პრობლემა გახდა... ამ სიძნელემ არ შეაშინა კომიტეტი: მათ დაახმარებისათვის ადგილობრივ მმართველობას მიმართეს. რაიონის გამგეობამ სოფელს სარგებლობაში (უზუფრუქტების წესით) გადასცა 4,5 კმ სიგრძის მილები. სოფლის მოსახლეობამაც გაიღო საკუთარი წვლილი – ფიზიკური შრომა და 2000 ლარი; მუშაობა დაიწყო. მოსახლეობა ძალზე აქტიურად ჩატართო პროექტის განხორციელებაში – ყოველდღიურად, კომიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, ხალხი გამოდიოდა სამუშაოდ, აკეთებდნენ იმას, რაც იცოდნენ და შეეძლოთ - ზოგი მიწას თხრიდა, ზოგი მილებს ადუღებდა, ზოგი ექსკავატორზე იჯდა და სხვ.

სათავო ნაგებობა აშენდა და როცა მიღების გაყვანა დაიწყეს, გაჩნდა პრობლემა – მიღებს უნდა გაევლო აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნაკვეთებზე, რომელიც პროექტში ჩართული არ იყო, სარწყავი წყალი კი მათაც უჭირდათ. შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია. კომიტეტმა კონსულტაცია გაიარა მობილიზაციონთა ჯგუფთან და გადაწყდა სოფლის კრების მოწვევა. კრებაზე გადაწყდა, რომ პროექტის ფარგლებში გაკეთებულიყო 2 დამატებითი წერტილი, რომელიც არაქართველი მოსახლეობის ნაკვეთებსაც უზრუნველყოფდა სარწყავი წყლით.

2004 წლის დეკემბერში ეს კონკრეტული პროექტი დამთავრდა. დღეს სოფელ M-ში აქვს სარწყავი სისტემა, რომლის მეშვეობით ირწყება 250 ჰა სახნავ-სათესი და სარგებელს იღებს 150 მოსახლე. სოფლის ძალებით პროექტის განხორციელებამ ერთგვარი სტიმული მისცა მოსახლეობას – პროექტის დამთავრებისთანავე საინიციატივო ჯგუფმა ჩამოაყალიბდა წყალმიმდინარაგების ასოციაცია, რომელსაც შეიმუშავა რწყევს გრაფიკი და ემსახურება სარწყავის შეუფერხებელ მუშაობას. მოვაინებით, სოფლის კომიტეტის თხოვნით, „ელკანას“ სათემო მობილიზებისა და სოფლის განვითარების განვითარების ხელშეწყობით განხორციელდა ახალი პროექტები – საირიგაციო სისტემის დამატებითი 1 კმ-იანი მილის გაყვანა და წყალმომარაგების ასოციაციის ოფისის გარემონტება და ტექნიკური აღჭურვა.

მაგრამ აյ არ დამთავრებულა ამ სოფლის ისტორია. პროექტის დამთავრების შემდეგ, ამ რეგიონში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ორგანიზაცია CHF-მა. სოფელ M-ში მათ დახვდათ მობილიზებული, მოტივირებული თემი და აქტიური კომიტეტი, რამაც განსაზღვრა სამი პროექტის განხორციელება: ახალი ტრანსფორმატორის მონტაჟი, სასმელი წყლის მიღის რეაბილიტაცია და ბოსტონულის შემგროვებელი და დამხარისხებელი პუნქტის საბაზისო სამუშაოები.

არც აქ დამთავრებულა ამ თემის აქტიურობა. სოფლის კომიტეტის ინიციატივით 2007 წელს სოფელ M-ში ჩამოყალიბდა ფერმერთა კავშირი, რომელშიც გაერთიანდა 72 ფერმერი. მალე კავშირი „ელკანას“ წევრი გახდა. ფერმერებმა სოფელში ახალი კულტურაც დანერგეს – დაიწყეს ბროკოლის მოყვანა და „ელკანას“ მარკეტინგის განყოფილების ხელშეწყობით 2007 წლის აგვისტო-სექტემბერში



საირიგაციო სისტემა სოფელ M-ში

პიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

„გუდვილს“ მთლიანად ეს კავშირი ამარაგებდა ამ ბოსტნეულით.

რაც შეხება სოფელ M-ის კომიტეტის ლიდერს, იგი დღესათვის ძალზე დატვირთულია და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა: მოღვაწეობს ადგილობრივ თვითმმართველობაში, არის ადგილობრივი ფერმერული კავშირის თავმჯდომარე, გაეროს განვითარების პროგრამის ადგილობრივი კოორდინატორი მუნიციპალიტეტში, ჩართულია რაიონში მიმდინარე თითქმის ყველა პროექტსა და საქმიანობაში.



ნარმატების მიზეზები

სოფელ M-ში პროექტის წარმატებით განხორციელებისა და მოტივირებული თემის ჩამოყალიბებას მრავალი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ლიდერების ჩამოყალიბების საკითხი – სოფელმა შექლობ სწორი აქტევნის გაკეთება, კომიტეტში აირჩიეს მონდომებული, მოტივირებული, აქტიური და სოფლის ნდობით აღჭურვილი ადამიანები.

მეორე საკითხი იყო ცოდნის მიწოდება. სოფელში ჩვენი ორგანიზაციის შესვლამდე ლიდერები გამოკვეთილი იყვნენ, მაგრამ მათ ჩამოყალიბებასა და შემდგომ აქტიურობაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ ტრენინგებმა, რომელიც მობილიზაციონთა ჯგუფმა კომიტეტს ჩაუტარა. როგორც თვითონ ლიდერები აღიარებენ, მათ შეძლეს არა მხოლოდ კონკრეტული პროექტის მომზადება, არამედ ისწავლეს საკუთარი შესაძლებლობების შეფასება, მოსახლეობასთან და ხელისუფლებასთან დიალოგის გამართვა, დონორებთან ურთიერთობა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ისწავლეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრა კომიტეტის პროექტის შემდგომი წარმატებული საქმიანობა.

ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის ინფორმირებულობას და პროექტის გამჭვირვალობას – კომიტეტი რეგულარულად აწვდიდა სოფელს ინფორმაციას პროექტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ. სოფლის ცენტრში, თვალსაჩინო ადგილზე გაკრული იყო პროექტის აღწერილობა ბიუჯეტის მითითებით და ყველას შეეძლო მისი გაცნობა.

დაბოლოს, პროექტი რეალურად გამოხატავდა სოფლის საჭიროებას, პრობლემა მოდიოდა „ქვემოდან“ და მოსახლეობა მოტივირებული იყო მონაწილეობა მიეღო მის მოგვარებაში.

3.2. წევატიური გამოცდილება — „საირიგაციო სისტემის დაწყალსაქაჩის აღდგენა სოფელ N-ში“

პროექტის მიმდინარეობა

2003 წლის ზაფხულში „ელკანას“ სათემო მობილიზების ჯგუფმა მუშაობა დაიწყო სოფელ N-ში, რომელიც თბილისიდან 50 კმ-ში მდებარეობს. ამ სოფლიდან რამდენიმე ოჯახი ჩვენი ორგანიზაციის წევრი იყო. სწორედ მათი თხოვნის საფუძველზე გადაწყდა ამ სოფლის თემთან მუშაობის დაწყება.





შევედით სოფელში და ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა სოფლად არ-სებული სურათი: სოფელში 150 კომლი ცხოვრობდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი 65 წელს გადაცილებული იყო. სოფელს ეკონომიკურად ძალზე უჭირდა, არ იყო სამუშაო ადგილები, სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი ათეული წელია, არ დამუშავებული – 110 ჰა ფართობი არ ირწყვებოდა და სახნავ-სათესად უსარგებლო იყო. ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო გაძლიერდა მოსახლეობის მიგრაცია – გლეხი დაბალ ფასში ყიდდა მიწას და სარჩის საძნელებად ქალაქში მიდიოდა.

ასეთი ინფორმაციის ფონზე, მობილიზატორების ჯგუფი თავიდანვე გაჩინდა ეჭვი, რომ გაჭირდებოდა სოფელში მუშაობა, მაგრამ სოფელი მართლაც ძალზე მძიმე მდგამარეობაში იყო, სქირდებოდა თანადგომა და გადაწყვდა სოფლის კრების მოწვევა. კრებაზე 150 კომლიდან მხოლოდ 20 კაცი (8 კომლიდან) მოედა, ძირითადად ჩვენი წევრები და მათი შხარდამჭერები. ისაუბრეს სოფლის პრობლემებზე, იკამათეს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ მთავარი პრობლემა მათ სოფელში არის სარწყავი სისტემის არქონა. კრებაზე აირჩიეს ლიდერები – სოფლის კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით და დაიწყო მუშაობა. ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა პროექტი - სარწყავი სისტემისა და წყალსაცარჩის აღდგენა, გაკეთდა ხარჯთაღრიცხვა და შემუშავდა სამუშაო გეგმაც. პროექტის საერთო ლირებულება იყო 6000 ლარი, რომლის 50%, „ელკანას“ მცირე პროექტების ფონდს უნდა დაეფინანსებინა, ხოლო დანარჩენი სოფელს უნდა გაელო. კომიტეტის თქმით, სოფლის მოსახლეობა ამ თანხას მთლიანად ვერ გადაიხდიდა. თემის მობილიზების ჯგუფი კომიტეტით ერთად შეხვდა საკრებულოს წევრებს და მათი ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა სამუშაოების დაწყება...

მაგრამ პროექტის განხორციელების დაწყებისთანავე გამოჩნდა პრობლემები – მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც კრებას არ დაესწრო, არ იყო ინფორმირებული და მიაჩინდა, რომ პროექტი მხოლოდ რამდენიმე კაცის (კომიტეტის წევრების) ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომ ისინი არ პირებდნენ მონაწილეობის მიღებას. სოფლის მოსახლეობის ნაწილი მხარს უჭერდა სოფლის კომიტეტს, ნაწილი კი უნდობლობას უცხადებდა მას. კომიტეტის წევრებმა ვერ შეძლეს მოსახლეობასთან დიალოგის გამართვა, მათი მობილიზება და პროექტის განხორციელებაში ჩართვა. პრობლემები გაჩინდა თვით კომიტეტის შიგნითაც – 5 ლიდერიდან, საბოლოოდ, მხოლოდ ერთი დარჩა, ისიც სხვა საქმეებს იმიზეზებდა და პროექტი გაჩერდა. ამ სიტუაციაში, „ელკანას“ მობილიზების ჯგუფმა სოფელში ჩატარა დამატებითი სამუშაოები, გამოკითხა მოსახლეობა და გამოიკვეთა, რომ სოფელში არსებობს სერიოზული კონფლიქტები და აზრთა სხვაობა როგორც თვით მოსახლეობის შიგნით, ისე მოსახლეობასა და კომიტეტის წევრებს შორის. აქვე გამოიკვეთა კონფლიქტების მიზეზებიც – პოლიტიკური ხედვების განსხვავება და უნდობლობა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, სხვადასხვა ტიპის სამეზობლო კონფლიქტები და სხვ. „ელკანას“ მობილიზების ჯგუფმა დაიწყო შექმნილი

სიტუაციიდან გამოსავლის ძებნა. მოსახლეობასთან შეთანხმებით ჩატარდა განმეორებითი კრება, სადაც მოსახლეობამ არჩია კომიტეტის ახალი შემზღვევა-ლობა. ამ კრებაზევე ითქვა, რომ „ელკანას“ იმ შემთხვევაში შეუწყობდა ხელს პროექტის გაგრძელებას, თუ სოფელი გაერთიანებასა და მობილიზებას მოახერხდა. ახალმა კომიტეტმა დაიწყო მუშაობა სოფელთან, თითქოს გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ ვერ მოხერხდა სოფლად არსებული კონფლიქტების მოგვარება, სოფლის მოსახლეობის პასურობის დაძლევა; საბოლოოდ, 2005 წლის ზაფხულში პროექტი დაიხურა და „ელკანას“ მობილიზატორთა ჯგუფი სოფლიდან გამოვიდა.

ნარუმატებლობის მიზეზები

სოფლიდან გამოსავლის შემდეგ „ელკანას“ მობილიზატორთა ჯგუფმა შეაფასა და გააანალიზა სოფელ N-ში პროექტის ჩავარდნის მიზეზები. თავიდანვე აირამ და შეირჩა სოფელი, არ იყო გათვალისწინებული ე.წ. „სოფლის ხანდაზმულობის“ მომენტი (სოფელ N-ის მცხოვრებთა უმრავლესობა 65 წელს ზემოთაა), მოსახლეობას უჭირს სიახლეების მიღება, არ სჯერა საკუთარი შესაძლებლობების, მიაჩინია, რომ ყველა პრობლემა მთავრობამ უნდა მოუგვაროს. სოფლის მოსახლეობის გაერთიანება არსებული კონფლიქტების ფონზე (პოლიტიკური და სამეზობლო კონფლიქტები, განსხვავებული პრიორიტეტები და სურვილები) პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

სოფელში რეალური, დამოუკიდებელი ლიდერი ვერ გამოიკვეთა. სოფლის კომიტეტი აირჩია მხოლოდ კრებაზე დამსწრე 20 კაცმა, თანაც კანდიდატურები დასახელდა არა პირადი თვისებებისა და ავტორიტეტის მიხედვით, არამედ მათ მიერ დაკავებული თანამდებობების მიხედვით. თუმცა მოსახლეობის ნდობის მოპოვება ვერც მეორე კრების მიერ არჩეულმა ლიდერებმა შეძლეს. უნდობლობის ერთობით მიზეზი იყო ისიც, რომ პროექტის ბიუჯეტი არ იყო გამჭვირვალუ. მოსახლეობამ არ იცოდა პროექტის ხარჯების შესახებ, რაც უამრავ ჭორსა და უნდობლობას იწვევდა. გარდა ამისა, ლიდერები არ იყვნენ ორიენტირებული ცოდნის მიღებასა და გაზრდაზე (არ ესწრებოდნენ ტრენინგებს), ვერ ხედავდნენ სოფლის სამომავლო პერსპექტივებს და ვერ ახერხდნენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

საბოლოოდ, ჩვენი აზრით, მოსახლეობის პასურობის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ პროექტი არ გამოხატვდა მოსახლეობის დიდი ნაწილის რეალურ მოსაზრებებსა და საჭიროებებს.

ნასწავლიგავეთილები

ნარუმატებლობის მიზეზების გააანალიზებამ საშუალება მოგვცა, ცვლილებები შეგვეტანა ჩვენს მიდგომებში:

* დავხვეწეთ სოფლის შესარჩევი კრიტერიუმები და თუ სოფელი არ შეესაბამება ამ კომიტიკიუმებს, არ ვიწყებთ იქ მუშაობას;

გოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

- * თუ კრებაზე არ მოდის სოფლის მოსახლეობის 35-50%, კრებას არ ვატარებთ (კრება გადაიდება);
- * პროექტზე მუშაობისას აუცილებლად ვითვალისწინებთ, რომ პრობლემა აქტუალური იყოს მინიმუმ მოსახლეობის 70%-ისათვის;
- * კომიტეტის წევრების კანდიტატურა უნდა მოდიოდეს სოფლის მოსახლეობიდან და არ უნდა იყოს თავს მოხვეული ზემოდან, ადგილობრივი მმართველობის მიერ;
- * კომიტეტის წევრების არჩევისას მოსახლეობას ვეხმარებით იმ კრიტერიუმების შემუშავებაში, რომლებსაც, მათი აზრით, უნდა აკმაყოფილებდეს ლიდერი;
- * თუ არ მოხდა მოსახლეობის საერთო ხედვის ჩამოყალიბება (თუნდაც ეს დროში გაიწელოს), პროექტზე საუბარიც არ შეიძლება.

4. შეჯამება

ჯ. სვიფტის ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „ის, ვინც შეძლებს მოიყვანოს ორი თავთავი და ორი ბალახის ღერო იქ, სადაც მანამდე ხარობდა მხოლოდ ერთი თავთავი და ერთი ბალახის ღერო, კაცობრიობის მადლიერებას და იმსახურებს“. ყოველგვარი წინსვლა და განვითარება დამოკიდებულია ადამიანის აქტიურობასა და სხვადასხვა პროცესში მის მონაწილეობაზე. ამის მიღწევა კი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების გარეშე შეუძლებელია. როგორ უნდა ვირწმუნოთ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობებისა, როგორ მივიღოთ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორ დავდლიოთ ჩვენში არსებული ნიჰილიზმი, რას ნიშნავს – იგრძნო თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად?...

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება ჩვენი საქმიანობა. ძნელია რაიმე გამოცდილების მიღება და საკუთარი ძალების შეფასება, როდესაც სხვისი შემყურება; შეუძლებელია საერთო მიზნის მიღწევა და რაიმე საერთო პრობლემის მოგვარება, თუ ადამიანები არ გაერთიანდებიან, არ ექნებათ საერთო ხედვა და რწმენა.

თემის განვითარების საკითხებზე ჩვენი ორგანიზაციის მრავალნლიანი მუშაობის შედეგად დავრწმუნდით, რომ:

- * თემის მცხოვრებლები უფრო მეტად არიან თავიანთი პრობლემებით დაინტერესებული, ვიდრე გარეშე პირები – ადგილობრივ მოსახლეობას შესწევს უნარი, მოაგვაროს საკუთარი პრობლემები;
- * მოსახლეობაში არსებობს დიდი პოტენციალი, რომელსაც მხოლოდ გამოვლენა და ხელშეწყობა სჭირდება;
- * მობილიზაციონურებმა უნდა იმუშაონ თემთან ერთად და არა თემის მაგივრად — ფასილიტაცია და პროცესის ხელშეწყობა მეტ ნიდობას იმსახურებს მოსახლეობაში, ვიდრე სწავლება და ქმედება „ზემოდან ქვემოთ“;
- * არ არის საქმარისი მხოლოდ კონკრეტულ პრობლემაზე მუშაობა, აუცილებელია, მოსახლეობასთან დიალოგის დაწყება და პრობლემის წარმოქმნის მიზეზისა და მისი გამოსწორების შესაძლებლობების მოძიება;
- * მოსახლეობის მოტივაციისათვის, რწმენისა და იმედის გასამყარებლად აუცილებელია, უმოკლეს დროში რაიმე ხილული წარმატების მიღწევა;
- * ყველა სოფელში არიან გამორჩეული ადამიანები, რომელსაც, სწორი მობილიზების ფონზე, შეუძლიათ ლიდერის როლის შესრულება.


და ბოლოს, ჩვენი ორგანიზაციის მიღვომა – თანამონაწილეობითი სწავლა და ქმედება – გულისხმობს, რომ „სანამ პროდუქტს შევქმნიდთ, ჩვენ ჯერ ადამიანებს ვქმნით“. მაგრამ, ამ მიღვომის გამოყენება გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, ვინადან არაპროფესიონალების მიერ აჩქარებული ტემპით და არასწორი ხედვით ჩატარებული პროცესი სასურველ პოზიტიურ შედეგს ვერ მოგვცემს. ამიტომ, აუცილებელია არა ცალკეული მეთოდების ცოდნა, არამედ იმ ხედვისა და მიღვომების შესწავლა და გააზრება, რომელიც საფუძვლად უდევს თანამონაწილეობითი სწავლისა და ქმედების პროცესს.



პიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

გაზაფხულის ქ. 16 , 0177 თბილისი, საქართველო
ტელ./ფაქსი: (+995 32) 2536486/2536487

economicdev@elkana.org.ge
publications@elkana.org.ge
www.elkana.org.ge



ელკანა
ELKANA

თანამშრომლობა ცვლილებებისათვის

კავკასიური სახლი /
სათემო განვითარების ცენტრი
გიორგი შაიშმელაშვილი,
ანა მარგველაშვილი

1. შესავალი

„კავკასიური სახლი“ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამშვიდობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია შექმნას იდეური და ინტელექტუალური საფუძველი საქართველოს, როგორც მულტიეთნიკური ქავენის, მშვიდობიანი განვითარებისათვის; გაავრცელოს ზოგადჰუმანიტარული და სამოქალაქო განათლება; წაახალისოს კულტურათა შორის დაალორი და ამ გზით დააკავშიროს სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები.

„კავკასიური სახლი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კავკასიელი ხალხების ინტეგრაციისა და კავკასიის რეგიონული განვითარების ხელშეწყობი პროექტებს.

ორგანიზაცია დღეისათვის მუშაობს სამი ძირითადი პროგრამული მიმართულებით:

- * „კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა“;
- * „კავკასიური კვლევების პროგრამა“;
- * „სამშვიდობო პოლიტიკისა და უმცირესობათა ინტეგრაციის პროგრამა“.

„კავკასიური სახლი“ საქართველოს რეგიონებში 10 წელზე მეტია, რაც მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში განხორციელებული პროექტები ეყრდნობოდა ირგანიზაციის ზოგად ხედვასა და ლირებულებებს - სოფლის თემის შესაძლებლობების განვითარებას განათლებისა და კულტურის საშუალებით.

1999 წლიდან მოყოლებული ინტენსიურად ვმუშაობდით კახეთის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში, თუმცა პროექტის რაღაც სეგმენტები მეზობელ მუნიციპალიტეტებშიც ხორციელდებოდა.

2008 წელს რეგიონში მიმდინარე პროექტები ერთ პროგრამაში გაერთიანდა და „კავკასიური სახლის“ სატრაქტების განვითარების დოკუმენტში მეზობელ „საქართველოს რეგიონებში სამოქალაქო განათლებისა და სათემო განვითარების პროგრამა“.

2010 წელს „კავკასიური სახლის“ გამეობამ კრიტიკულად გაანალიზა რეგიონში მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება და გადაწყვიტა, „საქართველოს რეგიონებში სამოქალაქო განათლებისა და სათემო განვითარების პროგრამა“ დამოუკიდებელ ირგანიზაციად დაეფუძნებინა. „კავკასიური სახლის“ გამგებამ ჩათვალა, რომ აღნიშნული პროგრამის გამოყოფა და მისი ცალკე ირგანიზაციად დარეგისტრირება ხელს შეუწყობდა წარმატებულ პროგრამას, კიდევ უფრო წარმატებული გამხდარიყო და დამოუკიდებლად განვითარებინა საკუთარი პოლიტიკა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უნივერსალური პრობლემა, რომელიც საგარაულოდ წებაშიერ ირგანიზაციას შეხვდება რეგიონში მუშაობის დაწყების გზაზე. ასეთმა ვითარებამ პარადოქსულად „გაამარტივა“ მუშობა და ნოიერი წიადაგი შექმნა ინოვაციებისთვის. პრაქტიკულად ყველა შერჩეული საქმიანობა ინტეუციის დონეზე იყო განსაზღვრული და მხოლოდ „კავკასიური სახლის“ ზოგად ხედვასა და ფასეულიებებს ეფუძნებოდა: კულტურა (ხელოვნება) და განათლება არ არის ცხოვრების უბრალო დანამატი ან ფუფუნება, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ექსკლუზიური უფლებაა.

ნიზაცია – „სათემო განვითარების ცენტრი“.

ამგვარად, წარმოდგენილი სტატია ასახავს „კავკასიური სახლის“ რეგიონული პროგრამის 10-წლიან გამცდილებას, რომლის „უფლებამემკვიდრე“ დღეს „სათემო განვითარების ცენტრი“ გვევლინება. ვინაიდან წინამდებრე ტექსტში მივმართავთ რეტროსპექტიულ ანალიზს, საუბარი გვექნება მხოლოდ „კავკასიურ სახლზე“. დაინტერესებული ადამიანებისთვის კი, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ქვემოთ წარმოდგენილ სამუშაო მეთოდოლოგიას დღეისათვის იყენებს „კავკასიური სახლის“ მიერ დაფუძნებული რეგიონალური ორგანიზაცია – „სათემო განვითარების ცენტრი“ (www.satemo.ge).

პრეისტორია:

90-იანი წლების მეორე ნახევარში, შედარებითი პოლიტიკური სტაბილურობის ფონზე, საქართველოს ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების ძრითადმა ნანილმა თბილისში მოიყარა თავი. არა-სამთვრობო ორგანიზაციათა სამუშაო არეალიც, ძირითადად თბილის მოიცავდა. დაიწყო ჰიპერურბანიზაცია და ქვეყნის ასიმეტრიული განვითარება. მასობრივად დაიწყო სოფლების დაცლა მოსახლეობისგან, პირველ რიგში – ახალგაზრდებისგან. „კავკასიური სახლი“ იყო ერთ-ერთი ის ორგანიზაციის, რომელმაც გაცნობიერა ეს საფრთხე და გადაწყვიტა, რეგიონებში დროულად გაეტანა თავის სამუშაოს ნაწილი.

ზოგადად მენეჯმენტში ერთ-ერთი რთული ამოცანაა სამუშაოს გაფართოება. „კავკასიურ სახლის“ მუშაობის დაწყებისას არ ჰქონდა მკაფიო გეგმა (კონცეფცია) რეგიონში შესვლისა და გაფართოებისთვის. ჩვენს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ არც ადგილობრივი თემი იყო კარგად გარკვეული საკუთარ პრობლემებში, უფრო სწორად, უჭირდა მისი გადმოცემა (არტიკულირება). შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უნივერსალური პრობლემა, რომელიც საგარაულოდ წებაშიერ ირგანიზაციას შეხვდება რეგიონში მუშაობის დაწყების გზაზე. ასეთმა ვითარებამ პარადოქსულად „გაამარტივა“ მუშობა და ნოიერი წიადაგი შექმნა ინოვაციებისთვის. პრაქტიკულად ყველა შერჩეული საქმიანობა ინტეუციის დონეზე იყო განსაზღვრული და მხოლოდ „კავკასიური სახლის“ ზოგად ხედვასა და ფასეულიებებს ეფუძნებოდა: კულტურა (ხელოვნება) და განათლება არ არის ცხოვრების უბრალო დანამატი ან ფუფუნება, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ექსკლუზიური უფლებაა.

1 იგულისხმება მოსახლეობის მასობრივი გადინება სოფლებიდან, ძირითადად დედაქალაქში

კულტურული სერვისების მიწოდებითა და საგანმანათლებლო კომპეტენციების გადაცემით ჩვენ გვინდოდა, ერთი მხრივ – სოფელში (ადგილზე) შეგვექმნა მოსახლეობისთვის ცხოვრების სისავსის განცდა და მეორე მხრივ – მიგვეცა მათთვის საკმარისი ცოდნა, რათა თვითონ გამკლავებოდნენ საკუთარ პრობლემებს.

„კავკასიური სახლის“ პირდაპირი ამოცანა არ ყოფილა თემის მობილიზება, ან ადგილზე სათემო ორგანიზაციის შექმნა. ჩვენ გვინდოდა ადამიანის საბაზისო მოთხოვნილებების შესაბამისი სერვისების შექმნა უშუქობითა და უიმედობით მოცული სოფლის მოსახლეობისათვის; თუმცა განხორციელებული საქმიანობების შედეგად მივიღეთ სათემო განვითარების ისეთი მაგალითები, რომლებიც ჩვემოთ არის აღნერილი.

განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორები:

ა) ინფრასტრუქტურული პროექტები

საგანმანათლებლო-კულტურული სერვისების პარალელურად, სოფლის მოსახლეობასთან კომუნიკაციაში გამოჩენდა, რომ არსებობდა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობაც; კერძოდ, სოფლის ავარიული სკოლის რეკონსტრუქცია, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და სოფლის გაზიფუციერება.

2003-2004 წლებში ერთ-ერთი ევროპული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა სოფლის საჯარო სკოლის სამსართულიანი, კაპიტალური შენობის სრული აღდენა-რეკონსტრუქცია და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მას შემდეგ ამ ფონდის ხელშეწყობით „კავკასიურმა სახლმა“ არაერთი საინტერესო ღონისძიება განახორციელა სოფლისთვის.

2005 წელს „კავკასიურმა სახლმა“ თანამოაზრების დახმარებით, რომლებიც შემდეგ პროექტის დამფინანსებლები გახდნენ, მოახერხა სოფლის გაზიფირების ორგანიზება.

2006-2007 წლებში ადგილობრივი თემის თანამონანილებით შესაძლებელი გახდა სოფელში წყლის სათავო ნაგებობების რეაბილიტაციაც.

„კავკასიური სახლი“ თავიდანვე ცდილობდა სოფელში რაც შეიძლება მეტი ისეთი დაინტერესებული მოთამაშის შეყვანას, რომელიც თავისი პროფილისა და კომპეტენციის ფარგლებში უპასუხებდა ადგილზე არსებულ პრობლემებს. ამ მიდგომის ეფექტურობა კარგად გამოჩენდა, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, ისე შემდგომ მუშაობაში. ეფექტურობის გარდა, ასეთი კორპორაციული მუშაობა არის მიღწეული შედეგების მდგრადობის მნიშვნელოვანი წინაპირობაც. „კავკასიური სახლი“, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებს ახორციელებდა, თუმცა თემში არსებობდა სხვა ტიპის საჭიროებებიც. რომ არაფერი ვთქვათ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა განხორციელება მრავალი

აქტორის გარეშე შეუძლებელია, იგივე კულტურის სფერო მჭიდროდაა დაკავშირებული ტურიზმთან, ტურიზმი – სოფლის მეურნეობასთან და ა.შ. ერთი ორგანიზაცია, ბუნებრივია, ვერ გასწვდება ყველა ამ თემას, და თუ მაინც შეეცდება, დიდი ალბათობით კრახით დაამთავრებს. მოგვიანებით, როდესაც ჩვენ მიერ ჩატარებულ სამუშავა ადგილობრივია სათემო ორგანიზაციის დაფუძნება მოჰყვა, რაზეც ქვემოთ, წარმატებული მაგალითის აღნერისას ვისაუბრებთ, შედეგი სწორედ პარტნიორულმა ძალისხმევამ მოიტანა. ჩვენ მიზანმიმღარულულად და დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდით ამ ორგანიზაციის შესაძლებლობების განსავითარებლად; ამავე საქმეში, პერიოდულად, თავიანთი პროფილის გათვალისწინებით, ერთვებოდნენ სხვა ორგანიზაციებიც დედაქალაქიდან. დღეს სათემო ორგანიზაცია თავად აგრძელებს მათთან თანამშრომლობას და მისი წარმატებების დიდი ნაწილი სწორედ ამაზეა დაფუძნებული.

ბ) „სათემო სკოლის მოდელი“ - საჯარო სკოლა, როგორც მიზნობრივი ჯგუფი

სკოლის რეაბილიტაციის შემდეგ „კავკასიურმა სახლმა“ მუშაობა დაიწყო „სათემო სკოლის“ მოდელის განხორციელებაზე. სკოლა ხშირად არის ერთადერთი ცოცხალი სოციალური ორგანიზმი სოფელში, რომელიც მოიცავს თემის დიდ ნაწილს: სკოლის ბაგშვები, მშობლები და მასწავლებლები – ესაა ერთიანი სოციალური მექანიზმი, რომლის თვითორგანიზებისთვის დამატებითი ძალისხმევის დახარჯვა აღარ არის საჭირო. ეს პროცესი დაემთხვა სკოლების დემოკრატიზაციის სახელმწიფო რეფორმას. მართლაც, სკოლა უნდა იყოს დემოკრატიის პირველი უჯრედი, სადაც მოხდება მოქალაქეების აღზრდა და ჩამოყალიბება. ჩვენი მიზანი იყო დავხმარებოდით ამ პროცესს და ჩვენი წვლილი შეგვეტანა მასში. „სათემო სკოლის“ მოდელი გულისხმობს, რომ ბავშვები სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ჩართული არიან სხვადასხვა ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათ ინტელექტუალურ განვითარებას, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებას, აზროვნების ჰუმანიზაციას და სხვა.



ფილმების ჩვენება თემში

ამ პროცესში ჩართული არიან მშობლებიც. ეს არის ე.წ. უსაფრთხო სკოლის მოდელი, რომელიც დაგას არა შიშსა და კონტროლზე, არამედ თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე.

მოგვიანებით სახელმწიფომ თავადვე შეცვალა განათლების სისტემაში დაწყებული დეცენტრალიზაციის კურსი და მკაცრი ადმინისტრირების გზა აირჩია. ამ ვითარების გათვალისწინებით „კავკასიურმა სახლმა“ გადახედა თავის პრიორიტეტებს და მეტი აქცენტი გააკეთა სოფლის შიგნით არსებული სათემო ინიციატივების წახალისებაზე.

ამ გამოცდილების გათვალისწინებით „კავკასიური სახლი“ (სათემო განვითარების ცენტრი) რეგიონში მუშაობს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

- 1. ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარების პროგრამა -** მუნიციპალიტეტებში მოქმედი ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა: სათემო ორგანიზაციები, მუნიციპალურ დონეზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა ტიპის სათემო ინიციატივები;
- 2. სათემო განვითარების პროგრამა -** სამიზნე თემში, თემის განვითარების პროგრამების განხორციელება ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მიზნობრივი ჯგუფის მაქსიმალური ჩართულობით;
- 3. სოციალური მენარმეობის პროგრამა -** სამიზნე თემში შემოსავლების გენერირების მიზნით მცირე სოციალური სანარმოების იდეის პოპულარიზება და ადგილებზე მათი განვითარების ხელშეწყობა, ხალხური რეწვის სახელოსნოების შექმნის წახალისება და მათი განვითარება;
- 4. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება -** კახეთის რეგიონის

ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების (მაგ. მუნიციპალური სახლ-მუზეუმები, კულტურის სახლები და სხვა), როგორც სათემო განათლების ცენტრების განვითარების ხელშეწყობა.

2. მთოლოლოგია, პრიციპები და თემთან მუშაობის სიკლი

კულტურადა განათლება

ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია არის ქრესტომათოული მაგალითი და ეკუთვნის „კულტურისა და განათლების საშუალებით თემის მობილიზაციის მოდელს“. კულტურული ღონისძიებები, როგორიცაა მცირე სასოფლო ფესტივალები, საგანმანათლებლო აქტივობები, ჭადრაკის, უცხო ენების და დრამატული წრე საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოიცვა თემის (სოფლის) შიგნით და მათი პოზიტიური განწყობა დაიმსახურო.

ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალიზაციისთვის. მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩართვა რაღაც ტიპის ერთიან პროცესში, მაგალითად, შიდა სასოფლო ფესტივალებში ან ჭადრაკის ჩემპიონატში, საშუალებას იძლევა, ინერტული თემი და სოფლის ჩამიკვდარი კულტურული ცხოვრება ცოტა ხნით მაინც გამოაცილებლო. ერთობლივ ღონისძიებაში მოსახლეობის მონაწილეობა რამდენადმე ხელს უწყობს „საერთო საქმის“ (Res publica) – დიდი ხნის წინ ატროფირებული გრძნობის რეანიმაციას; ეს კი უპირველესი საფუძველია ზოგადად მოქალაქეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის. ასე რომ, ასეთი ღონისძიებების სოციალური მნიშვნელობაც უდავოა.

სტრატეგიული ხედვის დიაგრამა

საბოლოო მიზანი

სამოქალაქო საზოგადოება

შეალებული მიზანი

მეტი განათლებული და სამოქალაქო შეგნების მქონე ადამიანი ადგილზე

სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერება ადგილებზე

სათემო განვითარების პროგრამის განხორციელება

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება

სოციალური სანარმოების (სახელოსნოების) გაძლიერება

კავკასიური სახლი / სათემო განვითარების ცენტრი

სამოქალაქო განათლება – წარმოადგენს წინაპირობას საკუთარ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული, სოლიდარული და აქტიური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის; ამიტომაც ჩვენი ნებისმიერი საქმიანობა, იქნება ეს კულტურის კალენდრის ფარგლებში განხორციელებული შეხვედრები, დოკუმენტური ფილმების ფესტივალის ჩატარება, ეკოაქციები თუ სოციალური საწარმოების ამუშავება, გვერდს ვერ (არ) აუვლის აქტიური მოქალაქეობის იდეის ლობირებას.

წარმომადგენლობითი ჯგუფების გაძლიერება

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ადგილზე მუშობისათვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პარტნიორის. აქტიური გუნდის თუ ადგილობრივი ორგანიზაციის არსებობა წარმოადგენს წინაპირობას სათემო განვითარების პროგრამისათვის და თავისთავად თემის განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელიცა.

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ჯგუფების შესაძლებლობათა განვითარება ჩვენი მიდგომის ერთ-ერთ განმასაზღვრელ მოძრნად მიგვაჩნია. მას აქვს ორი მთავრი ასპექტი - ფილოსოფიური (ხედა) და ოპერაციული (მენეჯმენტი). ფილოსოფია გულისხმობს, რომ ადგილზე პრობლემების ყველაზე უკეთ გადაწყვეტა შეუძლია სწორედ ადგილობრივ ჯგუფს. ეს არის დეცენტრალიზაციისა და რეგიონალიზმის ანგანი, რომლის გარეშეც სრულყოფილი დემოკრატიები უბრალოდ წარმოუდგენელია. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ჯერ შორსაა იდეალურისგან, მაგრამ ჩვენ მოგვიწევს ამ გზით სიარული. მანამდე კი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ძლიერი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ორგანიზაციების არსებობას.

რაც შეეხება ოპერაციულ მომენტებს, ვთვლით, რომ მენეჯმენტის ის მოდელი, რომელსაც იყენებდა „კავკასიური სახლი“ 10 წლის განმავლობაში, წარმატებულია კოორდინირების თვალსაზრისითაც. შესაბამისად ჩვენი მდგომა გულისხმობს:

- ❖ ინტერვენციის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ისეთი თემის შერჩევას, სადაც უკვე არსებობს გამოკვეთილი (რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული) სამოქალაქო ჯგუფი/სათემო ინიციატივა;
- ❖ აქცენტის გაკეთებას ამ ჯგუფების გაძლიერებაზე (ე.წ. „ზედნაშენი“). მათი ადამიანური რესურსების გაძლიერება, მართვის თანამედროვე სტანდარტების უზრუნველყოფა; ზოგიერთ შემთხვევაში - საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და შემოსავლის მომტანი დამხმარე საქმიანობების განვითარების ხელშეწყობა. ჩვენი მიზანია, ამ ჯგუფებმა მიაღწიონ ორგანიზაციული განვითარების იმ დონეს, რომ დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი თემის ინტერესების დაცვა.

თემთან მუშაობის მთავარი პრინციპები

- ❖ განსაკუთრებული აქცენტი ახალგაზრდებზე;
- ❖ მეაფიო აქცენტი სამოქალაქო განათლებაზე;
- ❖ ადგილობრივი კონტექსტის გააზრება პროგრამის დაგეგმვისას;
- ❖ ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება;
- ❖ მცირე გრანტები, როგორც ზრდასრულთა განათლებისა და ინიციატივების წახალისების ინსტრუმენტი;
- ❖ თვითმმართველობებთან თანამშრომლობა;
- ❖ გამჭვირვალობა და თემის ინფორმირება;
- ❖ პროგრამის შემუშვების პროცესში თემის ჩართულობა და მისი ინტერესების გათვალისწინება;
- ❖ ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები განიხილება, როგორც განმახორციელებული პარტნიორები და არა მხოლოდ მიზნობრივი ჯგუფები;
- ❖ გენდერული ბალანსის დაცვა;
- ❖ მოხალისებობის კულტურის მიზანმიმართული დანერგვა.




სოფლის ცეკვის ანსამბლი დაფინანსებული CH მიერ.



სოფლის ზეიმი



თემთან მუშაობის ციკლი



3. გამოცდილება

3.1. ადგილობრივი სათემო ორგანიზაცია და ქალთა სახელოსნოები (წარმატებული ისტორია)

ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა სოფელში აერთიანებდა სკოლის მოსწავლეებს, სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს, უსაქმოდ და უფრო დარჩენლ ქალებსა და, საერთოდ, აქტიურ ადამიანებს, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი იყო, როგორც პირადი წარმატება, ისე საერთო საქმე და სოფლის კეთილდღეობა. ამ მუშაობის შედეგად ბუნებრივად გაჩნდა „სათემო ორგანიზაციის“ შექმნის იდეაც. დაგროვილ ენერგიას კა ჩვენი პარტნიორის - ბიოლოგიურ გარეურებათა ასოციაციის - „ელეკანას“ სათემო მობილიზების ტრენინგმა მისცა ბიძგი. შეიძლება ითქვას, რომ სათემო ორგანიზაციის შემდგომი წარმატებების ერთ-ერთი გასაღები სწორედ მის დაფუძნებამდე განეულ მუშაობაშია საძებნელი.

პარალელურად „კავკასიურმა სახლმა“ მუშაობა დაიწყო სოფლად შემოსავლის მომტანი საქმია-



სახელობო კურსისგავლის შედეგად მიღებული პროდუქტი

ნობების წახალისებაზე. პროექტის ფარგლებში 50-ზე მეტმა ქალმა ისწავლა სხვადასხვა ხელობა (ჭრა-კერვა, ქვილთი, თექა, ქსოვა, აბრეშუმის ქალალდას დამზადება, ლებვა, ეროვნული და თანამედროვე თოჯინების დამზადება, სიმინდის ფუჩეჩით წვნა, ფარდაგის ქსოვა). ასე მივედით „ქალთა ხელგარჯილობის სახელოსნოს“ დაფუძნებმდე. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი წინ უსწრებდა სოფლის მახლობლად მდებარე ადმინისტრაციული ცენტრის ტურიზმისა და კულტურის ცენტრად გამოცხადებას და სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. შედეგად, ქალაქის რებილიტაციის დასრულების შემდეგ ჩვენს მიერ შექმნილმა სახელოსნოებმა (რომლებიც ტერიტორიულად ახლოსაა მასთან) წარმატებით შეავსეს და გამდიდრეს მუნიციპალიტეტის და კერძოდ მისი ადმინისტრაციული ცენტრის ტურისტული პოტენციალი ადგილობრივი პროდუქციით.



გამწვანების და დასუფთავების აქცია



სოციალური საწარმოს პროდუქტი

კავკასიური სახლი / სათემო განვითარების ცენტრი

პროექტის დასრულების შემდეგ „კავკასიურმა სახლმა“ სახელოსნოების მართვა გადასცა ადგილობრივ „სათემო ორგანიზაციას“. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საუკეთესო გადაწყვეტილება თემის მობილიზაციის თვალსაზრისით. სახელოსნოებმა ეკონომიკური ეფექტის გარდა სათემო ორგანიზაციას შეძინა მნიშვნელოვანი ადამიანური კაპიტალი და-საქმებული ქალების სახით. გარდა ამისა, სახელოსნოებზე ზრუნვამ და პასუხისმგებლობამ სათემო ორგანიზაციის მენეჯმენტი ერთორიად გააძლიერა. ცხადი, ამში ჩვენც ვუწყობდით ხელს სხვდასხვა ტრენინგისა თუ კონსულტაციის საშუალებით.

სათემო ორგანიზაციის მხარდაჭერა და მისი შესაძლებლობების განვითარება არის განსხვავებული ამოცანა და დამატებითი სირთულეები ახლავს. ერთია, როდესაც შენ თვითონ ქმნი რაღაც ტიპის სერვისს რეგიონში და მეორეა - როდესაც გინდა, რომ ამ სერვისის მდგრადობისთვის ადგილზე შექმნა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც მუდმივად განაგრძობს მსგავს საქმიანობას თემში.

„სათემო ორგანიზაციის“ საქმიანობაში აქტიურად მხოლოდ ორი-სამი ადამიანი იყო ჩართული, ძირითადად ქალები (სხვათა შორის, ეს საინტერესო მომენტი) და აუცილებლად საჭიროებს კვლევას – ქალების როლი სათემო და, საერთოდ, განვითარების პროექტებში). ეს ჯავაჟი ცდილობდა, საკუთარ თემში (სოფელში) რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაეაქტიურებინა და ჩაერთო ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ მათ მიმართ მალევე გაჩნდა უნდობლობა და ეჭვა.

სოციუმში, სადაც ადამიანების დიდი ნაწილი დაუსაქმებელია და მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს, არ არსებობს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და საერთო სიმდიდრის განცდა, რთულია ადამიანების მობილიზება ისეთი საქმის გარშემო, როგორიცაა თუნდაც სოფლის თვითნებური ნაგავსაყრელის დასუფთავება ან ფესტივალის ორგანიზება. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ახალგაზრდების მასობრივი გადინება სოფლიდან.

მეორე მხრივ, უნდა ვალიაროთ, რომ თვითონ ამ აქტიურ ადამიანთა ჯგუფშიც მალევე გაჩნდა თვით-

იზოლაციისა და ელიტარულობის ტენდენცია. რაც უფრო იზრდებოდა ადგილზე „კავკასიურ სახლის“ მიერ შექმნილ შესაძლებლობები, მით უფრო იზრდებოდა არაჯანსაღი დამოკიდებულება და კონფლიქტები თემის შიგნით. ჩვენი გამოცდილებით, ეს არის განვითარების პროექტის გარდაუვალი რისკი, რომელიც მართვასაც (მართვას და არა გადაწყვეტას) სჭირდება განსაკუთებული მოთმინება და ძალის-ხმევა.

დღეისათვის სათემო ორგანიზაცია N და სახელოსნოები სტაბილურად ვითარდებან და არ არის გამორიცხული, საჭირო გახდეს სახელოსნოების ცალკე ორგანიზაციად დარეგისტრირებაც. სახელოსნებიდან შემოსავალი შეადგენს ნელინადში საშუალოდ 10 000 ლარს. შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება სახელოსნოში დასაქმებულ ქალების მოტივაციაც.



სოციალური სანარმოს პროდუქცია



სოციალური სანარმო



ტრენინგი თემის ნევრებისათვის

წარმატებების მიუხედავად სახელოსნოსაც და ორგანიზაციისაც კვლავაც სჭირდება დედაქალაქიდან პარტნიორების მხარდაჭერა. თუმცა ამ მხარდაჭერის შენაარსი განსხვავებულია იმისგან, რაც იყო 2-3 წლის წინ. დღეს ის აღარ არის პირდაპირი მიზნობრივი ჯგუფი, დახმარება კი გამოიხატება პარტნიორობით და რაც შეიძლება მეტ ერთობლივ ღონისძიებაში მათი ჩართვით.

3.2. საინფორმაციო ცენტრი (წარუმატებელი მაგალითი)

საქართველოში უამრავი სათემო ინიციატივა გაჩენილა, ბევრი მათგანი ორგანიზაციადაც დაფუძნებულა, მაგრამ მიზნობრივი სამუშაოს განხორციელებისთანავე შეუწყვეტია არსებობა (არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პირველადი სამუშაოც კი ვერ განხორციელდა და პროექტი ჩაიშალა). სიცოცხლისუნარიანობა – ეს არის მთავარი გამოწვევა სათემო განვითარების პროექტებისთვის.

სოფელში სათემო ორგანიზაციას უამრავი სუბიექტური თუ ბიუჯეტური მიზეზი უშლის ხელს, რომ დამოუკიდებლად განაგრძოს მუშაობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გახლავთ საკუთარი პროფილის არასწორად შერჩევა ან ვერ მოძებნა. როგორც წესი, ასეთი მცირე ორგანიზაციები მიზნად ისახავენ სოფლის ყველა პრობლემაზე მუშაობას – დაწყებული სოფლის მეურნეობიდან და დამთავრებული გარემოს-დაცვითი საქმიანობებით.

საწყის ეტაპზე იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა „სათემო ორგანიზაცია N“ და შესაბამისად „კავკასიური სახლიც“, რომელიც ცდილობდა ამ ორგანიზაციის გაძლიერებას. ის, რაც თავიდან, ერთი შეხედვით, აუცილებელი და საჭირო ჩანს, საქმის დაწყების შემდეგ აღმოჩნდება, რომ სულაც არ ყოფილა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო სოფლად საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რომელიც კონსულტირებას გაუწევდა მოსახლეობას სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. (სოფლის მეურნეობა, იურიდიული დახმარება, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობა).

ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ ამ ფუნქციის შესრულებას წარმატებით მოახერხებდა „სათემო ორგანიზაცია N“.

საინფორმაციო ცენტრის შექმნის ნაწილი უნდა ყოფილიყო უფასო კომპიუტერული კურსების შეთავაზებაც ადგილობრივი მოსახლეობითვის. მოვალეობით აღმოჩნდა, რომ არც კონსულტაციისა და არც კომპიუტერული კურსების სეგმენტმა არ იმუშავა. ამის მიზეზი იყო ორმხრივი შეცდომები ჩვენი და ჩვენი პარტნიორების მხრიდან, ძირითადად დაგეგმვის ეტაპზე:

- არ შევაფასეთ სათანადო ადგილობრივი მო-სახლეობის საჭიროებები და გადაწყვეტილება

მივიღეთ სპონტანურად;

- არ შევაფასეთ ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის შესაძლებლობაც - რამდენად შეძლებდა ის კონსულტირების ფუნქციის საკუთარ თავზე აღებას;
- სათანადოდ არ დავინტერესებულვართ პარტნიორების გამოცდილებით მსგავს საქმიანობასთან დაკავშირებით;
- არ გვინარმოებია სათანადო ახსნა-განმარტება აღნიშნული ცენტრის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებისთვის;

ერთადერთი, რაც ჩვენს სასახელოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, არის ის, რომ სწრაფად მოვეგეთ გონის, საინფორმაციო ცენტრის შექმნა არ ვაქციეთ „იდეა ფიქსად“ და მისი წარუმატებლობის ტყვევები არ გავხდით. განვითარება შეუძლებელია ჩავარდნების გარეშე. ასეთი შეცდომები გაძლევს შანსს - გაიზარდო, გადახედო საკუთარ მიღებობებს, სტრატეგიას, მართვის სტილს; გახდე უფრო თანმიმდევრული და რეალისტურად დაგეგმო მომავალი.

4. დასკვნა

როგორც ვნახეთ, სათემო განვითარება ხანგრძლივი პროცესია და მისი წარმატება თუ წარუმატებლობა დამოუკიდებულია ბევრ სუბიექტურ თუ ბიუჯეტურ ფაქტორზე; ზოგადად, ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით დაწყებული, ადგილობრივი თემის ერთი შეხედვით უმნიშვნელო სპეციფიკური მახასიათებლებით დამთავრებული. ჩვენი ტიპის საზოგადოებაში განვითარების პროექტს მეტაფორულად უმიერბადასთან ბრძოლა შეგვიძლია ვუწოდოთ.

აპათიურობა და ყველაფრისთვის ეჭვის თვალით ყურება – ეს არის საბჭოთა კავშირგამოვლილ და დამოუკიდებელ საქართველოშიც არაერთხელ იმედგაცრუებულ ადამიანთა მთავარი ტრაგედია. განვითარების მთავარი ინდიკატორი კი წარმატების ბაცილის შექმნა უნდა იყოს. ადამიანებმა უნდა დაინახონ, რომ ძალისხმევით, თანამშრომლობით, გახსნილობით, მათივე მეზობლების, მეგობრებისა და ტოლ-სწორების მონაწილეობით რაღაც სასიკეთოდ იცვლება.

„კავკასიური სახლის“ რეგიონში მუშაობის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ განვითარების პროექტების მართვისას მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რა მეთოდს მიმართავ თემის შესაძლებლობების გასავითარებლად, არამედ – რამდენად ადეკვატურია კონკრეტული მეთოდი კონკრეტულ ვითარებაში. განვითარების თთოვეულ ეტაპზე სხვდასხვა ამოცანა იჩენს თავს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ამოცანების ზუსტად განსაზღვრა და თანმიმდევრული მუშაობა მათ განსახორციელებლად.

„კავკასიური სახლის“ მიდგომების კორექტირება (როდესაც მიზნობრივი ჯგუფი - სკოლა შეიცვალა სათემო ორგანიზაციით) დამოკიდებული იყო საგარეო ფაქტორებზე; ამ ცვლილების გარეშე კი პროექტი განწირდული იყო წარუმატებლობისთვის. წარმატება, ჩვენი გამოცდილებით, მოდის მაშინ, როდესაც ერთმანეთს ემთხვევა სხვადასხვა ფაქტორები: იქნება ეს სახელმწიფო პოლიტიკა, დონორის ინტერესი თუ პარტნიორი ორგანიზაციების პარალელური ძალისხმევა.

პოპულერი ისაა, რომ ორგანიზაციებს, როდესაც

ისინი ხანგრძლივად მუშაობენ ამა თუ იმ მეთოდით, უჭირთ დაჯერება, რომ საჭიროა მიდგომის შეცვლა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ საქმიანობას ხშირად შეხედო უცხო თვალით „გვერდიდან“ და მუდმივად იყო ცვლილებასა და ზრდაზე ორიენტირებული.

„კავკასიური სახლის“ სამუშაო მეთოდოლოგით, რომელიც სწორედ თემში მრავალწლიანი მუშაობის კრიტიკულად გააზრების შედეგად შემუშავდა, 2011 წლიდან „სათემო განვითარების ცენტრი“ განაგრძობს მუშაობას საქართველოს რეგიონებში.




კავკასიური სახლი

გალაქტიონ ტაბიძის ქ. №20,
0105, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2 99-72-61/ 2 98-83-39/ 2 93-62-93
ფაქსი: (+995 32) 2 99-72-61

info@caucasianhouse.ge

სათემო განვითარების ცენტრი

გალაქტიონ ტაბიძის ქ. №20,
0105, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2 998 322
satemocdc@gmail.com
www.satemo.ge



სათემო განვითარება და თემობის მუშაობა

**CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი
არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
ნინო თევზაძე, ნინო გაფრინდაშვილი**



1. შესავალი

CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - არასამთავრობო რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც 1998 წელს დაარსდა და აქტიურად მუშაობს შემდეგი ხუთი მიმართულებით: სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და ინსტიტუციური განვითარება, გარემოსდაცვითი კვლევა და პოლიტიკა, რესურსების მართვა, საერთაშორისო მოთხოვებისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მართვა, მდგრადი განვითარება და კომუნიკაცია.

CENN-ის მიზანია, ხელი შეუწყოს ძლიერი და პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ეფექტური გარემოსდაცვითი მმართველობისა და ანგარიშვალდებული კერძო სექტორის განვითარებას, რაც დაიცავს გარემოს და ხელი შეუწყობს ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას.

CENN საქმიანობს სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. ორგანიზაციას აქვს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის აქტიური ჩართვითა და მონანილებით ერთობლივი პროექტებისა და აქტივობების განხორციელების სოლიდური გამოცდილება რეგიონულ დონეზე.

CENN თვლის, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობისას ძალიან ეფექტურია ქსელური მუშაობა და თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

2. სათემო მობილიზაცია – მისი რაობა და მნიშვნელობა

მოკლედ განვსაზღვროთ, რას გულისხმობს CENN ტერმინში „სათემო მობილიზაცია“. სათემო მობილიზაცია – ეს არის თემის (იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ საერთო ინტერესები, პრობლემები, ხედვა) თანამონანილეობრივი გზით უნარ-შესაძლებლობების განვითარების პროცესი, რომელიც ემსახურება მოქალაქეების გაერთიანებას კონკრეტული პრობლემის გარშემო, მისი გადაჭრის გზის მონახვას და გადაჭრას. ამავე დროს ეს პროცესი ამზადებს თემს იმსათვის, რომ მან მომავალში დამოუკიდებლად შეძლოს საკუთარი პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი, მდგრადი და ხანგრძლივგადიანი გადაჭრის გზების შემუშავება და მათი განხორციელება.

თემის მობილიზაცია მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გამო:

- მობილიზებული თემი ეფექტიანად რეაგირებს არსებულ საჭიროებებსა და პრობლემებზე: თემს აქვს შესაძლებლობა, განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის კონტექსტუალურად მისაღები სტრატეგია, შეიმუშაოს პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი, ეკონომიკურად რენტაბელური და მდგრადი გეგმა.
- სათემო მობილიზაცია ხელს უწყობს თემის წევრები თემისადმი (თემის საერთო რესურსები და პრობლემები) კუთვნილების გრძნობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას;
- სათემო მობილიზაცია ზრდის თემში არსებული პრობლემების გადაჭრის წარმატებულობის ხარისხს (შედეგებისა და მათი მდგრადი დობის თვალსაზრისით);
- სათემო მობილიზაცია თემის წევრებში ზრდის გაუმჯობესებული სერვისისა და ცვლილებების მოთხოვნილებას;
- სათემო მობილიზაციას თემში ქცევითი ცვლილები შეაქვს, რაც, თავის მხრივ, ზრდის თემში ამ ქცევისა თუ პრაქტიკის დანერგვის შესაძლებლობას.

CENN-ის სათემო მობილიზაციის მეთოდოლოგია

2001 წლიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონში CENN საკმაოდ აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, სათემო მობილიზაციისა და შესაძლებლობების გაზრდის თვალსაზრისით.

CENN-ის სათემო მობილიზაციის მიზანი არის თემების გაძლიერება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონანილეობის ხელშეწყობა, თანამონანილეობრივი დაგეგმვის პროცესის ჩამოყალიბება და უფრო ფართო ქრილში – საზოგადოების (ქვემოდან ზემოთ) ზეგავლენის ზრდა სხვადასხვა ტიპის ცვლილებების ინიცირების თვალსაზრისით.

CENN-ის სათემო მობილიზაციის სტრატეგიას/ხედვას წარმოადგენს თემების გაძლიერება ინიცირების მუდმივი მიწოდების, ცნობიერების ამაღლების, თანამშრომლობისა და უნარ-შესაძლებლობების გაზრდის გზით, რათა თემმა მოგვიანებით უკვე თავად შეძლოს ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და გადაჭრა.


CENN-ის სათემო მობილიზაციის ცოდნა ეფუძნება გარკვეულ პროფესიულ ტრენინგსა და სწავლებას; აგრეთვე, უშუალოდ მიღებულ გამოცდილებას.

სამიზნე ჯგუფები:

- ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლები;
- გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უნიკების ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე (საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანიზაციები);
- ქალები;
- ახალგაზრდები (სკოლის მონაცემები, სტუდენტები);
- მარგინალური ჯგუფები.

სათემო მობილიზაციის ძირითადი ეტაპები:

- საკითხის იდენტიფიცირება – კონკრეტულ თემში არსებული პრობლემის გამოვლენა პრობლემური საკითხების ანალიზისა და პრიორიტეტების განსაზღვრის გზით (ადგილობრივი თემის ნარმომადგენლების უშუალო ჩართვისა და კონსულტაციის საფუძველზე);
- დაინტერესებული მხარეების ანალიზი (ბენეფიციარების, პარტნიორების და სხვა მთავარი დაინტერესებული მხარეების გამოვლენა მოცემულ პრობლემასთან მიმართებაში) და თემის სოციალურ-ეკონომიკური პროფილის მომზადება;
- ადგილზე გასვლა და იქ საკითხის შესწავლა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების აქტიური თანამონაზიდებით;
- სიტუაციურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზი – საკითხის შესწავლა უშუალოდ დაინტერესებული მხარეებისა და ექსპერტების ჩართვით; სხვადასხვა ინფორმაციის, ანგარიშების, ოფიციალური მონაცემებისა და სხვა მასალის მოძიების გზით;
- შესაბამისი მასალებისა – ანგარიშებისა და რუკების მომზადება, თანამედროვე მიდგომების გამოყენება მონაცემების ვიზუალიზაციისა და მათი ადვილად აღქმადობის მიზნით;
- თემის საჭიროებებზე ფოკუსირებული ცნობიერების ამაღლება და უნარ-შესაძლებლობების გაზრდა – საგანმანათლებლო მასალების, საინფორმაციო პაკეტების შექმნა და ადგი-



შეხვედრა სოფლის მოსახლეობასთან

ლობრივ თემში გავრცელება; სასწავლო კურსების შემუშავება; სემინარების, ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების ჩატარება; სამუშაო თემატური ჯგუფების ჩამოყალიბება თემის აქტიური წევრებისგან, ე.ნ. ბუნებრივი ლიდერების გამოყოფა და მათ უნარ-შესაძლებლობების გაზრდაზე აქტიური მუშაობა;

- საკითხზე ორიენტირებული დიალოგის ინიცირება: რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე მოცემული პრობლემის ადვოკატირება, ლობირება; სემინარების, შეხვედრების, მრგვალი მაგიდების რეგიონალური ჩატარება ადგილობრივი ჯგუფების აქტიური ჩართვით; საკითხზე ორიენტირებული კონალციების ჩამოყალიბება, პეტიციების, ექსპერტული დასკვნების გამოქვეყნება და ა.შ;
- მედიასაშუალებების აქტიური ინფორმირება და ჩართვა საკითხის ლობირებაში – პრესტურები, პრესკონფერენციები, პრესრელიზები, სოციალური რეკლამები, საგაზითო სტატიები, სატელევიზიო სიუჟეტები და სხვ.;
- გეგმის შემუშავება, სადაც მოცემული იქნება რეკომენდაციები/საქმიანობები, შიძართული პრობლემის მდგრად, ხანგრძლივგადინ, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები გზით გადაჭრაზე; ასევე, თემის მდგრად განვითარებაზე (ადგილობრივ თემითან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე);



ეპობანაკი



ტრენინგი თემაზე - ადგოკატირება და ლობირება





- გეგმის კონკრეტული ქმედებ(ებ)ის პილოტი-რება თემის აქტიური მონაწილეობით – დოკუმენტისადმი ნდობისა და კუთვნილების (რაც შემდგომში ამ დოკუმენტის განხორციელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია) გრძნობის ჩამოყალიბების მიზნით;
- ზრუნვა თემის მდგრად განვითარებაზე – სანამ ორგანიზაცია სრულად “გამოვა” თემიდან, რაღაც პერიოდით ის ადგილობრივ თემს გარკვეული ტიპის დახმარებას უნდავს (ექსპერტული დასკვნების, რეკომენდაციების მინოდება და სხვა სახის ტექნიკური დახმარება) თემის მდგრადი განვითარების მიზნით.



3. გამოცდილება

3.1. წარმატებული გამოცდილება

ა) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - სოფელ N-ში ადგილობრივი მოსახლეობა 10 წელზე მეტი წელის განმავლობაში სასმელად ვერ იყენებდა ონკანის წყალს. ამის მიზეზი მოვცელებული მიღები და დაზიანებული სათავო ნაგებობა იყო. CENN-ის სათემო მობილიზაციის სამუშაოების ჩატარების შედეგად ადგილზე ჩამოყალიბებულმა ადგილობრივმა საინიციატივო ჯგუფმა დაიწყო აქტიური მუშაობა



სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები



დამენტრილი გზა

სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად. მან ჩატარა შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ავრეთვე, სოფელში წყლის მოწოდებაზე პასუხისმგებელ კომპანიასთან. დაისახა საკითხის მოგვარების გზები და განაწილდა პასუხისმგებლობები და როლები პრობლემის მოგვარების პროცესში. აღნიშნულ კამპანიაში აქტიურად იქნა ჩართული მედიასაშუალებები. ყველა მხარე – ადგილობრივი მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება და წყალმომარაგებზე პასუხისმგებელი კომპანია – შეთანხმდა, რომ წყლის მიწოდების სისტემის რეაბილიტაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო სოფლისათვის.

ზემოთ აღნიშნული კამპანიის შედეგად წყალმომარაგების კომპანიამ განახორციელა მავისტალური წყალსადენის რეაბილიტაცია სოფლამდე; ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით სოფელში კაპიტალურად გარემონტდა წყლის სისტემა. დღეისათვის ადგილობრივ მოსახლეობას სუფთა სასმელი წყალი მიეწოდება.

ბ) დამენტრილი გზის რეაბილიტაცია – 2010 წლის ივნისში სოფელ N-ში ჩამოწვა მეწყერი, რომელმაც გადაკეტა 22 სოფლის 360 ოჯახთან მისასვლელი ერთადერთი საავტომობილო გზა. მოსახლეობა მოსწყდა გარე სამყაროს და ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა 2 კვირის განმავლობაში, საკვები პროდუქტები და მედიკამენტები მათ მხოლოდ ვერტ-მფრენით მიეწოდებოდა.



სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია



დამენტრილი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

CENN-ის ჯგუფმა, თემის რწმუნებულთან მჭიდრო თანამშრომლობით, მოაწყო სათემო შეხვედრები. შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლზე გაიგზავნა განცხადებები მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში, რათა მომზდარიყო სიტუაციის ადგილზე შესწავლა და მიღებულიყო შესაბამისი ზომები პრობლემის გადასაჭრელად. ამის პარალელურად მოხდა ინფორმაციის გაურცელება პრესისა და ტელევიზიის საშუალებებით (განხორციელდა რამდენიმე პრესტური, ადგილზე უურნალისტების ჩატვანით).

შედეგად გაინინდა გზა და ადგილობრივ მოსახლეობას შეიცა გადაადგილების საშუალება.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – პრობლემის ხანგრძლივადიანი გადაჭრის თვალსაზრისით – სახელმწიფომ გამოყო დამენებრილი გზის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხა.

3.2. წარუმატებელი გამოცდილება

სოფელ N-ში ფუნქციონირებს ყველის გადამამუშავებილი 11 პატარა საწარმო. ყველის წარმოებისას გამოყენებული წყალი, ყოველგვარი განმენდის გარეშე, მიედინება გზების გაყოლებაზე არსებულ არხებში. ზაფხულის პერიოდში, როდესაც ცხელა, ორგანული ნარჩენი, რომელიც ამ არხებში ხვდება, იხრნება, აქვს უსიამოვნო სუნი და ინვენს სხვადასხვა დაავადებას. ბუნებრივია, ეს სერიოზულ პრობლემას უქმნის ადგილობრივი მოსახლეობას.

წლების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა პრობლემის გადაჭრის თხოვნით მიმართავდა სხვადასხვა უწყებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

აღნიშნულ თემში მუშაობა დაიწყო CENN-მა თავისი ერთ-ერთი ინიციატივის ფარგლებში, მოახდინა ადგილზე სათემო მობილიზაცია, რის შედეგადაც სოფელში ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარმა ჯგუფმა აქტიური მოქმედები წამოიწყო ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოსაგარებლად.

ჯგუფმა რამდენიმე მიმართულებით დაიწყო მუშაობა:

1. გამოყენებული წყლის გამენდი ნაგებობის დამონტაჟების შესაძლებლობა (მოხდა შესაბამის ექსპერტებთან დაკავშირება, რომელმაც ადგილზე შეისწავლეს სიტუაცია და შეიმუშავეს გამენდი ნაგებობის პროექტი თავისივე ბიუჯეტით);
2. მენარმეების ცნობიერების ამაღლება; ძალის-ხმევა მიმართული იყო მათვის ამ ნაგებობის საჭიროების და მნიშვნელობის დემონსტრირებაზე;
3. ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი საწარმოებისაგან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მოთხოვნის თვალსაზრისით.

ამის პარალელურად ჯგუფმა ოფიციალური წერილებით მიმართა შესაბამის სახელმწიფო (ადგილობრივ მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვი-

თარების სამინისტროს, გარემოს ეროვნულ სააგენტოს) სტრუქტურებსა და კერძო კომპანიას პრობლემის მოგეარების მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორია, რომელზეც უნდა მომხდარიყო გამნენდი ნაგებობის დამონტაჟება ამ კერძო კომპანიის მფლობელობაში იყო. CENN-მა გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიმართა ოფიციალური წერილით და სთხოვა მას შუამავლობა აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. გამართა მოლაპარაკებები კერძო კომპანიასთანაც და, შედეგად, კომპანიამ გამოყო გამნენდი ნაგებობისათვის საჭირო ტერიტორია.

როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები და მუშაობა ამ 11 მცირე საწარმოს მფლობელებთან, რომელმაც შედეგად თანხმობა განაცხადეს გაელოთ თანხა გამნენდი ნაგებობის ასაშენებლად. საბოლოო ჯამში მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც თანხის ნაწილს გაიღებდა ადგილობრივი ბიუჯეტი, ნაწილს თავად შეწარმები დააფინანსებდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ გამოყო თანხა „ზემოდან“ გარკვეული ზენოლის შედეგად. მენარმეებმაც უარი განაცხადეს საკუთარი თანხებით მთლიანად დაეფინანსებინათ პროექტი და ეს აქტივობა ჩაიშალა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჭირო იყო მეტი მუშაობა მედიასათან (ადგილობრივი მედიასაშუალებების ჩათვლით), რათა ადგილობრივ მთავრობას მის მიერ აღებულ ვალდებულებაზე უარი ვერ ეთქვა და გარკვეული „ზენოლა“ მომხდარიყო მასზე – გამნენდი ნაგებობის დამონტაჟებისათვის საჭირო თანადაფინანსების გასაღებად.

4. დასკვნა/ჩეკომენდაციები

ბოლოს, დასკვნის სახით, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას რამდენიმე ასპექტს, რომელთა გათვალისწინება განსაზღვრავს სათემო მობილიზაციის ეფექტურობას:

- კონკრეტულ საკითხზე ორიენტირებული სხვადასხვა დაინტერსებული მხარის მონაშილეობით დიალოგის ხარმოება;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზისა და დიალოგის ნარმოება;
- მონაცემების ვიზუალიზაცია შესაბამისი მასალების ადვილად აღქმის მიზნით;
- თემში ბუნებრივი ლიდერების იდენტიფიცირება და მათთან აქტიური მუშაობა;
- მედიასაშუალებების აქტიური ინფორმირება და ჩართვა.

CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

ბეთლემის ქ. № 27, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 275 19 03/04; ფაქს: +995 32 75 19 05

info@cenn.org
www.cenn.org



CENN
Central Environmental NGO Network

თემაზე მუშაობა – გზა განვითარებისაკენ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი
ნინო ვასაძე



არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს! ნ. ბარათავაშვილი

1. შესავალი



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც 1995 წლიდან ფუნქციონირებს და რომლის საქმიანობაც ამ ეტაპზე მთელ საქართველოს, უფრო ფოკუსირებულად კა კახეთისა და გურიის რეგიონებს, ფარავს. ორგანიზაციის მისია საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ორმასრივი დაიალგის ხელშეწყობის გზით ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაა. ამის მისაბლებად ორგანიზაციის ძირითადი სტრატეგია ერთის მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება და მეორეს მხრივ, ქვეყანაში კარგი მმართველობის ხელშეწყობაა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეებზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება თავის მხრივ მოიაზრებს მათი ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, მათთვის გარკვეული ტრენინგ- და საკონსულტაციო მომსახურების განვითარებას და ადგილობრივ (რეგიონების და სოფლის) დონეზე საზოგადოებრივი და სათემო ჯგუფების ფორმირებასა და ინსტიტუციურ გაძლიერებას. თემის განვითარების მიმართულებით ცენტრის მუშაობა ჯერ კიდევ 1998 წლიდან იწყება, როდესაც მიდგომა შემოიფარგლებოდა მხოლოდ სოფლებში არაფორმალური სათემო ჯგუფების ფორმირებითა და მათ მიერ მიკროპროექტების განხორციელებით. მიკროპროექტების კომპონენტი ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში თავად მოსახლეობის აქტიურად ჩართვას ისახავდა მიზნად. 2005 წლამდე ორგანიზაცია მხოლოდ ორ – ოზურგეთისა და ლაგოდების მუნიციპალიტეტებში მუშაობდა, თუმცა დაგროვილმა გამოცდილებამ და მიღწეულმა შედეგებმა, აგრეთვე, პროგრამის გარე შეფასების

სამართლის ეროვნული კვლევებისა და განვითარების ცენტრი



დადგებითმა რეკომენდაციებმა მისი (პროგრამის) გეოგრაფიული არეალის გაშლა და მიდგომების დახვენა განაპირობებს. 2006 წლიდან პროგრამა თემის/სოფლის განვითარების ქსელური პროგრამის სახეს იღებს, ხორციელდება კახეთის და გურიის 6 მუნიციპალიტეტში და ცენტრთან ერთად მისი განმახორციელებლები არიან რეგიონული პარტნიორი ორგანიზაციები: საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (ქ. ლაგოდები) და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი (ქ. ოზურგეთი).

წინამდებარე სტატია სწორედ 2006-2010 წლებში განხორციელებულ საქმიანობაზე გააკეთებს აქცენტებს და შეეცდება, მეითხველს შეუქმნას წარმოდგენა პროგრამის მიდგომებსა და მიღწეულ შედეგებზე; ასევე, წარმოქმნილ დაბრკოლებებსა და მიღებულ გაკვეთილებზე.

2. ძირითადი მიზანები და მიზანები


მრავალნაირი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ თემის განვითარებას მივიწინეთ საკმაოდ რთულ და კომპლექსურ პროცესად, რომლის ერთ-ერთი განუყოფელი ნანილი და საწყისი ეტაპი თემის განათლებაა. თუმცა, თემის განვითარება მხოლოდ ამ მნიშვნელოვანი კომპონენტით არ შემოიფარგლება და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (იმ გადაწყვეტილებზე, რომლებიც ამ კონკრეტულ თემზე ახდენს გავლენას) თავად თემის, ანუ მოსახლეობის ზეგავლენასაც გულისხმობს.

საწყის ეტაპზე 1998-2005 წლებში ჩვენი მიდგომა უფრო თემის მობილიზაციის ერთჯერად ინტერვენციას წარმოადგენდა; რაც სოფლის კონკრეტული პრობლემის ირგვლივ ლიდერთა ჯგუფის (ე.ნ. კომიტეტის) ფორმირებით და მის მიერ ამ პრობლემის მოგვარებაში მოსახლეობის ჩართულობა, როგორც ფიზიკური შრომით, ისე ფულადი შენატანით, მართლაც მნიშვნელოვანი იყო და პროექტის შედეგით მოსახლეობა წლების მანძილზე იღებდა სარგებელს, თავად ჯგუფი პროექტის დასრულებისთანავე ან ძალიან მოკლე პერიოდში იშლებოდა და შემდგომში მისი, როგორც სოფლის ინტერესების წარმომჩენის და დამცველის, აგრეთვე, საჭირო მომსახურების მიმწოდებელის როლი ფაქტობრივად იყარგებოდა. არადა, სწორედ ეს უკანასკნელი განხილება თემის განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობად. შესაბამისად, პირველ ეტაპზე პროგ-

რამის პირდაპირი სამიზნები სოფლის მიერ არჩეული ლიდერები, ანუ კომიტეტის წევრები იყვნენ (ძირითადად საშუალო და მეტი ასაკის ადამიანები), ხოლო მოსარგებლები – მთელი სოფლის მოსახლეობა. რა თქმა უნდა, პროგრამა შეიცავდა სწავლების და ინფორმირების ელექტრონულ ბაზაც, თუმცა განსაკუთრებული აქცენტების გარეშე. ამგვარი მიდგომით პროგრამამ 27 თებერვალი, ანუ სოფელში იმუშავა და მისი ფინანსური დახმარებით ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული 29 პროექტი განხორციელდა.

პირველი ტეაპის ანალიზის და გამოტანილი დასკვნების საფუძველზე ორგანიზაციამ გადაწყვიტა, მეტი აქცენტი გაეკეთებინა სოფლის არაფორმალურ ჯგუფების განვითარებასა და ინსტუტუციონალიზაციაზე, რაც სწავლების და ინფორმირების ელემენტის გაძლიერებას მოიაზრებდა. სათემო ჯგუფების შემადგენლობაში უფრო მეტად ახალგაზრდების ჩართვას და გამოტანილ უყრადღებას, ვინაიდან ახალგაზრდების სწავლა სიახლეების და ახალი ცოდნისაკენ გაცილებით უფრო მაღალია. მათ უფრო მეტი დროის დათმობა შეუძლიათ საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და საკონფლიქტო სამიზნების შემსრულებელი არიან იმისათვის, რომ სოფლისათვის საჭირო და სასიკეთო საქმე აკეთონ. 2006 წლიდან დაიწყო იმავე მუნიციპალიტეტებში სამიზნე სოფლების (ანუ თემის) შერჩევა და მათში ახალგაზრდული ცენტრების ფორმირების პროცესი. თემის ქვეშ პროგრამა მოიაზრებდა ერთ ან რამდენიმე სოფელს (ემთხვევა ტერიტორიული მოწყობის ოფიციალურ მონაცემებს), რომლის მოსახლეობასაც სათემო ახალგაზრდული ცენტრი სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობდა. ამგვარი ცენტრების ფორმირების მიზანი კი სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და, არსებული რესურსის მობილიზებით, ადგილობრივი პრობლემების უკეთ მოგვარება გახლდათ. 2006 წლიდან 2010 წლის ჩათვლით ახალგაზრდული ცენტრების ფორმირება გურიის და კახეთის რეგიონების 25 თემში მოხდა.

თემთან მუშაობის ციკლი შემდეგნაირად გამოიყურება:



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

1. თემის/სოფლის შერჩევა - შერჩევის პროცესი პროგრამისათვის საკვანძო აღმოჩნდა. თემის და ადგილობრივი ლიდერების სწორი არჩევანი პროექტის წარმატების მყარი საფუძველია. ამაში კიდევ ერთხელ დაგვაწმუნა განვლილმა პრაქტიკამ. შერჩევისას ვეფრდნობოდით შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსახლეობის მზაობა და ინტერესი პროგრამაში
- თემში პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის საჭიროების ხარისხი.

ჩამოთვლილი ასპექტების სრულყოფილი ანალიზისას დამბმარე კრიტერიუმებად განიხილებოდა: თემის სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობა, მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრამდე, თემში მცხოვრები ახალგაზრდების რიცხვი, რწმუნებულის (ხელისუფლების წარმომადგენლის) მზაობა თანამშრომლობისთვის, სათემო ახალგაზრდული ცენტრის ოფისს მოწყობისათვის საჭირო ფართის არსებობა თემში. მოსახლეობის პროგრამაში მონაბილეობის სურვილი შეფასდა სოფლის ახალგაზრდების ჯგუფთან მრავალჯერადი შეხვედრის და ერთობლივი საქმიანობის შემდეგ. შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი ახალგაზრდული ჯგუფის მიერ საკუთარი ძალებით რაიმე ინციატივის განხორციელება გახლდათ. რამდენიმე მოკვლეული სოფლიდან მოხდა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სამიზნების შერჩევა და თავად ამ პროცესს 3-4 თვე დასჭირდა.

2. ახალგაზრდული ჯგუფის ფორმირება

წინა ეტაპიდან გამომდინარე, თითოეულ სოფელში გამოიკვეთა 10-25-კაციანი აქტიური ჯგუფები, რომელთა მიერ ორგანიზებულ დიდ შეხვედრაზე განისაზღვრა მათი სამომავლო ხედვა და საჭიროებები; ასევე, მოხდა ამ მისის განმახორცილებელი ბირთვის, ანუ ჯგუფის და მისი 2 კოორდინატორის არჩევა. არჩევნების დროს ყურადღება ექცეოდა გენდერული ბალანსის დაცვას, რათა ქალებიც თანაბრად ყოფილიყვენები წარმოდგენილი საინიციატივი ჯგუფში. პროგრამის მოთხოვნა არ გახლდათ საწყის ეტაპზევე ჯგუფის დარეგისტრირება, ამ გადაწყვეტილებამდე მისავლელად ჯერ კიდევ საცდელი, წინააღმდეგობებით აღსავსე დიდი გზა იყო გასავლელი.



პირველადი შეხვედრები თემთან



სათემო ცენტრში განვერიანება შეეძლო ამ თემის ნებისმიერ მცხოვრებს, განუჩრჩევლად ასაკისა, რომელიც ცენტრის პროექტებში მონაწილეობის მზაობას გამოითქვამდა.

სათემო ცენტრის საინიციატივო ჯგუფში შედის 5-დან 15-მდე ადამიანი, ხოლო წევრების რაოდენობა გაცილებით დიდია; სათემო ცენტრების წევრთა 70%-ზე მეტი ქალა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ქალებით დაკომპლექტებული ჯგუფები გაფილებით უფრო აქტიურია.

3. ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება

ჯგუფების შერჩევას და პირველად კონსულტაციებს თან მოჰყვა საწყისი ეტაპის სამოქმედო გეგმების მომზადება, სათემო ცენტრებისათვის საჭირო ფართის შერჩევა, კეთილმოწყობა და აჭლურვა. ოფისების მოხყობასა და ტექნიკით აღჭურვაზე პროგრამის მიერ გაიცა პირველი, ანუ ოფისების მოწყობის გრანტები, რომელთა რაოდენობა 2800 ეკროს არ აღემატებოდა. ჯგუფის გაძლიერების და, ზოგადად, თემის განვითარებისათვის საკანძო როლს თამაშობს ჯგუფის და მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი თავშეყრის და შეხვედრების ადგილის არსებობა, მით უფრო - სოფლებში დღეს არსებული დეფიციტისა და არასასურველი მდგომარეობის ფონზე (უმოქმედო და, ხშირ შემთხვევაში, დანგრეული კულ-



სათემო ცენტრის ბაზაზე მოქმედი სამეცნიერო კულტურული დღე



სპორტული შეჯიბრი

ტურის სახლები). სათემო ცენტრებს ფართი უმეტეს შემთხვევაში უსასყიდლოდ გადასცეს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა ისეთ შენობებში, როგორებიცაა: სოფლის ადმინისტრაციული შენობა, კოლმეურნეობის ძველი ნაგებობები და საბავშვო ბაგა-ბალები. პროგრამული დაფინანსებით და ახალგაზრდების ფიზიკური შრომით შერემონტდა ერთი ას ორი ოთახი, შემდეგ კი აღიჭურვა სათემო ცენტრის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარით და ტექნიკით (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი, კვების წყარო).

რაც შეეხება სათემო ცენტრების ზოგად საქმიანობას, განზოგადების საფუძველზე მათ მუშაობაში სამი ძირითადი მიმართულება იკვეთება:

მოსახლეობის ინფორმირება და განათლება - უფასო კომპიუტერული კურსები, სხვადასხვა ხელსახმის წრეები – კერვა, ქარგვა, თექა; საკვარაო სკოლა – სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება და მოსახლეობაში გავრცელება, ინტერნეტ-მომსახურება, საქმიანობის და პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა ტიპის სემინარები (სასოფლო-სამეურნეო, იურიდიულ საკითხებზე) და ა.შ.

შემცნებითი და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება – ინტელექტუალური თამაშები, სპორტული შეჯიბრებები (ფეხბურთი, ფრენბურთი, შაში, ნარდი, დოლი და ა.შ.) და მარათონები, კონცერტები და პოეზიის საღამოები, ექსკურსიები და ლაშქრობები, დასუფთავების აქციები.

ადგილობრივი პრობლემების მოგვარება – თემის თანამონაწილეობითი მოკვლევის (შეფასების) მეთოდის გამოყენებით სოფლის პრობლემების კვლევა, უბნებზე ლიდერთა გამოვლენა და მათთან აქტიური ურთიერთობა, სოფლის რწმუნებულთან თანამშრომლობა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან შეხვედრები, გამოვლენილ პრობლემებზე პროექტების მომზადება და შესაბამისი დაფინანსების მოძიება (როგორც პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებზე, ისე სხვა წყაროებიდანაც), მიკროპროექტების განხორციელება.



პროექტი - კეთილმოწყობილი საბავშვო მოედანი

საწყის ეტაპზე სათემო ცენტრების მიერ მზადდებოდა უფრო მოკლევადიანი – ექსტვიანი გეგმები, რაც დროთა განმავლობაში წლიურ გეგმებში გადაიზარდა. ამგვარი მიდგომა პროგრამას მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა და, როგორც თავად პროგრამის გუნდის, ისე სათემო ცენტრებისათვისაც გამოიცდილების დაგროვების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა.

იმისათვის, რომ ამ გეგმების შესრულება რეალური გამხდარიყო, პროგრამა თითოეულ სათემო ცენტრს მიმდინარე საოპერაციო ხარჯებსაც უფარავდა. ეს თანხა საშუალოდ თითოეულ ცენტრზე მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 3000-3500 ლარს შეადგენდა. მიმდინარე ხარჯებში იულისხმებოდა კოორდინატორებს მიმმაღლური ანაზღაურება, კომუნალური გადასახადები, საკომუნიკაციო ხარჯები, საკანცელაროო მასალა, საბანკო მომსახურების პროცენტი და ა.შ.

4. სათემო ცენტრების ფინანსური მხარდაჭერა

ფინანსური მხარდაჭერა მიზნად ისახავდა სათემო ცენტრებისთვის სამუშაო პირობების შექმნას და, მინი პროექტების განხორციელების გზით, მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას; ასევე საჭირო გამოცდილების დაგროვებას. გარდა ზემოაღნიშნული ოფიციალური მიმდინარე პროგრამული ხარჯების დაფარვისა, სათემო ცენტრებისათვის წელიწადში რამდენჯერმე ცხადდებოდა მიკროგრანტების დახურული კონკურსი, სადაც საგრანტო თანხა 700 ლარიდან — 2200 ლარადმდე მერყეობდა. ამ კონკურსები მონაწილეობა მხოლოდ პროგრამის სამიზნე ცენტრებს შეეძლოთ.

საყურადღებოა, რომ დახურულ კონკურსებში გრანტის მოპოვების ერთ-ერთი პირობა პროექტში სოფლის მოსახლეობის თანამონაწილეობა გახლდათ, რაც არა მხოლოდ ფიზიკური შრომით და ნატურით, არამედ თანხობრივი შენატანითაც გამოიხატებოდა. გრანტის სიდიდიდან გამომდინარე, თანადაფინანსების მოცულობა 10%-დან 30%-მდე მერყეობდა. მიკროპროექტების განხორციელებით სათემო ცენტრებმა შეძლეს არა მხოლოდ საკუთარი სახელის და ნდობის დამკვიდრება მოსახლეობაში, არამედ შეიძინეს დაგეგმვის, ორგანიზების და მართვის უნარები



სათემო ცენტრის წევრთა ტრენინგი

და მოსახლეობასთან მუშაობის დიდი გამოცდილება. სულ პროგრამის დაფინანსებით განხორციელებული მიკროპროექტების რაოდენობამ 201 შეადგინა.

5. გუნდის გაძლიერება და დასტაბილურება – ეს ფაზა საკვანძოა პროგრამის მთელი ციკლისათვის, რადგან მასზე დიდად არის დამტკიცებული კონკრეტულ თემში მუშაობის წარმატება თუ წარუმატებლობა. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ადგილობრივი ლიდერების/ახალგაზრდების პიროვნული შესაძლებლობების განვითარებაზე, არამედ თავად გუნდის დასტაბილურებაზეც.

სწავლების და შესაძლებლობების განვითარების კუთხით პროგრამა ითვალისწინებდა:

- ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას და ინტენსიურ კონსულტირებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პროგრამების და პროექტების შემუშავება, ფუნქციების განახლება, ფინანსური შართვა, ანგარიშების მომზადება, სამიზნე ჯგუფების საჭიროებათა კვლევის დაგეგმვა/განხორციელება, ჯგუფის მუშაობის შეფასება და ა.შ.
- ერთობლივ ტრენინგებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა გუნდური მუშაობა და ლიდერობა, პროექტების დაგეგმვა და მომზადება, თემთან მუშაობის უნარები, თანამონაწილეობითი მოკვლევის ტექნიკა, ეფექტური კომუნიკაცია, მოხალისეთა მართვა და მოტივირება, სოციალური საწარმო, თვითშეფასების მეთოდები, ეფექტური ორგანიზაციის მახასიათებლები.
- სათემო ცენტრების კოორდინატორების კომპიუტერულ პროგრამებში იმგვარად გადამზადებას, რომ მათ შემდგომში შეძლებოდათ საკუთარი ცოდნის გადაცემა სოფლის სხვა მცხოვრებლებისათვის;
- სათემო ცენტრებს შორის კონტაქტების გაღრმავება და სხვა ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარებას – ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობის სტაბილურობის მისაღწევად, რადგან დამყარებული კონტაქტები სხვა ძლიერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების კარგ წინაპირობად იქცა. ასევე, პროგრამამ დიდი ყურადღება დაუთმო სათემო ცენტრებს შორის პროტოტალური კავშირების დამყარებას, ანუ ერთიანი ქსელის ფორმირებას. ამ მხრივ რეგულარულად ერთობლივი შეხვედრები რეგიონებში დონეზე; გაცვლითი ვიზიტები გურიასა და კახეთში და სათემო ცენტრების საქმიანობის გაცნობა; შეხვედრები რეგიონებში მოქმედ ძლიერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან; სათემო ცენტრების ქსელური შეხვედრა და მათი სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან დაკავშირება.
- თემატურ სემინარებს – ტარდებოდა თავად სათემო ცენტრებიდან წამოსული ინტერესების გათვალისწინებით, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსი, ადგილობრივი თვითმმართველობა



და მისი კომპეტენციები, გენდერული თანასწორება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტირება და სხვა. ადგილებზე, ანუ სოფლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით კონკრეტული სოფლის მოსახლეობისთვის ჩატარდა ინდივიდუალური სემინარები შემდეგ საკითხებზე: ადამიანის უფლებები, განათლების რეფორმა, ქალთა უფლებები და ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში, ნარკომანია და მოქმედ კანონმდებლობა, გარემოს დაცვა და მესაქონლეობის საკითხები.

6. სათემო ცენტრების მუშაობის შეფასება - შეფასება ხორციელდებოდა კომპინირებული მეთოდით: როგორც პროგრამის მიერ შემუშავებული შიდა ინდიკატორებით, ისე მოსახლეობის გამოყენების მეთოდით, ანუ გარე შეფასების გზითაც. შიდა ინდიკატორებად განისაზღვრა შემდეგი მაჩვენებლები: სათემოების შეფასების გზითაც. შიდა ინდიკატორების განვითარებული შესრულების ხარისხი, მინიპროექტების განხორციელების უფერტურობა, წარმოდგენილი და დაფინანსებული განცხადების რაოდენობა, საინიციატივით ჯგუფის ზომა და მდგრადობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სათემო ცენტრების მიერ საკუთარი ძალებით ან სხვა წყაროს დაფინანსებით განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა.

რაც შეეხება გამოკითხვებს, ამ წლების მანძილზე ისინი 2 წლის ინტერვალით სულ 3-ჯერ ჩატარდა პროგრამის გუნდის მიერ წინასწარ მომზადებული კითხვარისა და მეთოდოლოგიის მიხედვით. საკანძო საკითხები გახლდათ თავად სათემო ცენტრების ცნობადობა და მათი მუშაობით მოსახლეობის კმაყოფილების დონე. შეფასების შედეგების განზოგადებამ ზოგადად კარგი სურათი აჩვენა. კერძოდ, ცნობადობის კუთხით საშუალო მაჩვენებელი 80% გახლდათ, ხოლო მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხმა 95 %-ს მიაღწია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სათემო ცენტრთან მიმართებაში ეს მაჩვენებლები უფრო მაღალი გახლდათ.

7. ახალი გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და განხორციელება - სათემო ცენტრების მიერ 6 თვითანი და წლიური პროგრამების დასრულების და შეფასების შემდეგ ლოგიკური გაგრძელება



სათემო ცენტრის ბაზაზე მოქმედი ქალთა გამაჯანსაღებელი ცენტრი

გახლდათ ახალი, შედარებით გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების, ანუ პროგრამების შემუშავება. განვლილი ეტაპის და საქმიანობის ანალიზის საფუძველზე და, აგრეთვე, გარემოში არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით მზადდებოდა ახალი პროგრამები, საქმიანობის დეტალური გაშლით და სარჯაო აღრიცხვით.

3. გამოსღილება და ნასწარი ბაჯვეთილები

დადებითი გამოცდილება

პროგრამის და მისი ერთიანი გუნდის ძალისხმევით, ასევე თავად სათემო ცენტრების წევრთა აქტიურობით და შრომით, გარდა წინასწარ განსაზღვრული პოზიტიური შედეგებისა, პროგრამას ჰქონდა თანმხლები სრულიად გაუთვალისწინებელი დადებითი ეფექტებიც. გვიურს გაგიზიაროთ რამდენიმე მათგანი:

❖ მრავალი სათემო ახალგაზრდული ცენტრი გადაიქცა ადგილად – ერთ-ერთ (ხშირად ერთადერთა დაც კი) ნათელ წერტილად სოფლისათვის, სადაც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული სწავლება, ინტერნეტი, სხვადასხვა თანამედროვე ლიტერატურა და ინფორმაცია; ასევე, საჭირო ღოკუმენტაციის/საბუთების დამზადება, სხვა ტიპის მომსახურებები და არაფორმალური განათლების მიღება (ცეკვის, უცხო ენის კლასები, საკუვირაო სკოლა და სკოლამდებლი ასაკის ბავშვთა წრე, ჭრა-კერვის კურსები, ტრენაჟორებით ვარჯიში და ა.შ.).

- ადმინისტრაციული ცენტრიდან საკმაოდ დაშორებულ ერთ-ერთ სოფელში უკვე 20 წელია, აღარ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი. მოსახლეობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა სკოლამდებლი ბავშვებისათვის ბაღის უქონლობა. მატერიალური სიდუსტიურის თუ მწირი სატრანსპორტო სა-



სკოლამდებლი ასაკის ბავშვთა წრე



შუალებების გამო ყველა ოჯახს არ შეეძლო ბავშვის მეზობელ სოფელში ტარება. სოფელში არსებულმა სათემო ცენტრმა ერთ-ერთ ფუნქციად სწორედ ამ პრობლემის ნაწილობრივად მოგვარება იტვირთა და ცენტრის ბაზაზე ამოქმედდა სკოლამდელი აღზრდის კურსები, რომელსაც ადგილობრივი სპეციალისტი, მეთოდისტ-ფსიქოლოგი ატარებს. კურსები ითვალისწინებს ინტერაქტიულ მეცადინობებს, მხიარულ ვარჯიშებს და მოძრავ თამაშებს; ასევე ხატვის და წერის გავეთოლებს. ბავშვები უფრო მომზადებული მიდიან სკოლში, როგორც ინტელექტუალური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამ ეტაპზე სკოლამდელი აღზრდის წრეში 14 ბავშვი ირიცხება და სათემო ცენტრის ეს სერვისი სოფელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

- სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, ინტერნეტი მოსახლეობისათვის ძალიან რთულად ხელმისაწვდომია. არადა, აბიტურიენტებს, მასნავლებლებს, ფერმერებს, ადგილობრივ ექიმებს სწორედ მისი საშუალებით შეუძლიათ სოფლიდან გაუსვლელად, ფინანსური დანახარჯების გარეშე მიიღონ მეტად საჭირო ინფორმაცია. პროგრამის ფარგლებში შექმნილ სათემო ცენტრებში ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის ხელმისაწვდომია რთულ სამუშაოების მოსახლეობისათვის მართლაც რეალურ საჭიროებას წარმოადგენს. ძალიან ხშირად სათემო ცენტრის კომპიუტერული მომსახურებით სარგებლობენ სოფლის თვითმმართველობის, ადგილობრივი სამედიცინო პუნქტის თუ სხვა დაწესებულების წარმომადგენლები, რაც უამრავ ადამიანს უადვილებს რთულ ცხოვრებას.

❖ რამდენიმე სათემო ცენტრმა მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების შეთავაზება დაიწყო. ამ ეტაპზე ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია, თუმცა უმეტესობაში აგრეთვე შეინიშნება მსგავსი საქმიანობის დანერგვის სურვილი. ამგვარ მომსახურებას დიდი მნიშვნელობა აქვს სათემო ცენტრის მუშაობისათვის, ერთი მხრივ, ეს ხელს უწყობს მისი მისისი შესრულებას – მანწოდონ საჭირო და თანაც დეფიციტური მომსახურება მოსახლეობას, და მეორე მხრივ, ამგვარი საქმიანობა მათთვის შემოსავლის დამატებითი წყარო ხდება.

ფასიანი მომსახურების ტიპები შემდეგია: კომპიუტერის კურსები და კომპიუტერული მომსახურება (დოკუმენტაციის მომზადება, ასლების გადაღება), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება, სამკერვალო, ტრენაჟორების დარბაზი ანუ გამაჯანსალებული ცენტრი, მინანქრის სახელოსნო და ა.შ.

❖ ადგილებზე გამოიკვეთნენ ახალგაზრდა ლიდერები, რომელთაც პროგრამის ფარგლებში ტრენინგების, კონსულტაციების და პროექტების გან-

ხორციელების შედეგად შეიძინეს ორგანიზაციის მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ მოსახლეობასთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, თვითმმართველობას და მედიასთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ლიდერები აშკარად ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდნენ. მათ ეკითხებიან, აზრს, უკავშირდებიან, როგორც სხვა პროგრამები, ისე თვითმმართველობის წარმომადგენლებიც. ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა წინადადებებით და პრობლემებით მათ მიმართავს. ლიდერები აქტიურად იღებენ მონაწილეობას თვითმმართველობის მიერ ორგანიზაციულ შეცვედრებსა თუ საჯარო განხილვებში, აცნობენ მათ სოფლის პრობლემებს და ძალიან ხშირად ახერხებენ იმას, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი სწორედ ამ პრობლემატიკას ითვალისწინებს.


შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში სათემო ცენტრები, კერძოდ კი ავტორიტეტის მქონე ადგილობრივი ლიდერები, სოფლის მოსახლეობის და სამიზნე ჯგუფების ინტერესთა დამცველებად გვევლინებიან.

ერთ-ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობის ცალკე მიმართულება გახლავთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობს, კერძოდ კი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (შშმპ) ინტეგრაცია. ამ მიმართულებით ორგანიზაციამ რეგიონში მოქმედ ძლიერ და ამ სფეროში კვალიფიციურ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან ერთად შეძლო მუნიციპალიტეტის ფარგლებში ამგვარი ადამიანების მონაცემთა პირველი ბაზის შექმნა, მათი ოჯახების საჭიროებების კვლევა და გამოვლენილი მრავალი პრობლემის ლობირება:

- 4 დაავადებული ბავშვის სპეციალური კვებისათვის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტში თანხა გაითვალისწინა;



სახელობო წრე




- სილარიბის ზღვარს ქვევით მყოფი შშმ 20 ბავ-შვისათვის მომზადდა სასკოლო წიგნებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისათვის მომზადდა ინდივი-დუალური სასწავლო გეგმები და ისინი სკო-ლის სასწავლო პროცესებში ჩაერთონტნენ;
- მოქმედი კონონმდებლობის საფუძველზე მუ-ნიციპალიტეტში გაკეთდა მოთხოვნა, საზოგა-დოებრივი და სანარმოო მშენებლობებისას, სკვერების და ბილიკების მოწყობისას მომხდა-რიყ პანდუსების მოწყობა და გაეთვალის-წინებინათ ეტლით მოსარგებლეთა ინტე-რესები. აღნიშნულ საკითხზე ადგილობრივ ხე-ლსუფლებასთან მოლაპარაკებების შედეგად მართლაც მოხდა ეტლით მოსიარულეთა ინ-ტერესების გათვალისწინება; მაგალითად, და-ბის ცენტრში არსებული სკვერსა და ჯან-დაცვის ახალ, მშენებარე კლინიკაში.

სათემო ცენტრები დასაყურდენ ძალად და რესურ-სად იქცნენ სხვა ორგანიზაციებისა და პროგრა-მებისათვის და შეძლეს სხვა საზოგადოებრივ ორ-განიზაციებთან ერთად განეხორციელებინათ პრო-ექტები. ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს, როდესაც კონკრეტულ რეგიონში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთარ პროექტებსა და პროგრა-მებში სწორედ მოცემული პროგრამის ფარგლებში შექმნილ სათემო ცენტრებს რთავს აქტიურად. ეს პრეცედენტი კარგ წინაპირობას ქმნის სათემო ცენტ-რების დასტაბილურებისათვის, რადგან მათ ახალი ცოდნის, გამოცდილების მიღების და შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობა ეძლევათ.

❖ მნიშვნელოვანია, რომ სათემო ცენტრებმა ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად შეძ-ლეს ფინანსების მოპოვება არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსებიდან, არა-მედ მოსახლეობიდან, თვითმმართველობებიდან და სხვა ფონდებიდანაც. ნიშანდობლივია, რომ სხვა წყა-როებიდან დაფინანსების მოპოვების დინამიკა მზარ-დი იყო წლების მიხედვით.

**სხვადასხვა წყაროდან მიღებული დაფინანსების
დინამიკა (ლარებში)**



უფრო მეტიც, სათემო ცენტრებმა პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე შეძლეს მრავალი პრობლემის მოგვარება საკუთარი ძალებითა თუ სხვა ფონდებიდან მოპოვებული ფინანსებით. ზოგიერთი მათგანი უკვე დარეგისტრირდა საზოგადოებრივ ორ-განიზაციად, ხოლო რამდენიმე მათგანი ამას უახ-ლოეს მომავალში გეგმავს. დარეგისტრირება სათემო ცენტრებს დაფინანსების მოპოვების შესაძლებ-ლობებს უზრდის.

ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება ჩვენს პროგ-რამაზე ფინანსური დამოკიდებულების ნელ-ნელა შემცირება, რაც სათემო ცენტრის დასტაბილურების კარგი წინაპირობაა. მაგალითად, ერთ-ერთმა წარ-მატებულმა სათემო ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ შეძლო საკუთარი საქმიანობის გეოგრაფიული არეალის გაფართოება და, ამავე დროს, პროგ-რამული საქმიანობისათვის თანხების მოპოვება რო-გორც თვითმმართველობიდან, ისე ისეთი ფონდე-ბიდან, როგორებიცაა ფის ქორფი, ღია საზოგადოება – საქართველო, ინსტიტუციონალური განვითარების ფონდი და სხვ., რამაც 2010 წლისათვის ჯამში ამ ორგანიზაციის მთელი ბიუჯეტის 86 % შეადგინა და, შესაბამისად, თუ საწყის ეტაპებზე პროგრამის და-ფინანსება მთელი ბიუჯეტის 70-80 %-ს შეადგენდა, ამ პერიოდისათვის იგი მხოლოდ 14 %-ს შეადგენდა.

ნეგატიური გამოცდილება

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ სამიზნე სოფლებში ინტენსიური მუშაობის ვადა სამ წელს შეადგენდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში, გარკვეული (სუბიექტური თუ ობიექტური) მიზეზების გამო მოხდა პროგრამის დროზე ადრე შეწყვეტა და სოფლიდან გამოსვლა.

პროგრამის შეწყვეტის გამომწვევი ძირითადი მი-ზეზები შემდეგი გახლდათ:

ლოდერების არასწორი შერჩევა

გამოცდილებამ აჩვენა, რომ სასურველია, ლიდე-რის ასაკი 20-22 წელზე ქვევით არ იყოს და ეს ადამიანი სოფელში დარჩენაზე იყოს ორიენტირე-ბული. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ახალ-გაზრდა ძალიან მოცემირებული და აქტიური იყოს, სათემო ცენტრის ზოგადი მართვის, მოსახლეობასა და თვითმმართველობასთან ურთიერთობის პა-სუხისმგებლობა საქმაოდ რთულ ტვირთს წარმოად-გენს და პრინციპში გარკვეულ პიროვნულ სიმძიმე-საც მოითხოვს. თუმცა აქ ასაკის გარდა განმსაზღვ-რელია ლიდერის პიროვნული თვისებები და პასუხის-მგებლობის აღების მზაობა.

მეორე სირთულე უკავშირდება სოფლიდან ახალ-გაზრდების ადგილისტრაციულ ცენტრებსა და დედა-ქალაქში ინტენსიურ მიგრაციას. იმის გამო, რომ სო-ფელში ახალგაზრდებისათვის საკუთარი პოტენცია-ლის რეალიზების არავითარი შესაძლებლობა არ არ-სებობს, ისინი საკუთარი ძალების მოსახლეობად – სასწავლებლად და სამუშაოს მოსაბოვნებლად ძალიან ხშირად ტოვებენ მშობლიურ სოფელს. გვერდა შემთხვევები, როდესაც ამის გამო ბევრ სოფელი სა-

ჭირო გახდა კოორდინატორის ჩანაცვლება. ეს იმ ფონზე, როდესაც კოორდინატორის პიროვნულ ზრდაში პროგრამამ გარკვეული რესურსი და ძალის-ხმევა ჩადო – კონსულტაციების, კომპიუტერული კურსის, სხვადასხვა ტრენინგების სახით. ახალი კოორდინატორის შემთხვევები ამ ეტაპის გავლა პროგრამას თავიდა და დაწერებულად უხდებოდა. ზოგჯერ კოორდინატორების მრავალჯერადი ცვლილება პროგრამის შეფერხების და წარუმატებლობის მიზეზად იქცა.

ლიდერის წასვლას/ცვლილებას სხვა საფრთხეც ახლავს: გუნდის ფორმირების გარკვეულ ეტაპზე მან, შესაძლოა, გუნდის ნაწილობრივი დაშლა და მუშაობის ეფექტურობის მკვეთრი დაცემა გამოიწვიოს. ამგვარი კრიზისის დაძლევა კი ასევე გარკვეულ დროს მოითხოვს.

სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით, გამართლებულად გვეჩენება სათემო ცენტრში აქცენტების გაკეთება არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე ადამიანზე (კოორდინატორი და მისი ასისტენტი); ასევე, ლიდერის შერჩევისათვის დამატებითი კრიტერიუმის შემოღება; ეს გახლავთ მისი სოფელში დარჩენაზე ორიენტირებულობა.

„სუპერდომინანტი“ ლიდერი

გარკვეულწილად, ეს ფენომენიც ლიდერის შერჩევის სირთულეს უკავშირდება. არის შემთხვევები, როდესაც ამგვარი ლიდერი ზედმეტად გავლენინია სხვა წევრებთან შედარებით, ყველანარ ჰასუხეის-მგებლობას იღებს საკუთარ თავზე და ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებებსაც სრულიად ერთპიროვნულად იღებს. თუ გუნდის ფორმირების ადრეულ ეტაპზე ამგვარი მიდგომა მისაღები და საჭიროცაა, ჯგუფის განვითარების შემდგომ ეტაპზე იგი უკვე შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა, ხელს უშლის ჯგუფის სხვა წევრების პიროვნული შესაძლებლობების გამოვლენას, გაზრებული და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას; ამგვარი ლიდერი უკვე დემოტივატორი ხდება სხვა წევრებისათვის. ასეთ შემთხვევაში ჯგუფში ჩნდება დამალული უკმაყოფილება, შიდა კონფლიქტები, რის აშკარად გამხელასაც ჯგუფის სხვა წევრები პროგრამის განმახორციელებლებთან თავს არიდებენ. საბოლოოდ მივიღოთ უკვე დემოტივატორი ხდება სხვა წევრებისათვის. ასეთი სირთულეებისას მნიშვნელოვანია დაფარული პრობლემის დროულად აღმოჩენა, რათა პროგრამის ჯგუფის ჩარევას აზრი ჰქონდეს და შესაძლებელი გახდეს სათემო ჯგუფის ლიდერის სხვა პიროვნებით ჩანაცვლება; თუმცა აქაც არსებობს რისკი ჯგუფიდან სხვა წევრების გასვლისა და, შესაბამისად, მისი ეფექტური მუშაობის დაქვეითებისა.

სათემოცენტრის საინიციატივო ჯგუფის ჩაკეტვა

მას მერე, რაც ხდება სათემო ჯგუფის აქტიური ბირთვის ე.ნ. საინიციატივო ჯგუფის ფორმირება,

რაც ხშირ შემთხვევაში საშუალოდ 5-7 კაცით განისაზღვრება, ჩნდება ამ ჯგუფის ე.ნ. ჩაკეტვის საფრთხე. ეს ნიშავს იმას, რომ შესაძლოა, სხვა დაინტერებული ახალგაზრდებისათვის სათემო ცენტრში არსებული რესურსები ხელმისაწვდომი აღარ იყოს, არ ხდებოდეს საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობის რეგულარული განახლება, ანუ ჯგუფის „ახალი სისხლით“ შევსება. ეს სინდრომი სამწუხაროდ ცოტა გვიან ეტაპზე ვლინდება და მისი შემჩნევა საკმარის დიდ დაკავირვებას მოითხოვს. ამის გამო პროგრამის განმახორციელებლები ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდონ ამ საკითხს. დასაწყისშივე უნდა მიექცეოს ყურადღება საინიციატივო ჯგუფის და მისი ლიდერების ფაროვ ჯგუფთან ანგარიშების მექანიზმებს, ახალი წევრების მოზიდვის გზებსა და საშუალებებს, მოხალისებრის თუნდაც არაფორმალური ხახალისების ფორმების დანერგვას. საბოლოო ჯამში ხდება ისე, რომ ამ ე.ნ. „ელიტარულ“ უმცირესობას გარკვეულ ეტაპზე უკვე უჭირს ერთპიროვნულებებსა და ლონისძიებებში ახალგაზრდების და მოსახლეობის მობილიზება. მიზეზად კი მათ მიერ მოსახლეობის პასიურობა სახელდება, თუმცა ამგვარი შემთხვევის სწორი ანალიზის შედეგად ცხადად ჩანს, რომ ძირითად მიზეზი მაინც „ჩაკეტვის“ მომენტია.

ადგილობრივი მოსახლეობის სპეციფიკა

მიუხედავად იმისა, რომ ალბათ არაკორექტულია ამ თემაზე საუბარი, თემში მუშაობასთან მიმართებით, ამ საკითხს გვერდს მაინც ვერ ავუვლით. უდავოა ის, რომ ყველა სოფელში, დაბასა თუ ქალაქში შესაძლებელია თემის განვითარების მიმართულებით მუშაობა და გარკვეული წარმატებების მიღწევა განუჩრევლად ამ თემში თუ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მახასიათებლებისა და თავისებურებებისა. თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავისებურებები არსებობს და დიდ გავლენას ახდენს შედეგების მიღწევის ეფექტურობაზე. ადგილობრივი სპეციფიკის ქვეშ ბევრ რამეს მოვიაზრებთ; მაგალითად, კუთხურ თავისებურებებს, მოსახლეობის აქტიურობის დონეს, დამკვიდრებულ სტრუქტურებს, მოსახლეობაში არსებულ უარყოფით გამოცდილებას.

ზოგიერთ თემში თუ წარმატებას 2 წელიწადში შეიძლება მივაღიოთ, შესაძლოა, სხვა რეგიონის სოფელში იმავე ტიპის საქმიანობას დროის ასეთსავე მონაცემები არავითარი შედეგი არ მოჰყვეს. სწორედ ამ მხრივ არის თემთან მუშაობა ძალიან საინტერესო და მრავალმხრივი, რადგან იგი არსებული ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებას და მიდგომების ადგილობრივ კულტურასთან მისადაგებას მოითხოვს. თუმცა, ჩვენი ტიპის პროგრამები, სამწუხაროდ, დროსა და რესურსებში შეზღუდულია და ძალიან რთულია დონორი ორგანიზაციებისათვის მაგალითად, თემში 10 წლიანი ინტერვენციის საჭიროების დასაბუთება. შესაბამისად, ჩვენ გვექნდა შემთხვევები, როდესაც მოსახლეობის მობილიზებაში არსებული სირთულეების (მოსახლეობის პასიურობა) გამო მოგვიხდა კონკრეტულ თემში პროგრა-





მის შეჩერება. ისევ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ გა-
რემოებას, რომ ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი გა-
ხლდათ არა მარტო ადგილობრივი სპეციულიკა, არა-
მედ პროგრამისათვის არსებული შეზღუდვებიც.

ყველაზე დიდი სირთულე მოსახლეობასთან მიმარ-
თებაში გახლდა არსებული უნდობლობის, პასიუ-
რობის დაძლევა და საბჭოთა მენტალობის გადალახ-
ვა. ზოგადად საზოგადოებას ურჩევნია, იყოს პასიუ-
რი მოთამაშის როლში და თავი აარიდოს მოქალა-
ქეობრივ პასუხისმგებლობას. ძალიან ხშირად განვი-
თარებაზე ორიენტირებული პროგრამებს განხორ-
ციელება სოფლებში ბევრ ეჭვს ბადებს, განმახორ-
ციელებელ ორგანიზაციებს აიგივებენ პოლიტიკურ
პარტიებთან, წინასაარჩევნო კამპანიებთან ან სხვა-
დასხვა რელიგიურ დაჯგუფებებთან. ერთი და ორი
თვე, თუნდაც ნახევარი წელიც კი, არ არის საქმარისი
დრო უნდობლობის დასაძლევად. ხოლო მოსახ-
ლეობის ნდობის მოპოვება კი თემთან მომუშავე ჯგუ-
ფისაგან დიდ მოთმინებას და ძალისხმევას მოი-
თხოვს.

4. შეჯამება

ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომ-
დინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თემის გან-
ვითარებაზე მუშაობა საკმაოდ რთული, ხანგრძლივი
და შრომატევადი პროცესია. თუმცა ხშირ შემთხვე-
ვაში მას ისეთი პოზიტიური უკუგება მოსდევს, რომ
იგი ყველანაირ ძალისხმევას და წვალებას ამართ-
ლებს.

მიუხედავად იმისა, რომ არა მხოლოდ ჩვენი პროგ-
რამის, არამედ სხვა, მსგავსი პროგრამების ფარგ-

ლებშიც მრავალი პრეცედენტია შექმნილი იმისა, რო-
დესაც სათემო ჯგუფები ადგილობრივი პრობლე-
მების მოგვარებისათვის სხვადასხვა ადგილობრივი
წყაროებიდან (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, მო-
სახლება, ბიზნესი) საქმარისი თანხების მოპოვებას
ახერხება, რეალობა მაინც შემდეგია: სათემო
ჯგუფებთან, ანუ კონკრეტულ თემში 2-3-წლიანი
ინტენსიური მუშაობა ხშირ შემთხვევებში არ არის
საკმარისი მათი ინსტიტუციური მდგრადობის უზ-
რუნველსაყოფად და გარე ფინანსური დახმარების
გარეშე მხოლოდ ერთეულების თუ ახერხებენ ფუნქ-
ციონირების გაგრძელებას. ამ პრობლემას ამწვავებს
ქვეყნაში ადგილობრივი წყაროებიდან თანხების
მოპოვებისათვის არსებული არასახარბიელო გარე-
მო; როგორიცაა, მაგალითად, ადგილობრივი სათემო
ფონდების არარსებობა, რეგიონალური, განსაკუთ-
რებით კი სოფლის დონის ორგანიზაციებისა და, მით
უფრო, არაფორმალური ჯგუფებისათვის ხელმი-
საწვდომი მოქმედი დონორების და მხარდაჭერი
პროგრამების სიმწირე, ადგილობრივი ფილანთრო-
პიის დაბალი ფონი. შესაბამისად, სწორედ ადგი-
ლობრივი წყაროებიდან რესურსების მოპოვების შე-
საძლებლობების შექმნა და განვითარება გვესახება
ჩვენ საქართველოში თემის განვითარების ყველაზე
დიდ გამოწვევად. ამგვარი შესაძლებლობების შექმნა
ძალიან დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს, რაც,
საგარაუდოდ, საწყის ეტაპზე მრავალმხრივი, კომპ-
ლექსური სტრატეგიის შემუშავებაზე უნდა იყოს
დაფუძნებული. ამგვარი სტრატეგიის შემუშავება
შეუძლებელია მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი ორ-
განიზაციის, ან თუნდაც მთელი III სექტორის მიერ
მოხდეს. იგი საზოგადოებრივი სექტორის, გავლე-
ნიანი საერთაშორისო ორგანიზაციების, ხელისუფ-
ლებისა და ბიზნესის ერთობლივი მუშაობის შედე-
გად უნდა მომზადდეს.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

დელისის I შესახვევი 5ა,
0177, თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399019; (+995 32) 2399018

office@csrdg.ge/nino@csrdg.ge
www.csrdg.ge

თემის განვითარება

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)

პავლე თვალიაშვილი

1. შესავალი

სათემო ორგანიზაციებისა და თემში მომუშავე განვითარების ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია იმ ინსტრუმენტების ფლობა, რომლებიც მათ ხელს შეუწყობს, დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე დაინახონ ის საფრთხეები და შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება მათ შეხვდეთ თემში მუშაობის დროს. მოხარულები ვიქენებით, თუ CTC-ის გამოცდილება რამდენადმე მაინც დაეხმარება სათემო საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს.

სტატიაში განხილულია ორი ტიპის აქტივობები CTC-ის მხრიდან:

1. როდესაც ორგანიზაციები ახორციელებენ თემის განვითარების პროექტებს და ამ მიზნით ერთ-ერთი ამოცანაა სათემო მობილიზების ხელშემწყობი ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება თემის ლიდერების გადამზადების მეშვეობით. CTC ამ შემთხვევაში წარმოდგენილია, როგორც სერვისპროვაიდერი ორგანიზაცია, რომელიც ტრენინგების ჩატარებით ეხმარება განმახორციელებლ ორგანიზაციას.
2. როდესაც CTC ახორციელებს განვითარების პროექტს კონკრეტულ თემში რამდენიმე კომპონენტით და პარალელურად თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ გარკვეული გამოცდილება თემის სხვადასხვა მიმართულებით განვითარების საკითხებში.

ორგანიზაციის შესახებ

„კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი“ (CTC) ქართული არაკომერციული იურიდიული პირია, რო-

მელიც ფუნქციონირებს 1999 წლიდან. მისი მიზანია ადგილობრივი ორგანიზაციული და ადამიანური რესურსებისა და მენეჯმენტის პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა.

CTC ზრდასრულთა განათლების სფეროში პირველი ქართული ორგანიზაციაა, რომელმაც 2004 წელს მოიპოვა ხარისხის მართვის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO-9001-2000.

CTC, ერთი მხრივ, წარმოადგენს ზრდასრულთა განათლების ცენტრს, რომელიც სთავაზობს საზოგადოების ფართო სპეციალურ ტრენინგ-პროგრამებს თანამედროვე ლიდერობისა და მენეჯმენტის სფეროში; მეორე მხრივ კი არის საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ხელშეწყობა ისახობს განვითარების აქტივობების სისტემების, სტრუქტურის, ადეკვატური სტრატეგიისა და მმართველობის განვითარებაში.

CTC-ის დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვის სამ ევროპულ დონორ ორგანიზაციას: Cordaid (ჰოლანდია), EED, Misereor (გერმანია). CTC ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს რიგ ევროპულ პროფესიულ ორგანიზაციებთან, მათ შორის, განვითარების სექტორში კარგად ცნობილ ჰოლანდიურ საკონსულტაციო ორგანიზაციასთან „მართვა განვითარებისათვის“ (MDF www.mdf.nl). საწყის ეტაპზე MDF-მა CTC-ს გაუზიარა საკუთარი 15-წლიანი გამოცდილება, დაეხმარა ტრენინგ-პროგრამების შემუშავებაში და უზრუნველყო ტრენერთა გუნდის მომზადება.

გასული 12 წლის განმავლობაში CTC-მ შექმნა არაერთი საკუთარი ტრენინგ-პროდუქტი და დღესდღეობით მისი პაკეტი მოიცავს მოკლევადიან (3-, 5-, 7-დღიან) კურსებს შემდეგ საკითხებზე: სტრატეგიული და ზოგადი მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსური მართვა, პროექტის მართვა, ლიდერობის უნარ-ჩვევები და სხვ.



მოწვევული ექსპერტი ატარებს სემინარს ახალგაზრდებისათვის



2. მიღებობა

თემის განვითარებითვის CTC ახორციელებდა, როგორც დამოუკიდებელ პროექტებს, ასევე თანამშრომლობდა სხვა ორგანიზაციებთანაც.

საერთაშორისო და ქართული ორგანიზაციებისთვის CTC-ის მიერ სათემო განვითარების ხელშეწყობის ფორმებში შეიძლება გამოიყოს თემის ლიდერების მომზადების პროგრამა, რაც გულისხმობს რამდენიმეტაპიან ტრენინგებს,

მათ შორის:

- ეფექტური კომუნიკაციის;
- თემის თანამონაწილეობითი ლიდერობის;
- პროექტების მართვის.

ფორმალური (სკოლა, უნივერსიტეტი) და არა-ფორმალური (სემინარები, ტრენინგები...) მოწესრიგებული განათლების გარდა არსებობს განათლება, როდესაც ცოდნისა და უნარების ათვისების პროცესი არ არის სტრუქტურირებული, არ არის მკაფიოდ დაგეგმილი და განერილი. სწავლება მიმდინარე პროცესებში მონანილეობის შედეგია. თემში ასეთი პროცესები მიმდინარეობს რიტუალებისას: ჭირის, ლინიის ან დღესასწაულის ორგანიზება-წარმართვა; სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში; სოფლის თავ-ყრილობებში; საერთო საქმის მოგვარებაში მონაწილეობისას.

CTC იზარებს მიდგომას, რომ განვითარების



ახალგაზრდები იღებენ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში განსახორციელებლად



ახალგაზრდების ჯგუფები მუშაობენ თემის პრობლემების მოგვარების სტრუქტურაზე

პროექტების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია მცირე და მიკროპროექტების, როგორც ინფორმალური (სარაოფიციალური) განათლების ინსტრუმენტის გამოყენება.

თემში ნებისმიერ ამ საქმიანობაში აქტიური ან თუნდაც პასიური ჩართულობა ბევრის მიმცემია მონაწილისთვის, რაც წლების შემდეგ მის პროფესიულ და პიროვნულ კომპეტენციაზე აისახება.

3. გამოცდილება

პოზიტიური გამოცდილება

თემის განვითარების დონეზე საუბრისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რა გაკეთდა თემში, არამედ ის, როგორ გაკეთდა. მხოლოდ პროდუქტის მიხედვით შეუძლებელია აღწერო, რამ განაპირობა ამ შედეგის მიღწევა, რა როლი იკისრა თემმა, ვინ იყვნენ თემში ორგანიზაციონურები, შემსრულებლები, როგორ მოხდა ინიცირება, დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება, განსახორციელება, პროცესებზე მონიტორინგი და შედეგების შეფასება.

აშენებული შენობა, გაშენებული სკვერი, გაყვანილი წყალი, აგებული ჯებირი, ნაგავსაყრელისთვის გამოყოფილი ფარი... ეს იმის მცირე ჩამონათვალია, რაც განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ჰქონდეს გაკეთებული თემს, თუმცა შეუძლებელია, მხოლოდ მათი მეშვეობით განესაზღვროთ: არის თუ არა თემი რეალურად განვითარებული.

- ❖ CTC-მ მონაწილეობა მიიღო ქართული არა-სამთავრობო ორგანიზაციებს სამუშაო შესვედრამ, სადაც განვითარებული თემის ძირითადი ნიშნები გამოიკვეთა:
- ❖ თემში სამოქალაქო ჯგუფის არსებობა;
- ❖ თემში არსებობს ხედვა, ორიენტირებულია განვითარებასა და ინოვაციაზე და იცის, საით უნდა წავიდეს;
- ❖ თემს გაცნობიერებული აქვს თავისი საჭიროებები, უფლებები და ადვოკატირებას უწევს მათ;
- ❖ თემს შესწევს უნარი, განსაზღვროს პრობლემები და რეაგირება მოახდინოს მათზე.



სემინარი თემის განვითარებისთვის

CTC-ს საქმიანობის პერიოდში ჩვენ მოგვიხდა მუშაობა განსხვავებული სპეციფიკის თემებში. სხვა-დასხვა თემში მოხდა მცირე საინიციატივო ჯგუ-ფების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. უპირველეს ყოვ-ლისა, საჭირო იყო ასეთი საინიციატივო ჯგუფების მოტივირება. მოტივაციის ამაღლების მიზნით CTC-მ გამოიყენა რამდენიმე სტრატეგია. ერთ-ერთი იყო მცირე საგრანტო პროექტების დაფინანსება, რაც შემძეგ ეტაპებად განხორციელდა:

- საზოგადოების ინფორმირება (ბიულეტენი, ინდივიდუალური შეხვედრები, ჯგუფური შეხვედრები);
- ღია კარის დღე;
- ტრენინგები პროექტის იდეის შემუშავებისა და განაცხადის ფორმის შევსების შესახებ;
- პროექტების სამუშაო ჯგუფების რეგისტრი-რება (მინიმუმ 5 ადამიანი სამუშაო ჯგუფში);
- იდეების კონკურსი - საპროექტო განაცხა-დების შერჩევა;
- მოწოდებული საპროექტო ჯგუფის 2-3-კა-ციანი წარმომადგენლობის ვიზიტი თბილისში და მონაწილეობა ფინანსური და შინაარსობრივი მართვის ტრენინგში;
- სასწავლო ტური;
- პროექტების საბოლოო ვარიანტების დამუშა-ვება და კონტრაქტების გაფორმება;
- პროექტების განხორციელება;



გამოცდილების გაზიარება თემის წევრებისათვის



თემის წევრები სწავლობენ შეხვედრის ორგანიზების დეტალებს

- მონიტორინგი და კონსულტაციები;
- შეფასება;
- როცა ასეთი პროცესები თემის თანამონაზილე-ობით განხორციელდა, შედეგად წელ-წელა:
- თემში ჩამოყალიბდა სანიციატივო ჯგუ-ფი/ჯგუფები, რომელსაც თემი ენდობოდა;
- თემში გაჩნდა შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩევების მქონე ადამიანთა რესურსი.

CTC-ის ერთი პროექტი ერთ-ერთ რეგიონში EED-ის დაფინანსებით ხორციელდებოდა. საზოგადოების წევრების დაინტერესებისა და მათში ნდობის გა-ჩენისათვის CTC-ის მიერ შექმნილმა სათემო ცენტრ-მა დაიწყო სერვისების მინიდება მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფებისთვის. მათ შორის იყო კომ-პიუტერისა და ინგლისურის კურსები. ასეთი კურ-სების არსებობის პირობებში ცენტრის თანამშრომ-ლებს მოუწიათ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა:

- როგორ მოხდება კურსების მიმდინარეობის მართვა და მონიტორინგი;
- როგორ შეირჩევიან მონაწილეები;
- კონკრეტულად რას ისწავლიან მონაწილეები;
- რაში გამოიყენებენ მიღებულ ცოდნას;
- როგორ მოხდება იმ ადამიანებთან ურთიერ-თობა, ვინც განაწყდება, რომ ვერ მოხვდა ჯგუფში;
- ან რა უნდა გავაკეთოთ, რომ თავიდან ავიცი-ლოთ ასეთი განაწყენება.

რესურსცენტრის თანამშრომლებმა შეძლეს კო-მუნიკაციის დამყარება თემის წევრებთან. ამისთვის არაერთი შეხვედრის ჩატარება გახდა საჭირო. შე-დეგად, კურსები წარმატებულად განხორციელდა.

თვის მუშაობის პერიოდში CTC ცდილობდა, დაკმაყოფილებულიყო კრიტერიუმი: თემში გაჩენი-ლიყო ხედვა, თემი ყოფილიყო ორიენტირებული გან-ვითარებასა და ინოვაციაზე.

3-5 წლის განმავლობაში თემში მუშაობა ხშირად დიდ დროდ გვეჩვენება. თემში მუშაობის პრაქტიკაში აჩვენა: შესაძლოა, კიდევ მეტი დრო იყოს საჭირო, რომ ამ კრიტერიუმის შესაფერისი მდგომარეობა იქნეს მიღწეული.



სათემო ჯგუფის ვიზიტი ახალქალაქის სასაწყობე მეურნეობაში

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)



თავიდანვე გვსურდა მიგვეღწია იმისათვის, რომ თემის წევრებს ჰქონდათ მზადყოფნა და ინტერესი სიახლეების მიმართ; თუმცა სათემო ცენტრს წლები დასჭრიდა, რომ თემის წევრები პოზიტიური დამოკიდებულება გაჩენილიყო. ჩართულობის კიბის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს თემის თანამონანილეობის დონეებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თემში CTC-ის 5 წლის მუშაობის შემდეგ თემის წევრები იჩინენ ინტერესს და გააზრებულად მოდიან შეხვედრებზე. თუმცა ასეთი ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი საერთო რაოდენობასთან შედარებით მაინც დაბალია. თემში დაინტერესობა ადგილობრივ მთავრობასთან და ცდილობს, ხმა მიაწვდინოს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.

CTC-ის მხარდაჭერითა და თანადგომით ამოქმედებული ორგანიზაციების მიერ თემში ხორციელდება ადგომური პროექტები, რომლებსაც მხარს უჭერენ სხვადასხვა ღონისონი იმართები. ახლო მომავალში ინიციატივები ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან, შესაძლოა, უფრო მეტი იყოს.

პრობლემების იდენტიფიცირებისთვის პოზიტიური განვითარებული თემების მაგალითების ჩვენება სხვა თემის წარმომადგენლებისთვის. CTC-ის მიერ ჩატარებულმა სასწავლო ტურებმა სხვა რეგიონების სათემო და არაკომერციულ სასწავლო ცენტრებში დაახვა თემის წევრებს, მათ მდგომარეობასთან შედარებით რამდენად უკეთესი მდგომარეობაა იქ. პრობლემის იდენტიფიცირებისთვის თემის წევ-

რებს უნდა შეეძლოთ, აღწერონ არსებული პრობლემის მახასიათებლები და შეადარონ ისინი უკეთეს მდგომარეობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ თემს გააზრებული აქვს პრობლემები.

პრობლემებისა და მოსაწესრიგებელი მდგომარეობის ანალიზის შემდეგ ჩნდებოდა კითხვები: აქვთ თუ არა თემს საკმარის რესურს პრობლემის მოსაგვარებლად? (მაგალითად: საკუთარი ეზოების დასუფთავების მცირე პროექტი, რომელსაც მხარი არ დაეჭირა CTC-ის შიდა კონკურსის დროს, რადგან თემის წევრებს დამოუკიდებლად, გარე რესურსების დახმარების გარეშე, შეეძლოთ ეზოების დასუფთავება) თუ სჭირდებათ მცირე მხარდაჭერა გარედან? (მუავე წყლის ტერიტორიის შემოსაზღვრა ბეტონის ჯებირით საქონლისგან დასაცავად, რისთვისაც შესაძნი იყო მხოლოდ ცემენტი. ხოლო ქვა, ქვიშა, სამუშაო იარაღები და მუშახელი თემში გამოიძებნა). რიგ პროექტებში საჭირო იყო ბიზნეს-სტრუქტურებთან და სახელმწიფო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა.

CTC-ის მხარდაჭერით თემებში განხორციელდა 30-მდე მცირე და სამუშალო პროექტი. პროექტის ციკლის მართვაში თემის წევრების სრულმა ჩართულობამ უზრუნველყო სერიოზული ნაბიჯების გადადგმა განვითარებული თემისკენ.

ნეგატიური გამოცდილება

მაგალითი 1. ახალგაზრდული ცენტრი

CTC-ის სამიზნე თემში რამდენიმე ათეული წლის წინ აშენდა კულტურის ცენტრი. ამ ცენტრის მშენებლობა მხოლოდ ნაწილობრივი იყო დაფინანსებული. მშენებლობისთვის საჭირო მუშახელს ადგილობრივი ახალგაზრდობა წარმოადგენდა, რომლებიც უსასყიდლოდ მუშაობდნენ მშენებლობაზე. ახალგაზრდების ჯგუფის მობილიზება ითავა იმ ხანად ცნობილმა ლიდერმა. მანვე შეძლო ახალგაზრდების მობილიზება მეზობელ სოფელშიც.

ახალგაზრდების მიერ აშენებული კულტურის ცენტრი დროთა განმავლობაში გახადგურდა. იგი სოფლის განაპიროს იდგა და მოსახლეობა მხოლოდ მიზნობრივად წასვლის შემთხვევაში ხვდებოდა იქ.

CTC-ს არაერთმა ადამიანმა მიმართა თხოვნით, რომ აღდგენილიყო ეს კულტურის ცენტრი. CTC-ს გარკვეული ძალისხმევით ცენტრი შეკეთდა და აღიჭურვა. ამ პროცესს ადგილობრივი მუნიციპალიტეტიც უჭერდა მხარს. მიუხედავად წერილობითი მხარდაჭერისა, გაძნელდა ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება, რადგან ცენტრი არ იყო ადგილობრივი ბალანსზე. შედეგად დიდი ხნის განმავლობაში ცენტრი დაკეტილი იყო და მასში არანაირი ღონისძიება არ ტარდებოდა. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ის არ იყო სოფლის საკუთრება.

მხოლოდ აქტიური ჩატარებისა და გარკვეული დაფინანსების გამოყოფის შემდეგ, და ისიც წაწილობრივ, მოახერხეს ინიციატივიანმა ადამიანებმა რამდენიმე ღონისძიების ჩატარება.



გამოფენა, რომლის ორგანიზება მოახდინა სათემო ცენტრმა



ერთ-ერთი სათემო ცენტრის წევრების ნამუშევრები

ცენტრის შენობის არქიტექტურისა და კარგი მდებარეობის გამო (ზაფხულში ტურისტების დიდი ნაკადი მიდის ამ ტერიტორიაზე, ზამთარში თოვლითაა დაფარული) ბევრ ადამიანს აქვს სურვილი გარკვეული ბიზნესდატვირთვა მისცეს მას. მთლიანობაში ცენტრი თითქმის უმოქმედოა და წელინადში მხოლოდ რამდენიმე ღონისძიება ტარდება. ადგილობრივი ინიციატივის შემთხვევაში შესაძლებელია ცენტრის გააქტიურება ზაფხულ-შემოდგომის სეზონზე მაინც.

მაგალითი 2.

თემში ძნელი აღმოჩნდა მოტივირებული ადამიანების პოვნა, რომლებიც თანახმი იქნებოდნენ, ეზრუნათ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე (თუნდაც CTC-ის დახმარებით) და მერე გაეგრძელებინათ მუშაობა CTC-ის ადგილობრივ რესურსცენტრში. ძირითად მიზეზად სახელდებოდა შემო-სავლის სიმცირე (რესურსცენტრში არ არის მაღალი ხელფასები). მოიძებნა რამდენიმე ახალგაზრდა, რომელმაც მოკლე და გრძელვადიანი გადამზადება გაიარა საქართველოში და შემდეგ უცხოეთში. ეს ახალგაზრდები პოტენციურად მზადდებოდნენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციაში სამუშაოდ, რომელიც უნდა ყოფილიყო საქმიანობების გამგრძელებელი პროექტის დამთავრების შემდეგ.

მაგრამ გადამზადების პროგრამების გავლის შემდეგ ახალგაზრდებმა, უკვე როგორც პროფესიონალებმა, ადვილად იშოვეს სამსახური: ერთმა სახელმწიფო სტრუქტურაში, მეორემ ბიზნესსექტორში.

4. დასკვნა

ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სათემო განვითარების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებამ ბევრ დადებით და პოზიტიურ მომენტთან ერთად გარკვეული გამოწვევების წინაშეც დაგვაყენა.

CTC-ის მუშაობამ აჩვენა, რომ თემის განვითა-

რების პროექტის განხორციელებისას მნიშვნელოვანია მუდმივი მონიტორინგი. დაშორებულ თემში მუშაობის შემთხვევაში საკიანდ დიდია რისკი. თუ თანამშრომლები არ არიან მაღალი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის მქონე პირები, ხდება ჩავარდნები, ან სათემო ორგანიზაცია ნაჭუჭში იკეტება და დგება საფრთხე ელიტარულ ჯგუფად ჯადაქცევისა, სადაც თემის ყველა წევრს არ შეუძლია შესვლა. ასეთ შემთხვევაში მუდმივმა კომუნიკაციამ, ადგილზე ვიზიტებმა, თანამშრომლების გადამზადებამ და კადრების გაძლიერებამ შედეგი მოიტანა. დღეს ცენტრში უმრავი ღონისძიება ტარდება, სათემო ცენტრის ბაზაზე დაფუძნებული ორგანიზაცია დამოუკიდებლად თანამშრომლობს დონორებთან.

CTC-ის მიერ მხარდაჭერილი 30-მდე პროექტის თემის წევრების მიერ განხორციელებამ არაერთი საკითხი წამოჭრა.

მცირე პროექტების განხორციელების დროს მნიშვნელოვანი იყო მონიტორინგი. ასეთი პროცედურის უგულებელყოფისა და შედეგების მიღებამდე მოცდის შემთხვევაში, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგები გვქონდა.

თემში მუშაობის ასახვისა და ინფორმაციის დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით CTC-მ გამოიყენა ინფორმაციის გავრცელების საშუალებები: საჯარო შეხვედრები, სამუშაო შეხვედრები, ყოველ 3 თვეში გამოდიოდა საინიციატიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია, სიახლეები და შესაძლებლობები. ამან ხელმისაწვდომი გახდა სათემო ცენტრის დანიშნულების გაზრდა თემის წევრების მიერ და უზრუნველყო პროცესებში თემის წევრების ჩართულობა.

ამრიგად, გვინდა აღვნიშოთ, რომ თემის განვითარების მიმართ მრავალმხრივი მიდგომა თავმოყრილი აღმოჩნდა მცირე პროექტების მართვის ციკლის ყველა ეტაპში, რამაც განაპირობა წარმატებული მუშაობა თემის განვითარების კუთხით.

ამან საშუალება მოგვცა ჩვენ და თემის წევრებს, დაფიქრებულიყავით სხვადასხვა საკითხზე და ადეკვატურად შეგვეფასებინა საკუთარი და თემის შესაძლებლობები, რადგან ხშირად თემშიც არსებობს დაფარული რესურსი/შესაძლებლობა, რომლის საპოვნელად იქ (თემში) გარკვეული დრო უნდა გაატარო.



კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)

ოთარ ჩეეიძის ქ. 5 (ყოფილი: ალ. ყაზბეგის გამზ. 34/3)
0177 თბილისი, საქართველო
(+995 32) 2206774/75

www.ctc.org.ge
ctc@ctc.org.ge



CTC
Empowering
People for
Change

ლილერი - თემის სახე

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ირაკლი ანანიძე, ნათია აფხაზავა

1. შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) არის არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკიდრებით, საზოგადოების განათლებით და მისი სამოქალაქო აქტივობის ამაღლებით, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისათვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნით ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და განვითარებას.

სამოქალაქო საზოგადოებისთვის ინსტიტუტის (CSI) სახელი 2003 წლიდან არის ცნობილი, თუმცა ორგანიზაციის ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო – 1994 წელს საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების და განვითარების საერთაშორისო ცენტრში შეიქმნა ბიზნესსამართლის დეპარტამენტი, რომელიც 1995 წლის ბოლოს გამოიყო ცენტრს და 1996 წელს რეგისტრაცია გაიარა „საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრის“ სახელწოდებით. სწორედ ამ სახელით გაიცნო იგი ქართულმა საზოგადოებამ და საერთაშორისო თანამეგობრობამ. 2002 წელს ორგანიზაციის საქმიანობის არეალის მკვეთრი გაფართოებისა და მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით გამგეობამ შეიმუშავა რეორგანიზაციის ერთნაირი გეგმა; შედეგად 2003 წლიდან ბიზნეს სამართლის ცენტრი ფონდ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტად (CSI) ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) თავის საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს. ესენია: სამართლის, სამოქალაქო საზოგადოების, საჯარო პოლიტიკის, ეკონომიკის განვითარებისა და ეფექტური მმართველობის პროგრამები. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისთვის ყოველი მიმღინარე პროგრამა მნიშვნელოვანია, თუმცა ეფექტური მმართველობის პროგრამა ერთერთი პრიორიტეტულია, რადგან იგი მოიცავს როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური რეფორმების, ასევე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაძლიერვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას; ამავე დროს მოიცავს საჯარო მოსამსახურების კვალიფიკაციის ამაღლებისა და, რაც უმნიშვნელოვანესია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის ხელშეწყობას.

საყოველთაოდ ცნობილი აქსიომაა, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლების საქმიანობაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დემოკრატიის თეორიის და პრაქტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს კომ-

პონენტი იქნება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, კერძოდ კი თვითმმართველობებთან მიმართებაში. შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის ქვაუთხედია. მსოფლიო პრაქტიკაში მონაწილეობის და ჩართულობის ბევრი განსხვავებული მექანიზმი არსებობს, როგორც საკანონმდებლო, ასევე ტრადიციებისა და სამოქალაქო კულტურის დონეზე. ამ მექანიზმების გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობა. ბუნებრივია, ეს საკითხი აქტუალურია საქართველოს თვისაც; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული რეფორმის შედეგად 2006 წლის ბოლოდან ჩამოყალიბდა გამსხვილებული ტიპის თვითმმართველი ერთეულები. თვითმმართველი ერთეულების გამსხვილებამ გამოიწვია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობას შორის დისტანციის გაზრდა; რაც კიდევ უფრო აუცილებელს ხდის ისეთი მექანიზმების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, თვითმმართველობის ორგანოების საჯაროობასა და ანგარიშვალდებულებას; აგრეთვე, მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

ალიშენული საკითხების შესწავლისთვის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა (CSI) 2008 წელს ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანიც იყო თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის შესწავლა. მონაცემების მიხედვით, რეგიონებში გამოყითხული მოსახლეობის ნახევარზე ცოტა ნაკლებმა (42%) იცის, რომ საკრებულოს სხდომები ლია და ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება დაესწროს მას. დასწრების გამოცდილება კი რეგიონებში გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 5.1%-ს აქვს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლე -



შეხვედრა საკრებულოში მომავალი წლის ბიუჯეტის განსახილველად

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ობის ნახევარზე ნაკლები ინფორმაციის პასიური მატარებელია. მათი ცოდნის გაღრმავება და ჩართულობის ხარისხის ზრდა მრავალი ორგანიზაციის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) საქმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

2. მილეგომები, ხელვა სამიზნი პარული

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ინსტიტუტმა 2009 წელს დაიწყო პროექტი „თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ (დამფუძნებელი — ევროკომისის წარმომადგენლობა საქართველოში), რომლის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გზით თვითმმართველობის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდა. ეს მიიღწევა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, თვითმმართველობის მომუშავე მოხელეების კვალიფიკაციის გაუმჯობესებით და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმებით. სწორედ აღნიშნული სამი მიმართულების განვითარების ხელშეწყობის ერთობლიობას მოიცავს ეს პროექტი. იგი ხორციელდება საქართველოს ოთხი რეგიონს (აჭარის ა/რ, გურიის, შიდა ქართლის, კახეთის რეგიონებში) 8 თვითმმართველ ერთეულში (ქალაქი ბათუმი, ქობულეთის, ოზურგეთის, ჩოხატურის, გორის, კასპის, გურჯაანის, ყვარლის მუნიციპალიტეტები) სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა (CSI) და პარტნიორი ორგანიზაციების (გორის საინფორმაციო ცენტრი, საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია, ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი) მიერ.

სანამ უშუალოდ თემთა მობილიზაციის საკითხს შევეხებოდეთ, გაგაცნობთ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას.

ეფექტური მექანიზმების შექმნის მიზნით მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. 2009 წელს შემუშავდა ახალი კანონის პროექტი — „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაბეჭდის შესახებ“, რომელშიც დეტალურად არის განერილი თვითმმართველობის საქ-



საჯარო შეხვედრა საკრებულოს წარმომადგენლებთან


მიანობაში მოსახლეობის მონაბეჭდების პრინციპები და ფორმები, მონაბეჭდების პროცედურები; ასევე, თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშებალებულების პრინციპები. შემუშავებული კანონ-პროექტის ლობირების მიზნით. გამართა აქტიური კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან. საქართველოს პარლამენტი 2009 წლის დეკემბრის ბოლოს მიიღო ახალი საკანონმდებლო ინიციატივა — „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. საკანონმდებლო ორგანოსთან აქტიური კონსულტაციების შემდეგ მოხდა ჩვენ მიერ მომზადებული წინადადებებს გათვალისწინება. მოქმედ კანონს დაემატა ახალი თავი — „მოქალაქეთა მონაბეჭდებისა და მოქმედებების განხორციელებაში“. ცვლილებების შემდგომ გადამტუშავდა და კანონმდებლობის შესაბამისი სახე მიიღო სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოებისა და გამგეობების დებულებებმა. თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგების ციკლი. ტრენინგებში მონაბეჭდებას იღებდნენ საკრებულოს, გამგეობის/მერიის წარმომადგენლები, გამგეობის რწმუნებულება. შესაბამისად, სატრენინგო ციკლიც სამივე ტიპის მოხელეებისთვის სხვადასხვა იყო და მოიცავდა, როგორც მათი საქმიანობისთვის საჭირო, ასევე, მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა საკითხებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში საზოგადოების მონაბეჭდებისათვის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის გარდა აუცილებელია, საზოგადოების მიერ ამ მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება. ხოლო ამ უკანასკნელისათვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია და არსებობდნენ შესაბამისი უნარ-ჩვეულებითა და ცოდნით აღჭურვილი ინდივიდები ან/და ინტერესთა ჯგუფები (მათ შორის არა-სამთავრობო ორგანიზაციები).

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი საქმიანობაც რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. სამიზნე მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები თვითმმართველობების როლის და ფუნქციების, მოსახლეობის უფლებებისა და თვითმმართველობის ორგანებთან ურთიერთობის მექანიზმების შესახებ, დაურიგდათ საინფორმაციო მასალები. პარალელურად გაიმართა საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია (ადგილობრივი ტელეკომპანიებში მომზადდა დიალოგის ფორმატის გადაცემები, რომლებშიც მოსახლეობას შეეძლო, უშუალოდ ჩართულიყო).

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) სამიზნე მუნიციპალიტეტებში, თემთა მობილიზაციის მიმართულებით, სტრატეგიულ პარტნიორად თემის ლიდერის ინსტიტუტს მიანიჭა უპირატესობა. როგორც კვლევები და პრატიკა ცხადყოფს, თემის ცალკეული მცხოვრებლები არაან ინფორმირებული და აქტიური, თუმცა ეს თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაბეჭდების არსებულ სურათს ვერ ცვლის.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი





პროექტმა დაუშვა შესაძლებლობა, რომ თემის ლიდერმა გარკვეული როლი შეასრულოს თვითმმართველობასა და თემს შორის; მისი საქმიანობა წარმართოს თემის მცხოვრებლებთან ერთად არსებული პრობლემების გამოკვეთისა და გადაჭრის გზებს ძიებისკენ. პროექტის ფარგლებში თითოეულ თემში ლიდერი უშვალოდ ადგილობრივმა მოსახლეობამ აირჩია საჯარო შეხვედრებზე (სამიზნე მუნიციპალიტეტებში არჩეულ იქნა 151 ლიდერი). არჩევისას მათ ორი კრიტერიუმით იხელმძღვანელეს: ლიდერი უნდა ყოფილიყო თემის მცხოვრები, თემისთვის ავტორიტეტული, მოტივირებული და აქტივური.

შერჩეულმა ლიდერებმა გაიარეს შესაბამისი მომზადება და შეიძინეს უნარ-ჩვევები პრობლემების გამოკვეთის, გადაჭრის გზების მიების, თემის მობილიზების, საინიციატივაციის შეხვედრების ჩატარებისა და თვითმმართველობებთან ურთიერთობის მიმართულებით. პროექტის საწყის ეტაპზე ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურად ეხმარებოდნენ მათ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობისა და დიალოგის საკითხებში. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, რომელიც ინსტიტუტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ორგანიზებით ჩატარდა. მას ესწრებოდნენ როგორც თემის ლიდერები, ისე ადგილობრივი მოსახლეობა. ისინი გაეცნნენ ბიუჯეტის პროექტს და მიეცათ საშუალება, წარედგინათ ინიციატივები და რეკომენდაციები.

3. გამოსახლება

პოზიტიური გამოცდილება

ლიდერებმა თემის მცხოვრებლებს მიაწოდეს ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია. ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე დასახლება N-ში მოსახლეობა სპორტული მოედნის მოწყობის ინიციატივით გამოიყიდა, რადგან დასახლებაში ახალგაზრდებს და ბავშვებს არ ჰქონდათ თავშეყრისა და გართობის საშუალება. ამავე დროს, სპორტული მოედნით სარგებლობის საშუალება მიეცა საჯარო სკოლასაც, რომელსაც წლების განმავლობაში არ ჰქონდა ასეთი მოედნი. შეხვედრის შემდეგ ინსტიტუტის დახმარებით თემის ლიდერმა მოამზადა ინიციატივა, შეაგროვა ხელმოწერები და წარადგენა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში; ალნიშული მოთხოვნა დააკმაყოფილეს და გაითვალისწინეს თვითმმართველობის ბიუჯეტში.

ერთობლივი მუშაობის შემდგომ თემის ლიდერებმა დამოუკიდებლად დაიწყეს ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის გზების ძიება. მათი და მოსახლეობის ძალისხმევით მოგვარდა რამდენიმე აქტუალური პრობლემა, რაც შეიძლება მოვიჩნიოთ, როგორც თემის ლიდერის, ასევე უშუალოდ თემის მცხოვრებლების წარმატებულ გამოცდილებად. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

მაგალითი 1.

თვითმმართველი ერთეულის დასახლება N-ში გამართულ საჯარო შეხვედრაზე მოსახლეობამ ერთერთ პრობლემად საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გარე ვაჭრობა დაასახელა. მათი აზრით, გარე ვაჭრობა აფერხებდა მოქალაქეთა გადაადგილებას, აბინძურებდა მიმდებარე ტერიტორი-



შეხვედრა მოსახლეობასთან



თემის ლიდერის და პრობლემის გამოკვეთა



ლიდერის არჩევა

რიას, აუშნოებდა დასახლების იერსახეს და, რაც ყველაზე მთავარია, საჯარო სკოლის მოსწავლებს უქმიდა არაჯანსალ სასწავლო გარემოს. ლიდერმა შეიმუშავა დასახლების და საჯარო სკოლის წარმომადგენელთა ერთობლივი განცხადება და მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. ლიდერი აქტიურად ჩაერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში: გაიმართა რამდენიმე შეხვედრა – ადგილობრივი მოსახლეობის, საჯარო სკოლის, გარე მო-



ლიდერები ხვდებიან ადგილობრივ მოსახლეობას



ლიდერები წარადგენენ თემში გამოყენეთილ პროცესებს თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან



ლიდერების სამუშაო შეხვედრა

ვაჭრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანობის წარმომადგენლებს შორის. მოქალაქეების მონაწილეობით ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება გარე ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

გარე ვაჭრობის პრობლემა წლების მანძილზე იდგა დასახლების წინაშე, მაგრამ ვერ ხერხდებოდა მოსახლეობის გაერთიანება და გააქტიურება. თემის ლიდერმა შეძლო თემის მობილიზება აღნიშნული პრობლემის ირგვლივ, გაუნია საკითხს ლობირება და საკითხი მოგვარდა.

მაგალითი 2.

თემის მცხოვრებლებთან ლიდერების შეხვედრების დროს რამდენიმე დასახლებაში გამოვლინდა ტრანსპორტის პრობლემა, კერძოდ, სამარშრუტო ხაზის არარსებობა. საკითხის მოგვარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი მოსახლეობისა და თემის ლიდერის მონაწილეობით გაიმართა საჯარო შეხვედრა, სადაც ლიდერმა შესაბამის უწყებებს მიაწოდა ინფორმაცია პრობლემის და მისი მოგვარების გზების შესახებ. თემის ლიდერმა აღნიშნულ პრობლემას განცხადების სახე მისცა და მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. საკითხი დადებითად გადაწყდა.

წევატიური გამოცდილება

თემთან მუშაობის ჩვენ მიერ არჩეული მეთოდის წარმატებულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თემის ლიდერზე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორგანიზაციამ საკმაოდ დიდი დრო დაუთმო ლიდერების შერჩევას და მათ გადამზადებას. მიუხედავად ამისა, ლიდერთა ნაწილი დასაწყისში ვერ ახერხებდა თემის წინაშე მდგარი პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარებას. მართალია მათ იცოდნენ საკუთარი უფლებები და პრობლემის გადაჭრის გზები, მაგრამ სურდათ, რომ საკითხის მოგვარებაში ჩართულიყო ჩვენი ორგანიზაცია, რადგანაც მიაჩნდათ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან ერთად საკითხის გადაწყვეტის მეტი შესაძლებლობა იქნებოდა. ერთობლივი საქმიანობა ამა თუ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტის მეტ შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ლიდერები უფრო დამოკიდებულები იქნებოდნენ ინსტიტუტზე.

დასაწყისში ვაწვდიდით ინფორმაციას საკურებულოს იმ სხდომების შესახებ, რომლებზეც ბიუჯეტის ან თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილებოდა. ლიდერები, რა თემა უნდა, მონაწილეობას იღებდნენ შეხვედრებში და შემდეგ მოსახლეობას ინფორმაციას აწვდიდნენ. მერე კი, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ცხადყოფს, ლიდერებმა დამოუკიდებლად დაიწყეს საქმიანობა.

4. დასკვნა

ყოველი პრობლემის დადებითად გადაწყვეტის მა-
გალითი პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს თვით-
მმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართუ-
ლობის ზრდაზე. სამოქალაქო საზოგადოების ინსტი-
ტუტის მიერ საზოგადოებრივ პროცესებში ინტერ-
ვენციამ რადიკალურად ვერ შეცვალა არსებული
სურათი და კვლავ აქტუალურად მიგვაჩია თემის
ჩართულობის მნიშვნელობა ადგილობრივი პრობლე-
მების იდენტიფიცირებასა თუ მოგვარებაში. ნეგა-
ტიურმა გამოიკდილებამ ცხადყო, რომ თემთან საჭი-

როა ხანგრძლივი და ინტენსიური მუშაობა, რათა მან
(თემმა) გააცნობიეროს, რომ შესწევს უნარი – და-
მოუკიდებლად გადაწყვეტოს მის წინაშე არსებული
პრობლემები. მიგვაჩია, რომ ყოველ წარმატებულ
შემთხვევას, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, სამა-
გალითო ხასიათი აქვს ხოლმე სხვა თვითმმართველი
ერთეულებისა და ორგანიზაციების. აღნიშნული პრო-
ექტის მიზანია, წარმატებული აქტივობების ისეთი
პრეცედენტების შექმნას შეუწყოს ხელი, რომლებიც
მულტიპლიკატორის როლს შეასრულებს უშუალოდ
პროექტის სამიზნე რეგიონების შეგნით და მათ
გარეთ.



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

26 მაისს მოედანი 2, V სართული,

0171 თბილისი, საქართველო

ტელ.: (995 32) 2 365 675

ფაქსი: (995 32) 2 363 600

adm@civilin.org
www.civilin.org

სათემო განვითარება

იძულებით გადაადგილებულ ქალთა
ასოციაცია „თანხმობა“
იულია ხარაშვილი, ლიანა ბერია

1. შესავალი

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ 1994 წლიდან ჯერუფის სახით არსებობდა, 1996 წლის აპრილში კი ოფიციალურად დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია.

ასოციაცია იღვნის დემოკრატიული, მშვიდობიანი საზოგადოების მშენებლობისათვის, რომელიც თანაბარ შესაძლებლობებს მისცემს ადგილნიცელ ქალებს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში, აგრეთვე ხელს უწყობს ი.გ.პ-თა და სხვა უმცირესობათა ჯგუფების განათლების, ეკონომიკური მდგომარეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალებსა და ახალგაზრდებას.

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ქალების და ახალგაზრდების არაფორმალური განათლება; მშვიდობის აღმშენებლობა; ფსიქორეაბილიტაციის პროგრამები; ქალთა ეკონომიკური და საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერა; ი.გ.პ.-თა პრობლემების ადვიკატირება; დევნილთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობის დამკვიდრება, რეგიონალური თანამშრომლობა, სოციოლოგიური კვლევები, სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის გაზრდა. ყველა ეს მიმართულება იგეგმება და ხოციელდება სამიზნე ჯგუფების უშუალო მონაწილეობით.

ასოციაციას ფილიალები აქვს ქ. გორში (შიდა ქართლი), წყალტუბოში (იმერეთი), ზუგდიდში (სამეგრელო); საოცმო საინტეგრაციო ოთახები გახსნილია ნიქოზში, ერგნეთში, გარდაბანსა და ბორჯომში.

ასოციაცია მუშაობს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ და 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირებთან.



გართობის ცენტრი

ასოციაცია მუშაობს ძალიან განსხვავებულ კონტექსტში: წყალტუბოში, ბორჯომშა და გორში – დევნილებთან, რომლებიც უკვე 17 წელია, ცხოვრობენ კომპაქტურ ჩასახლებებში – ძველ ადმინისტრაციულ შენობებში, რომელთა უმრავლესობა ამორტიზებულია და საცხოვრებლად უვარგისი; ახალ დასახლებებში, სადაც დევნილები 2008 წლის ომის შემდეგ ჩასახლდნენ, და საზღვრისპირა სოფლებში (ნიქოზი, ერგნეთი), სადაც ადამიანთა უსაფრთხოება და შემოსავლების გენერირება ყველაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენს. სხვადასხვა სიტუაცია განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს.

წარმოდგენილი სტატია ასახავს ჩვენ მიერ განხორციელებულ საქმიანობას თემის განვითარების თვალსაზრისით – დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვა მოგვიხდა და მიღწეულ შედეგებს.

2. მიღმობა, მიზნობრივი ჯგუფი, ხელვა

არსებობს თემის განვითარების სხვადასხვა განმარტებები. ჩვენი ასოციაციისთვის ყველაზე მეტად მისაღებია შემდეგი განმარტება: თემის განვითარებისათვის საჭიროა, თემის წევრებმა შეიძინონ დამატებითი უნარ-ჩვევები, გაატიღიურდეს და მობილიზებულ იქნეს მათი შიდა შესაძლებლობები, რათა გაიზარდოს თემის ჩართულობა საკუთარი პრობლემების გადაჭრაში, გადაწყვეტილებების მიღებასა და თანამშრომლობაში სხვადასხვა სტრუქტურებითან თემში პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად.

ჩვენ თემის მობილიზაციამდე და გააქტიურებამდე მივედით მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინეთ, რომ – ცალებული პრობლემები არ წყდება, თუ ისინი არ ჯდება თემის პრობლემატიკის კონტექსტში. ასოციაცია, რომელმაც მუშაობა დაიწყო ძირითადად სამშვიდობაზე აქტივობებით, უფრო მეტად ყურადღებას მახვილებდა გარკვეულ პროექტებსა და მიმართულებზე, ვიდრე ზოგადად თემთან მუშაობაზე.

საოცმო განვითარებაზე ასოციაცია პირველად მაშინ დაფიქტრდა, როდესაც ერთ-ერთ თემში ერთნლიანი საგანმანათლებლო პროექტით შევიდა.

თემში მუშაობა 2003 წელს დაიწყო. თავდაპირველად ჩატარდა თემის საერთო კრება, სადაც ასოციაციამ წარადგინა გეგმა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოსარეაბილიტაციო ოთახის შექმნის შესახებ. პროექტი ითვალისწინებდა საგანმანათლებლო და ფსიქოსარეაბილიტაციო კურსებს სასკოლო ასაკის დევნილი (5 კომპაქტური ჩასახლება) და ადგილობრივი ბავშვებისათვის. ბავშვებთან თემის წევრი მასწავლებლები მუშაობდნენ.



პროექტის პირველსავე თვეებში გამოჩნდა, რომ, ჩვენი მოლოდინის მიუხედავად, თემის უფროს თაობას პროცესში ჩართვა არ სურდა და საჭირო იყო, მათი ჩართვის უზრუნველსაყოფად, სხვა მეთოდების გამოყენება: კომუნიკაცია თემთან, ჯერ ინფორმაციის გავრცელების დონეზე და შემდეგ — თემში სამიერადაქო აქტიურობის განვითარების გზით.

ამჟამად ასოციაცია თემის მობილიზაციის ინსტრუმენტს სხვადასხვა პროექტში იყენებს, ძირითადად, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებსა და ახალ დასახლებებში მუშაობის დროს.

ასოციაცია სათემო მობილიზაციისას რამდენიმე მიდგომას იყენებს — თემის წევრების, ძირითადად ქალების, შესაძლებლობების გაძლიერებას და თემის უარისნობის გაზრდას. ამ შიდგომების კომბინირების გზით ასოციაცია ცდილობს თემის შიდა რესურსების გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.

დევნილთა თემებში ძირითადი ყურადღება ეთმობა ქალებს და ახალგაზრდებს, როგორც არაფორმალურ ან პოტენციურ ლიდერებს.

ყოველ სამიზნე ჯგუფს თავისი სპეციფიკა და განსხვავებული პრობლემები აქვს. 90-იან წლებში მომხდარი კონფლიქტების შედეგად იძულებით გაადადგილებულ პირებს ყველაზე მეტად აწუხებთ განსახლების და დასაქმების პრობლემა — იქ ინტეგრაციის სირთულე ძირითადად გამოწვეულია სოციო-ეკონომიკური პირობებით და საწყისი ფინანსური კაპიტალის არენით. ამ თემებში ადამიანები კარგად იცნობენ ერთმანეთს, იციან საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ ნაკლებად სჯერათ პოზიტიური ცვლილებებისა და ხშირად იმედ-გაცრუებული არიან.

ასეთ თემში შესვლის დროს ასოციაცია ცდილობს მონახოს ისეთი მიდგომები, რომლებიც თემს საკუთარი თავის რწმენას დაუპრუნებს.

რაც შეეხება დევნილთა ახალ დასახლებებს, რომლებიც 2008 წელს ხელოვნურად შეიქმნა, იქ ასოციაციამ მუშაობა დაიწყო ორი მიმართულებით — პუმანიტარული დახმარების განანილებითა და ბავშვებისა და ქალების ფსიქოლოგიური დახმარებით. როგორც წესი, ამ დასახლებებში ცხინვალის რეგიონის სხვადასხვა სოფლებიდან ხალხს ერთად ასახლებდნენ. მაგალითად, გარდაბანში 7 სოფლის

მოსახლეობაა ჩასახლებული ერთ კორპუსში, ხოლო სკრაში ჩასახლებულია 86 ოჯახი 14 სხვადასხვა სოფლიდან. აქ თავიდნევე აუცილებელი იყო აქცენტის გაკეთება ინტეგრაციაზე — ურთიერთობების დამყარებაზე, როგორც ჩასახლების შეგნით, ასევე ადგილობრივ „მასპინძელ“ საზოგადოებასთან და შემდეგ კი უშუალოდ თემის განვითარებაზე.

თემთან მუშაობის ეტაპები:

- ▲ თემის შერჩევა;
- ▲ საინფორმაციო შეხვედრა;
- ▲ საინიციატივო ჯგუფის ფორმირება;
- ▲ ქალების და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარება;
- ▲ ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებთან (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონალურ წარმომადგენლობებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან და ა. შ.) კავშირის დამყარება და მათთან რეგულარული კონსულტაციები;
- ▲ საინიციატივო ჯგუფის გაძლიერება (ტრენინგები, კონსულტაციები);
- ▲ საინიციატივო ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება თემის უშუალო ჩართულობით;
- ▲ სათემო (საინტეგრაციო) ოთახის აღჭურვა და ფინანსური მხარდაჭერა (საკომუნიკაციო ხარჯები: ელექტროენერგია, ინტერნეტი);
- ▲ მონიტორინგი და შეფასება (თემის წევრების გამოკითხვა და სხვა).

თემთან ურთიერთობაში ასოციაცია იყენებს შემდეგ პრინციპებს: გამჭვირვალობა; ყველა მოპოვებული ინფორმაციის გაზიარება; თანასწორობა ურთიერთობაში, რეგულარული უკუკავშირის დამყარება.

სედვა

ასოციაციის მთავარი მიზანია, რომ ერთობლივი მუშაობის შედეგად თემს პერსონალის უნარი და შესაძლებლობა, თვითონ გააანალიზოს საკუთარი ინტერესები და ამოცანები, შექმნას მათი გადაჭირის გეგმა და მიუშაოს ამამოცანების გადასაჭრელად.



საინფორმაციო შეხვედრა



ტრენინგი

3. გამოცდილება

3.1 პოზიტიური გამოცდილება

3.1.1. თემი N, ასოციაცია მუშაობს 2002 წლიდან

მოცემული თემისთვის, ისევე როგორც კომ-ჟაქტურად ჩასახლებული დევნილების უმრავლესო-ბისთვის, დამახასიათებელია სახელმწიფო სტრუქ-ტურების მხრიდან მათი პრობლემებისადმი უყურად-ლებობის მტკიცნეული განცდა.

ჩვენი მისამართი თემში მიზნად ისახავდა, დაგეხმარებოდით მათ არსებული ნეგატიური მდგომარეობის შეცვლაში. ეს გამოიხატებოდა, უპირველესად ყოვლისა, ჩვენი მიდგომით და ჩვენი შესაძლებლობების გამოყენებით თემის წევრებზე ზეგავლენის მოხდენაში, ანუ მცდელობა მათი დამოკიდებულების – მე არავის ვჭირდები და არავის ვახსოვარ – გადაყვანისა დამოკიდებულებაში – უნდა მივაღწიო ჩემთვის სასურველ მდგომარეობას.

შევერიბეთ თემი და მივაწოდეთ ინფორმაცია ამ ეტაპზე ჩვენს გეგმებზე ბავშვებთან მუშაობასთან დაკავშირებით. თემი ემაყოფილებით შეხვდა ჩვენს წინადაღებას, რადგანაც ბავშვების განათლება მათ-თვის მნიშვნელოვანი იყო.

მუშაობა დავიწყეთ, როგორც სკოლამდელი ასაკის (5–6 წლის) ბავშვებთან, ისე სკოლის მოსწავლეებთან – ოთხი სხვადასხვა კომპაქტური ჩასახლების დევნილებთან და ახლომდებარე კორპუსებში მცხოვრებ არადევნილებთან. მუშაობა მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით: მუშაობს ინგლისური და რუსული ენების შემსნავლელი კურსები, ცეკვის, ხატვის, ქსოვის და ქარგვის წრეები (ამჟამად ცეკვის და ხატვის წრეების მუშაობა დროებით შეჩერებულია), პედაგოგები თემში მცხოვრები დევნილები არიან.

პირველ წლებში კვირაობით თბილისიდან ფსიქოლოგი ჩამოდიოდა და ბავშვებთან მუშაობდა.

მთლიანობაში ეს არის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვების ფსიქორეაბილიტაცია და ადგილობრივ გარემოში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ჩვენ მოველოდით, რომ მშობლები გამოიჩინდნენ

დაინტერესებას და მათგან წამოვიდოდა ინიციატივა თემში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგანაც მათ მიჩრინეს, რომ რაც კეთდება – კარგია და ეს ბავშვებისთვის არის. თემში ნორმალური პირობები რომ იყოს საცხოვრებლად, ამას სჭირებება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ამ პრობლემების დანახვა და მათი გადაწყვეტის სურვილი, ეს კი უკვე თემის გასაკეთებელ საქმედ არ ალიქმებოდა.

დავიწყეთ წრეების მოაზილე ბავშვების მშობლებთან შუშაობა – გავესაუბრეთ შათ, ვკითხეთ, როგორ აღმოჩინდნენ ამ ჩასახლებაში?, დევნილობამდე რა საქმიანობას ეწეოდნენ? რა საქმიანობით არიან დაკავებული ამჟამად? როგორ ხედავენ თავიანთი შვილების მომავალს? გასაუბრებისას, ჩვენ თვითონაც დევნილები, ვუყვებოდით ჩვენზე და საუბრის ბოლოს გვრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ განწყობა ეცვლებოდათ, უფრო იხსნებოდნენ და ღიად ლაპარაკობდნენ არსებულ სირთულეებზე.

საუბრისას ყველა ასახელებდა დასაქმების პრობლემას.

რადგან ასოციაციის მუშაობა ამ თემში ძირითადად ბავშვების განათლებაზე იყო ორიენტირებული, მოვიფირეთ გზა, როგორ ჩაგვერთო დედები – შევთავაზეთ ნამცხვრების კონკურსის ჩატარება. გამარჯვებული 10 ქალი დაჯილდოვდა საცხობი აირლუმელებით, კონკურსში მათთვის აუცილებელად შესასრულებელი პირობა იყო ჩადებული – 1 წლის განმავლობაში მორიგეობით გამოეცხოთ ტკბილეული მეცადინებების დროს ბავშვთა კვების უზრუნველსაყოფად. კონკურსის იდეა ქალებს მოეწონათ და ბევრმაც მიიღო მონაწილეობა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, თვითონ მშობლებმა და პედაგოგებმა შეადგინეს მორიგეობის გრაფიკი. ამან დაგეგმვის უნარ-ჩვევების შეძენასაც შეუწყო ხელი. ამ კონკურსმა და მომდევნო ღონისძიებებმა თემში პროექტის მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა და ხელი შეუწყო ნდობის ჩამოყალიბების პროცესის დაწყებას. დევნილები თანდათანობით აქტიურდებოდნენ და არაერთხელ მოგვმართეს სხვადასხვა წინადაგებით.

ბავშვებთან მუშაობამ, რომელიც პროექტის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა, თემს საკუთარი რესურსების გამოყენების მნიშვნელობა დაანახვა.



ტრენინგი



ტრენინგი

ბავშვებთან მუშაობა არ შეწყვეტილა, მეცადი-ნეობები მოხალისეობრივ საფუძველზე ტარდებოდა (და ტარდება დღემდე უკვე სხვა ბავშვებისათვის). მუშაობის შედეგი აისახა ბავშვებზე: გამოიხატა მათი უკეთესი წარმატებებით სკოლებში და მრავალფეროვან ღონისძიებებში თვით თემში (კონცერტები, გამიზენები, სპორტული შეჯიბრებები).

რამდენიმე ხანში მოგვმრთეს დევნილებმა, რომლებსაც უნდოდათ მცირე ბიზნესის დაწყება. მსურველებს ჩაუტარდათ ტრენინგი ბიზნესგეგმების მომზადებასა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში. საუკეთესო ბიზნესგეგმები დაფინანსდა ასოციაციის პროექტიდან. ზოგიერთი პროექტის მიზანი იყო ინდივიდუალური ბიზნესის ხელშეწყობა, ზოგი კი ემსახურებოდა თემის ინტერესებს (მაგალითად, წყალგაყვანილობის რემონტი; ზაფხულში ჩასახლების ტერიტორიაზე საცურაო აუზის რეაბილიტაცია და სხვა.)

ამ ღონისძიებით თემში განწყიცდა რწმენა, რომ თემის ჩართულობას არსებული სიტუაციის პოზიტიურად შეცვლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

თემმა თანდათანობით დაიწყო სხვადასხვა ინიციატივების წამოწევა და მოგვმართავდნენ რჩევებისათვის, როგორც დაგეგმვის, ისევე განხორციელების გზების ძიების თვალსაზრისით.

დიდი პრობლემა იყო და დღემდე არის წყალმომარაგება, ელექტროგაყვანილობა, შენობების რემონტი. მათი გადაწყვეტა საბოლოოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ თემი აქტიურად არის ჩართული პრობლემის მოგვარებაში: მიმართავენ განცხადებით სათანადო უწყებებს, ურთიერთობენ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებთან, ისე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონალურ წარმომადგენლობასთან და საკითხების დროებით გადაწყვეტას თემის თანამონანილებით ახერხებენ.

ამ მუშაობის ინიციირებას და თვალყურის მიდევნებას ახორციელებს საინიციატივო ჯგუფი. მათთვის ჩატარდა ტრენინგები, რის შედეგადაც ჩამოუყალიბდათ პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაწყვეტის გზების ადვოკატირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. საინიციატივო ჯგუფი მუშაობს თემის სახელით და თემში არსებულ ადამიანურ რესურსებზე დაყრდნობით.



კომპიუტერული კურსები

2008 წელს ომის დროს თემს მოუხდა კომპაქტური ჩასახლების დატოვება და მეორეჯერ იძულებითი გადაადგილება. რამდენიმე კვირის განმავლობაში ისინი ქ. თბილისის სხვადასხვა დროებით თავ-შესაფარში იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ თემში დაუცველობის შეგრძნება კიდევ უფრო გაიზარდა. მიუხედავად ამისა, საინიციატივო ჯგუფი აქტიურად მუშაობს; მათ ერთ-ერთი იდეით მსოფლიო ბანკის პროექტის დაინტერესებასაც კი მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ პროექტისთვის თემის მიერ იდეების შერჩევისას დასახულ ბევრ პრიორიტეტს შორის გაიმარჯვა ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის შემოთავაზებამ – ახალგაზრდებმა თემის დანარჩენი წევრების დარწმუნება შეძლეს.

წლების განმავლობაში თემმა გაითავისა, რომ სასურველი მდგომარეობის მიღწევის აუცილებელი პირობა არის თვითონ თემის აქტიური ჩართულობა პრობლემის გაცნობიერებაში, მისი გადაჭრის გზების ადვოკატირებასა და საკუთარი უფლებების დაცვაში.



გართობის ცენტრი



სპორტული ღონისძიება

თემი

ეს ისევ დევნილთა თემია, რომელიც ცხოვრობს საკმაოდ მოშირებულ ადგილას. თემს წლების განმავლობაში პქონდა ელექტროენერგიის პრობლემა. ასოციაცია დაეხმარა რამდენიმე ახალგაზრდა წევრს, რეგულარული მინანილეობა მიეღოთ ასოციაციასთან არსებული მულტიულტურული დიალოგის კომისიის სხდომებში, სადაც ხდებოდა მსგავსი პრობლემების განხილვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად.

ახალგაზრდებს შესაძლებლობა პქონდათ – მიეღოთ შესაბამისი ცოდნა და ენახათ ადვოკატირების მეთოდები. ცოტა ხანში მათ თემში შექმნეს საინიციატივო ჯგუფი. აღსანიშნავა, რომ ამ ჯგუფში სხვადასხვა ასაკის ადამიანები შევიდნენ და ადგილობრივ ადმინისტრაციისთან და ენერგოკომპანიასთან რეგულარული შეხვედრები დაიწყეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მათ შეძლეს თვით თემში მოლაპარაკება ელექტროენერგიის დაზიგვის გრაფიკზე. ყველა დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს კომპაქტური ჩასახლების ადგილზე, ყოველთვიურად უფასოდ იღებს 100 კვტ ელექტროენერგიას ოჯახის თითოეულ წევრზე. ზამთრის პერიოდში ეს 100 კვტ საკმარისი არ იყო, იხარჯებოდა მეტი, დევნილებს უგროვდებოდათ დავალიანება, რომელსაც ვერ იხდიდნენ. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო კი შუქი ეთიშებოდათ. საინიციატივო ჯგუფმა შეიძლო ელექტროენერგიის მოხმარებაზე თემში კონტროლის დაწესება, გრაფიკის ორგანიზება, ამის შედეგად ზაფხულში დიდი დანაზოგი დაგროვდა, რომელმაც თემს ზამთარში დამატებითი რეზერვი შეუქმნა.

ასეთმა შედეგმა თემი საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნა. საინიციატივო ჯგუფმა გააგრძელა მუშაობა – მოხალისეობრივ დონეზე ორგანიზებულ იქნა კომპიუტერული კურსები და პირველადი სამედიცინო დახმარება. იმ მომენტისთვის, როდესაც თემს გაუჩნდა სერიოზული დონორი – მსოფლიო ბანკის პროექტი – საინიციატივო ჯგუფს პქონდა უფლება-მოსილება თემის მობილიზაციის გზით აერჩია პრიორიტეტი, რომელიც ყველასათვის მისაღები გახდა. 2010 წელს საინიციატივო ჯგუფი

დარეგისტრირდა, როგორც სათემო არასამთავრობო ორგანიზაცია, და ამჟამად შეძლებს, პრიორიტეტული პროექტი დამოუკიდებლად შეასრულოს.

3.2 ნეგატიური გამოცდილება

თემი X, ასოციაცია მუშაობს 2008 წლიდან



2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ასოციაცია ომით დაზარალებულებისთვის ახორციელებდა ჰუმანიტარული დახმარების პროგრამას, რომელიც მოიცავდა როგორც კვების პროდუქტებით, ისე პირველადი საჭიროების ნივთებით უზრუნველყოფას.

ორგანიზაციის მოხალისეები მუშაობდნენ დაზარალებულებთან ბავშვებისა და ქალების ფსიქორეაბილიტაციაზე. შთაბეჭდილება, რომელსაც ტოვებდა თემი, იყო საგანგაშო: მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები წლების განმავლიბაში არასტაბილურ რეგიონში ცხოვრობდნენ, აბსოლუტურდ მოულოდნელი იყო მათვის ის უბედურება, რომელიც დაატყდათ თავს. ეძებდნენ დაკარგულ ოჯახის წევრებს, ნათესავებს და ახლობლებს, იყვნენ დაბნეულები და გაუბედურებულები. ყველაფერ ამას დაემატა იმ გარემოს სპეციფიკა, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ — ენა, რომელზეც ადგილობრივი თემი საუბრობს გაუგებარია, ადათ-წესები უცხოა და უცნობი, კლიმატიც კი ძალიან განსხვავებულია.

დიდი იყო ჩვენი სურვილი დავხმარებოდით ამ ადამიანებს და გაგვეზიარებინა ის გამოცდილება, რომელიც გაგვიჩნდა არა მარტო როგორც ორგანიზაციას, არამედ პირველულად თითოეულ ჩვენგანს.

პირადი საუბრებისას ყველასაგან მოდიოდა ერთი მესიჯი: „დაგვაბრუნეთ სახლში, ყველა პრობლემა აქედან მოდის“.

უმრავლესობას პქონდა ინფორმაცია საკუთარ სახლებზე, თუ რა მდგომარეობაში იყო ისინი.

თემის კრებაზე, რომელიც ჩატარდა ერთ-ერთი დევნილის ბინაში, აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ კარგი იქნება, თემს პქონდეს შეკრების ადგილი — ოთახი, რომელიც იქნება თემის განკარგულებაში და ისინი შეძლებენ ისარგებლონ ამ ოთახით საჭიროების შემთხვევაში. დიდი ძალისხმევის შედეგად, ასეთი ოთახი ჩასახლებაში მოიძებნა და გარემონტდა.



ჭრა-კერვის კურსები



იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“

ოთახში რეგულარულად ენყობოდა თემთან შეხვედრები, დისკუსიები და ტრენინგები. აღმოჩნდა, რომ თურმე ახალჩასახლებულ დევნილებს განსხვავებული პრობლემები აქვთ: რამდენიმე ოჯახი ჩასახლებული იყო გარემონტებულ ოთახებში, რომლებშიც რემონტამდე საპირფარეშოები იყო. ამ ოჯახებსთვის მთავარი პრიორიტეტი გახდა ბინების გამოცვლა და მთელი მათი ძალისმევა მიმართული იყო ამ მიზნის მიღწევისკენ, თემის დანარჩენი ნევრებიც თითქმის არ გამოყოფდნენ სხვა პრიორიტეტებს. ამ მიმართულებით ასოციაციას ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდა. ჩვენ მიერ უფრო აქცენტირებულ იყო თემში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რადგანაც არსებობდა დევნილებისთვის განათლების დონის ამაღლების საჭიროება.

ჩვენ გვქონდა მოლოდინი, რომ სათემო ოთახის არსებობა თემს მეტ შესაძლებლობებს მისცემდა გაენანალიზებინათ საკუთარი მდგრადება, გარკვეულიყვნენ იმ რეალობაში, რომელშიც აღმოჩნდნენ და განესაზღვრათ საკუთარი საჭიროებები. სინამდვილეში მოხდა ისე, რომ ინიციატივები თემისგან არ მოდიოდა.

ამ თემში მუშაობის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: რა არის თემი და სათემო მობილიზაცია, გუნდური მუშაობა, სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო ინიციატივები; მოხალისება, ადვოკატირება, ლიდერობა, ქალთა და დევნილთა უფლებები, თვითემარობის მიღწევა. ამ თემის ახალგაზრდები მონანილეობდნენ სპეციალურ ახალგაზრდულ ტრენინგში – „როგორ წარმოვადგინოთ საკუთარი თავი“. ის მეთოდები, რომლებიც კარგად მუშაობდა დევნილთა სხვა თემებში, აქ არ იძლეოდნენ შესაბამის შედეგს – თემი რეაგირებდა გარკვეულ ინიციატივებზე, მაგრამ ძირითადად პასიური იყო. მაგალითად, ახალგაზრდებმა დააფიქ-სირეს კომპიუტერის სწავლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, რაც მათთვის დაბრკოლებას წარმოადგენდა სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისას. თემის წინადადების საპასუხოდ ასოციაციამ შეიძინა და სათემო ოთახში დაამონტაჟა კომპიუტერები, დაინყო ფუნქციონირება კომპიუტერის შემსწავლელმა კურსებმა, დასაქმდა ორი თემში მცხოვრები კომპიუტერული პროგრამების მცოდნე, მაგრამ თემი ამას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. აღმოჩნდა, რომ ამ ქალაქში ფუნქციონირება დაინყო კომპიუტერის შემსწავლელმა სხვა პროგრამამ. როგორც სხვა თემებში, ასოციაციის გათვლა იყო იმაზე, რომ დევნილებისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა კომპიუტერის შესწავლის შესაძლებლობა საკუთარ შენობაში. რეალობაში კი აღმოჩნდა, რომ მათ არჩევანი გააკეთეს უფრო მომორჩებით ფუნქციონირებად კურსებზე.

მეტი ინტერესი გამოჩინეს ქალებმა ქსოვის და კერვის კურსების გახსნის დროს – აქ გარკვეული პერიოდის შემდეგ ინიციატივა წამოვიდა უკვე ქალთა იმ ჯგუფიდან, რომელიც შექმნილი იყო სწავლების მიზნით. ძირითადად, თემის ყველა ინიციატივა დაკავშირებული იყო შემოსავლების გენერირების შესაძლებლობის შექმნასთან. ასოციაცია

დაეხმარა ქალებს გამოეტანათ საკუთარი ნაქსოვი და შეკერილი პროდუქცია გამოფენა-გაყიდვაზე, ამის შემდეგ ჯგუფმა ჩატარა მარკეტინგული კვლევა და გადაწყვიტა სამკერვალო სახელოსნოს გაკეთება, რომელიც ძირითადად იმუშავებდა თეორეულის და ბავშვებისთვის საცეკვაო ფორმების კერვაზე. ჯგუფი ჯერ თვითორგანიზების პროცესშია და ძნელია იმისი თქმა, თუ რამდენად წარმატებულად იმუშავებენ.

ჩვენ ვთვლით, რომ წარუმატებლობა ახალგაზრდებთან მუშაობაში, ერთი მხრივ, იმასთან არის დაკავშირებული, რომ ბევრი მათგანი ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს (მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო თვეობით რჩებან ნათესავებთან, რომლებიც ცხოვრობენ უფრო განვითარებულ ადგილებში), და არ არის დაინტერესებული საკუთარი თემის განვითარებაში. მეორე მხრივ, ის სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამები, რომლებიც ვრცელდება მათზე, როგორც კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებზე, არ აქმაყოფილებდა მათ პირველად მოთხოვნებს, ჩივილები იყო საკვები პროდუქტების ერთფეროვნებაზე, რომლის შეცვლა რეალურად შეუძლებელი იყო, რადგანაც ეს იყო პროგრამა სასიცოცხლოდ აუცილებელი სტანდარტების დაცვით. ჩვენი დაკვირვებით, ძირითადად თემის უზრუნველყოფამ აუცილებელი საარსებო პირობებით გამოიწვია რეალობის არასწორი აღქმა, გადაუდებელი სიტუაციების დროს მოქმედი პროგრამების მიმართ გადაჭარბებული მოლოდინი და შედეგად მივიღეთ ინერტულობა, საკუთარ თავში ჩაკეტვა.

მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში ასოციაციის დაგეგმვაც არ იყო სწორი – არ იყო გათვალისწინებული ქალაქში არსებული სხვა რესურსი.

აღსანიშნავია, რომ თემში ცხოვრობენ დევნილები 7 სხვადასხვა სოფლიდან და მათ ერთმანეთთან ურთიერთობის პრობლემებიც აქვთ.

ჩვენი აზრით, ახლა, როდესაც შეწყდა მათთვის განკუთვნილი დახმარების პროგრამები, ისინი რეალურად შეაფასებენ საკუთარ პრობლემებს – დადგებიან იმ ფაქტის წინაშე, რომ მათი შვილები უკვე ამთავრებენ სკოლას; სწავლის გასაგრძელებლად და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად კი სჭირდებათ უფრო მაღალი ხარისხის განათლება, ვიდრე დღეს არის მათთვის ხელმისაწვდომი. მათი ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება შესაძლებლობების რეალიზაციის მათ უნარზე და მათ აქტიურობაზე. ვიმედოვნებთ, რომ ამან შესაძლებელია გამოიწვიოს მათი გააქტიურება და მობილიზება, თუმცა შესაძლებელია მოხდეს პირიქით, უფრო მეტად დაეუფლოთ უიმედობა. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ამ თემში, ვეცდებით ხელი შეუზრუნველყოთ მათ ახალი უნარ-ჩვევების შექმნაში. მათ მიერ საკუთარი მდგომარეობის ხელახალი გაცნობიერების შემდეგ იქნებ მივაღწიოთ თემის გააქტიურებას.

4. | დასკვნები

ჩვენი გამოცდილება შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- * თემის მობილიზაცია არ შეიძლება იყოს ერთჯერადი ქმედება – თვითდაჯერება და რეალური შესაძლებლობების განვითარება ხანგრძლივი პროცესია.
- * დევნილთა თემის შემთხვევაში ერთ-ერთი აქცენტი უნდა გაკეთდეს მათ დაკავშირებაზე ადგილობრივ თემთან და ადგილობრივ სტრუქტურებთან. ითვლება, რომ დევნილებზე პასუხისმგებელია მხოლოდ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო“ და ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებად ინტერესდება მათი პრობლემებით. სინამდვილეში ისინი ისე-თივე მოსახლეები არიან, როგორც სხვა დანარჩენები. მნიშვნელოვანია ამ სტერეოტიპის აღმოფხვრა და ურთიერთობების დამყარება დევნილთა თემსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.
- * თემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია

თემში არაფორმალური ლიდერების მოძიება და გაზრდა.

- * თემის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა განათლების დონის ამაღლება.
- * ბავშვებთან ან თემის სხვა მნიშვნელოვან ჯგუფებთან მუშაობის პროგრამები შეიძლება იყოს კარგი ბიძგი თემში მუშაობის დაწყებისათვის.
- * ქალთა როლი თემის განვითარებაში უკვე აღაარებულია. საჭიროა ამ ქალების თვითორგანიზების ხელშეწყობა და რესურსებით გამყარება.
- * დევნილთა თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მისი განვითარების პროცესი ხანგრძლივია, რადგან ისინი წლების განმავლობაში თავს დროებით მცხოვრებლებად თვლიან; ხშირად მათ უხდებათ ცხოვრება გაორებულ მდგომარეობაში – ერთი მხრივ, ისევ ფიქრობენ დაბრუნებაზე, მეორე მხრივ, ესმით ახლანდელ ადგილებში დამკვიდრების აუცილებლობა, მაგრამ აშინებთ სიტყვა „ინტეგრაცია“. ამიტომ ყველა პროგრამის კომპონენტი უნდა იყოს ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და მხარდაჭერა.



იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“

თამარ მეფის გამზ. № 20, მეორე სართული;
0112 თბილისი, საქართველო
ტელ./ფაქსი (+ 995 32) 234 49 82

admin@idpwa.org.ge
www.idpwa.org.ge

სათემო განვითარება - „რეას“ პირველი ნაბიჯები

კავშირი „რეა“

ელისო რეხვიაშვილი



RheA

1. შესავალი

კავშირი „რეას“ რეგიონალური საქმიანობის მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს განვითარების თავისებურებების მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის თემზე დაფუძნებული სოციალური სერვისის შექმნის ხელშეწყობას, არ მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს. თუმცადა, იმის გამო, რომ თემთან მიმართებაში ჩვენი სამუშაო სპეციფიკა ოდნავ განხვავებულ მიღებულს მოითხოვს, მანც მიზანშენილად ჩავთვალეთ ჩვენს მიერ დაგროვებული გამოცდილების გაზიარება მათვის, ვინც სათემო განვითარებაზე მუშაობს.

როგორც ცნობილია, თემის განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანებს ინსტრუმენტს წარმოადგენს სათემო მობილიზაცია, რომლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად უზრუნველყოფს თემის განვითარებაზე არიენტირებული ორგანიზაცია თემის მხრიდან პრიორიტეტული პრობლემების დროულ იდენტიფიცირება-დაფიქსირებას მუშაობის საწყის ეტაპზევე. ამ პროცესში შეუცვლელია ფასილიტაციის ტექნიკა, რომელიც მთლიანად გამორიცხავს თემზე ზემოქმედებას შესაბამის მანიპულაციებით, გარედან თავს მოხვეული, თუნდაც თემისთვის სასიკეთო, მაგრამ უცხო, მის მიერ ჯერ კიდევ გაუცნობერებელ აზრამდე მიყვანის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მარცხი გარდაუვალია და აუცილებლად იჩენს თავს თემთან მუშაობის ამა თუ იმ ეტაპზე.

ამის გათვალისწინებით, ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რომ თავდაპირველ სათემო შეხვედრებზე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას საჭიროებათა პირველი რიგის აქტუალურ პრიორიტეტებს შორის (რომელთა შეჯერება მათი სიმრავლისა და დაფინანსების შეზღუდულობის გამო ყოველთვის ჭირს), თემას გამოკვეთოს ისეთი სოციალური სერვისების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც მისი მხოლოდ მცირერიცხვანი, მარგინალური ჯგუფისთვის იქნება განკუთვნილი. განვითარების თავისებურებების მქონე პირთათვის აუცილებელი მომსახურების თემში დაფუძნების პროცესს გარკვეულ სირთულეებს უქმნის ჩვენს ქვეყანაში მსგავსი სერვისების ტრადიციის არქონაც. მეორე მხრივ, თუკი თემის წილში ასეთ ადამიანთა ჯგუფები არსებობს, მათოვის განკუთვნილი სოციალური სერვისების მომართული საქმიანობა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ თემის განვითარებას უწყობს ხელს ზოგადად.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ დაინტერესებულ პირთათვის ინტერესმოკლებული არ იქ-

ნება ჩვენი გამოცდილება, რომელიც ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით არაერთგვაროვან გარემობი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილი, თემზე დაფუძნებული სოციალური სერვისის ამოქმედებისკენ მიმართულმა საქმიანობამ შეგვძინა.

ქალთა კავშირი „რეა“ 2001 წელს დარეგისტრირდა არასამთავრობო ორგანიზაციად, რომელშიც გავერთინდით სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: ფაქტოლოგები, ექიმები, პედაგოგები, მხატვრები, ბიოლოგები, მუსიკოსები, უცხო ენების სპეციალისტები და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „რეას“ წევრების გარკვეულ ნაწილს უკვე ჰქონდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობის გამოცდილება, მათ შორის – სათემო მობილიზაციის პროგრამებში. მოგვიანებით კავშირის რიგები მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი სამიზნე ჯგუფის – შემ ბავშვების მშობლებით, რომელთა ეფექტურმა ჩართვამ სამუშაო პროცესში მნიშვნელოვნად გააძლიერა მსგავსი პრობლემის მქონე მშობლების გააქტიურებისკენ მიმართული ჩვენი საქმიანობა.

2002 წლიდან იწყება ჩვენი მიზანმიმართული მუშაობა სოციალურად დაუცველი განვითარების პრობლემის მქონე ბავშვების/მოზარდების და მათი დედებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. ამ დროისთვის უკიდურესად მაღალი იყო უმუშევრობის პროცენტი, მოუგვარებელი იყო ქვეყნის დენიოთა და გაზით მომარაგების საკითხი (რაც გამოუვალი საყოფაცხოვრები პრობლემების წინაშე აყენებდა ისედაც როულ სიტუაციაში მყოფ შემ ბავშვების ოჯახებს), მთლიანად მოშლილი იყო სოცუზრუნველყოფის სისტემა, არ არსებობდა შემ პირების ინტერესების დამცველი სახელმწიფო სოციალური პროგრამები, ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამები, სპეციალური ინფრასტრუქტურა და სხვ. ამ პერიოდში შემ პირების ფინანსურის სისტემის მრავალი სახელმწიფო უმრავლესობა სახლებში იყო გამოკეტილი, მხოლოდ უცხოელი დონორების მიერ მხატვადაჭრილი ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა.

კავშირ „რეას“ საქმიანობა პირველ წლებში (2002-2005) მთლიანად სამოხალისეუ პრინციპებზე იყო დაფუძნებული და გერმანულ პარტნიორებთან - ქალაქ დოპნას „აღტენზაციის“ საეკლესიო მრევლის ბაზაზე ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფ „Menschen in Not“-თან („ხალხი გასაჭიროები“) ერთობლივად შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა. თავდაპირველად დავიწყეთ შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მქონე ბავშვების უზრუნველყოფა მათი გადადგილებისთვის აუცილებელი საინვალი -

დღ ეტლებით, რომელთა დეფიციტი გადაულახავ პრობლემებს უქმნიდა როგორც ამ ბავშვებს, ისე მათ მშობლებს. ეს ეტლები დოპნაში, მრევლის წევრების ძალისხმევით მზადდებოდა მეორადა მომარების ეტლებისგან და თითოეული მოზარდის ინდივიდუალურ საჭიროებებს იყო მორგებული. 2002-2005 წლებში ასეთ ეტლებით დაახლ. 50 ბავშვისა და მოზარდის უზრუნველყოფა მოხერხდა, ძირითადად, თბილისა და ლაგოდების რაიონში. იმავე პერიოდში, ასევე „Menschen in Not“-თან თანამშრომლობით (გერმანული „რობერტ ბოშის ფუნდის“ მხარდაჭერით) და გერმანელი ექსპერტების მონაწილეობით ინტენსიურად დავიწყეთ ჩატარება სხვადასხვა სემინარებისა, რომლებიც განკუთვნილი იყო შმ ბავშვების მშობლებისთვის, ფინქოლოგებისა და სოცმუშაკებისთვის.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამოხალისერ სემინარის პერიოდში ადგილობრივი შმ ბავშვებისთვის აღმოჩენილი პირველი ეფექტური დახმარება გერმანული თემის წილიდან იყო წამოსული, რაც ჩვენთვის არა მარტო მნიშვნელოვან სასტარტო მხარდაჭერას, არამედ შესანიშნავ პრაქტიკულ მაგალითსაც წარმოადგენდა.

2. მიღომა, ხელვა, მიზნობრივი ჯგუფი

ქალთა კავშირ - „რეას“ მისიაა: მენტალობის პრობლემის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების საზოგადოებაში ფართო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა ეფექტური ფინქოლოგიალური სარეაბილიტაციო მოდელის განვითარებისა და ინსტიტუციონალური დამკვიდრების გზით. „რეა“ ასევე მიზნად ისახავს საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთა ინტერესისა და ცნობიერების ამაღლებას შმ პირთა ინტეგრაციის საკითხების მიმართ. ამ მისიას „რეა“ სხვადასხვა დონეებზე მუშაობით ახორციელებს, კერძოდ:

ქმნის და აწვდის ფინქოსარეაბილიტაციო სერვისებს შშმ პირებსა და მათ მშობლებს; ხელს უწყობს სოციალური სერვისების ინსტი-

ტუციონალიზაციას შესაბამისი რესურსების შექმნით როგორც დედაქალაქში, ისე მულტიეთნიკურ რეგიონებში;

სხვა სუბიექტებთან ერთად, კოალიციური გაერთიანებების („ინტერსექტორული კოალიცია“, „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“) ფარგლებში, ერთვება ლობიტებისა და ადვოკატირების საქმეში, რათა პოლიტიკის დონეზე იქნეს უზრუნველყოფილი შშმ პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვა და ინტეგრაციაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი განწყობების განვითარება.

როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში ჩვენი საქმიანობის განხორციელებისას და ადგილობრივ თემებთან მუშაობისას, აქტიურად ვთანამშრომლობთ შშმ პირების მშობლებთან, ვცდილობთ მათ მოილიზებასა და ჩართვას შშმ პირების ინტერესთა დაცვის საქმეში; ვენევით საგანმანათლებლო საკითხებისას: ჩვენი ორგანიზაციის სპეციალისტები/ტრენერები ატარებენ სემინარებსა და უორქშოპებს მშობლებისთვის, უფლოსკლასელთათვის, პედაგოგებისა და სოციალური სფეროს მუშაკებისთვის, როგორც შეზღუდვის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ზოგად, შათ შორის უფლებრივ საკითხებზე, ისე სამკურნალო პედაგოგიკის პრინციპებსა და მულტიდისციპლინარულ მიდგომებზე, რაც ჩვენი ფინქოსარეაბილური სარეაბილიტაციო პროცესის საბაზისო მეთოდოლოგიას წარმოადგენს.

„რეას“ წევრები და თანამოაზრები დაწმუნებული არიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი დამოუკიდებულება საზოგადოების სიჯანსალის ხარისხის შაჩქერებელია.

ჩვენი საქმიანობის უმთავრესი მიდგომაა: „თითოეული იმათგანი, რომელთა განვითარებისკენაც არის მიმართული ჩვენი ძალისხმევა, განვითარების სუბიექტები არიან და ობიექტები“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალური სერვისების განვითარება თემში განაპირობებს სხვადასხვა ჯგუფების ადამიანთა სასიცოცხლო კონდიციების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ხელს უწყობს თემის წევრებში პოზიტიური სოციალური ღირებულებებისა და ქცევების დამკვიდრებას.

თემზე დაფუძნებული სხვადასხვა ტიპის სოციალური სერვისები (კულტურულ-საგანმანათლებლო



სემინარი – „გუნდის შეკვრა“



„რეას“ მოზარდები – რაგბის ფანჯლუბის წევრები



RheA

სათემო ცენტრები, ახალგაზრდული ცენტრები, სოციალურად დაუცველ ხანდაზმულთა კვებით უზრუნველყოფის სერვისი, დასაქმებისა და პროფესული ორგენტაციის მხარდამჭერი სერვისი, საკონსულტაციის ცენტრები და სხვ.), ბენეფიციართა დიდი რაოდენობის ინტერესებს მოიცავს და შესაბამისად, მათ ასამოქმედებლად თემის ფართო მონაცილების უზრუნველყოფის მეტ შესაძლებლობას განაპირობებს. თუმცადა, ვისაც თემის მობილიზაციასთან ჰქონისამე, შესანიშნავად იცის, რომ ამ „შესაძლებლობის“ რეალიზაციას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი ხმარდება.

* განვითარების თავისებურებების მქონე მოზარდთათვის განუუთვნილი დღის მიკროსანტეგრაციო ცენტრის დაფუძნებისას ჩვენ არ ვისახავთ მიზნად თემის ფართო ფენების მობილიზაციას. ჩვენი საქმიანობა უფრო ცალკეული ჯგუფების გააქტიურება-განვითარებისკენ არის მიმართული. წინასწარ მნიშვნელოვან ყურადღებას ვუთმობთ მოსამზადებელ პერიოდს. უბირველეს ყოვლისა, ვაზუსტებო განვითარების პრობლემის მქონე პირების სიებს (ვინაიდან ადგილობრივ გამგეობებში მათ შესახებ აქვთ მხოლოდ ზოგადი, „საპენსიო“ მონაცემები, ხშირად არასრული და, როგორც წესი, შეზღუდვის ფორმის გამიჯვნის გარეშე). შემდეგ კი, შემ მოზარდების და მათი დედების საჭიროებათა კვლევის პროცესის პარალელურად, ვცდილობთ გავარკვიოთ:

- * რამდენად არიან ადგილობრივი შემ მშობლები მოტივირებული, ითანამშრომლონ ჩვენთან საკუთარი შეიღებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარების გამოსამუშავებლად და, აგრეთვე, მათი უფლებების დასაცავად;
- * არსებობს თუ არა ადგილზე შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც დაინტერესებულია, მიიღოს ახალი ცოდნა და რეგულარულ საფუძველზე გააგრძელოს მომავალში შემ მოზარდებთან მუშაობა;
- * პოტენციური მხარდამჭერების (ადგილობრივი თვითმმართველობა, სამღვდელობა, სკოლის პედაგოგები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესსექტორის ნარმომადგენლები) პოზიცია თემზე დაფუძნებული სერვისის ამოქმედებასთან დაკავშირებით და სხვ.



უორქშოპები ახალი ცენტრის პედაგოგებისთვის

თუკი სამიზნე რაიონი აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებს, ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით ორგანიზებულ სათემო შეხვედრაზე თემის წევრებისთვის ჩვენი საპროექტო მიზნებისა და სამოქმედო გეგმის წარდგენის შემდეგ ვიწყებთ აქტივობებს, რომლებიც ე.წ. „წერტილოვანი ინტერვენციის“ ჩაშესა აფარებს. ჩვენს ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს: განვითარების თავისებურებებს მქონე ადგილობრივი მოზარდები და ახალგაზრდები (დაახლ. 13-17 წლის ასაკი) და აგრეთვე, მათი თანატოლები და შემ ბავშვების შშობლები, რომლებიც სხვადასხვა რელიგიურ თუ ეთნიკურ თემებს მიეკუთვნებიან. ვცდილობთ, მაქსიმალურად გავააქტიუროთ და გავაძლიეროთ ის ჯგუფები, რომელთათვისაც მსგავსი სერვისის არსებობა სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს და აგრეთვე, ის ადამიანები, რომლებიც ყველაზე უფრო პერსპექტიულები არიან სასიკეთო ცვლილებებისა და ახლებური აზროვნების მიმღებლობის თვალსაზრისით – ადგილობრივი მოზარდები და ახალგაზრდები. ვცდილობთ აღვარუროთ ისინი სათანადო ცოდნით, რათა შემდგომში მათი მონაწილეობით განვახორციელოთ შემ პირთა უფლებებისა და საჭიროებების ადვოკატირება გადაწყვეტილების მიმღებ ადგილობრივ პირებთან. ინტენსიურ რეჟიმში ვიწყებთ ცენტრის თანამშრომელთა შერჩევას და მომზადებას (პრიორიტეტი ენიჭება შემ ბავშვების მშობლებს). დასაწყისშივე დიდ ყურადღებას ვუთმობთ იმ ადამიანების და ინსტიტუციების/ნრების მხარდაჭერის მოპოვებას, რომლებიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ ადგილებზე. ასეთებია, მაგალითად, ადგილობრივი ეპარქიის წარმომადგენლები, პედაგოგები, ბიზნესმენები. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: ვინაიდან ჩვენ რეგიონში მუშაობა, ძირითადად, რელიგიური და ეთნიკური თვალსაზრისით არაერთგვაროვან გარემოში გვიხდება, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ ცენტრში დამკავიდრებული „ლიაობისა და თანაპრობის პრინციპები“ თავიდანავე მკაფიოდ იყოს დეკლარირებული და შემდგომშიც მუშადივი მონიტორინგის საგანს წარმოადგენდეს. ოდნავ მოგვიანებით ვიწყებთ საინტეგრაციო ცენტრის ცხოვრებაში თემის წევრების ჩართვას. შემ მოზარდების თანატოლებთან სო-



კავშირი „რეა“

ციალური ინკლუზიის ხელშესაწყობად ვაწყობთ ერთობლივ ღონისძიებებს – წარმოდგენებს (პერფორმანსებს) და გამოფენებს, რომლებიც მიზანად ისახავს, როგორც შშმ მოზარდების შესაძლებლობების რეალიზაციას, ისე მათი თანასოფლელი თნატოლების შემოქმედებითი უნარების წარმოჩნას. ვატარებთ სხვადასხვა პიარაქციებს ჩვენი შხარდამჭერი თანამოაზრების – კულტურის, სპორტის, მოუპიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობით. ადგილობრივი ახალგაზრდები აწყობენ საადვოკაციო და საქველმოქმედო აქციებს. თანდათანობით სოფლის მცხოვრებლები გარეშე მაყურებლებიდან ცენტრის გულშემატკივრებად ყალიბდებიან, სოლიდარობის გრძნობით ერთიანდებიან მის გარშემო და უფრო ქმედითად მონაწილეობენ ცენტრის ცხოვრებაში.

რაც შეეხება ჩვენს თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენ მიერ დაფუძნებული სოციალური სერვისის სიცოცხლისუნარიანობისთვის. ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტად განვითარებულ მაღალმთაინ რაიონებს, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, არა აქვთ დიდი ბიუჯეტები – ისინი უფრო „ტრადიციული“ ხარჯებისთვის არის განკუთვნილი. ამიტომ დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ჩვენი საპილოტო პროექტების დასრულების შემდეგ, გადაწყვეტილების მიმღებმა ადგილობრივმა პირებმა, სხვა – მათი აზრით, უფრო პარველსარისხოვანი საჭიროებების მომზადებით, უარი თქვან მცირერიცხოვან ბენეფიციართათვის განკუთხილი ცენტრის დაფინანსებაზე პასუხისმგებლობის აღებაზე. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით უცდილობთ, ადგილობრივი მშობლები და ახალგაზრდები აღვჭურვოთ საადვოკაციო უნარ-ჩვევებით. გარდა ამისა, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის დასაწყებად შემუშავებული გვაქვს თემზე დაფუძნებული ახალი ტიპის სერვისის ამოქმედების მაქსიმალურად ეკონომიკური მოდელი. ჩვენი მიეროსანტეგრაციო ცენტრი გათვლილია მენტალობის საშუალო და მსუბუქი შეზღუდვის მქონე 10-15 ბენეფიციარზე და ემსახურება ერთმანეთის მომიჯნავე რამდენიმე სოფელს. იქ დასაქმებულ პერსონალს ეხმარებიან მშობლები და სხვა მოხალისები, რომელთა მეთოდოლოგიურ-საკონსულატიო მხარდაჭერა უზრუნველყოფილია კავშირ „რეას“ სპეციალისტების მიერ. დღის საინტეგრაციო ცენტრი მუშაობას იწყებს საკირაო სკოლის (კვირაში 2-დღიანი მეცადინება) განრიგით, რომელიც მოგვიანებით უფრო ინტენსიური ხდება.

მაღალმთაინ რეგიონში, რომელშიც შეზღუდვის მქონე მოზარდების ინტეგრაცია მხოლოდ საწყის სტადიაშია, ასეთი ფორმით სოციალური სერვისების ამოქმედება ყველაზე ეფექტურად და რეალისტურად გვესახება და სამომავლოდ ეს თემზე დაფუძნებული მიეროსაინტეგრაციო ცენტრების რეგიონალური ქსელის ჩამოყალიბებაზეა გათვლილი. საინტეგრაციო პროცესის განვითარების შემდგომ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად კი რეგიონში სოციალური საწარმოების შექმნა გვესახება, რომლებიც შემოსავლის გენერირებისა და ადგილობრივი თემების სხვა წევ-

რებთან ერთად, შშმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების დასაქმების შესაძლებლობასაც მოგვცემს. ასეთი სანარმოების ამოქმედება ხელს შეუწყობს თემის კეთილდღეობის ზრდას და ადგილებზე შშმ პირების სოციალური ინკლუზიისთვის უფრო კეთილის-მყოფელი გარემოს ჩამოყალიბებას.

3. ბამოსდილება



ჩვენი საპროექტო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარდამჭერია გერმანული „Bread for the World“, Diakonisches Werk der EKD.

დღეისათვის „რეას“ ბაზაზე ფუნქციონირებს განვითარების თავისებურებების მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სამოდელო საინტეგრაციო დღის ცენტრი თბილისში. რეგულარული მეცადინებების დროს ახალგაზრდები აქ ივითარებენ სასიცოცხლოდ აუცილებელ საკომუნიკაციო და ყოფით უნარებს, სოციალურ-თერაპიულ სახელოსნოებში კი ეუფლებან საბაზისო პროფესიულ/სახელობო (კერამიკა, თექა, მზარეულობა, მედურგლეობა, მებაღეობა, პოლიგრაფია) უნარ-ჩვევებს. სწორედ ამ ცენტრში აპრობირებული ფისიოსოციალური სარეაბილიტაციო მოდელის დანერგვა ხდება რეგიონებში, თემზე დაფუძნებული სოციალური სერვისების ამოქმედებისას.

თბილისის ცენტრი აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწევა, რომელიც მიზნად ისახავს იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების თანამშრომელთა პროფესიული მომზადების ხელშეწყობას, რომლებიც მომსახურებას უწევენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, როგორც დედაქალაქში, ისე მულტიეთნიკურ რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თემების შშმ მშობლების გასაძლიერებელი სემინარებისა და უორქშოპების ჩატარების პროცესში აქტიურად არიან ჩაბმული თბილისის სამიზნე ჯგუფის მშობლები, რომლებიც ცენტრის თანამშრომლები არიან.



უტა ვაგნერის ფოტო

თექის წარმოების სახელოსნო



ინტენსიურად ვმუშაობთ ეროვნულ უმცირესობათა თემების დაუცველი ჯგუფების უფლებებისა და ინტერესების დაცვის სფეროში, როგორც დამოუკიდებლად, ისე ინტერსექტორული კოალიციური გარეთიანების (პარტნიორები - რაგბის მხარდამჭრთა ლიგა, ახალციხის ბიზნესცენტრი, თბილისის 86-ე რუსულ-სომხური საჯარო სკოლა, ეთნომუსკის თეატრი „მთები“) ფარგლებში. მულტიეთნიკურ გარემოში საქმიანობისას „რეა“, აგრეთვე, აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და საეკლესო სტრუქტურებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამდვდელოების წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ აზრს ადგილობრივი მრევლის წარმომადგენლებისთვის დიდი წონა აქვს და განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს მათ ცნობიერებაზე. ისინი ძალიან ხშირად „მედიატორულ“ დახმარებას გვიწევნენ, როგორც ადგილობრივ თემებთან/მრევლთან, ისე თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას ჩვენი საქმიანობის საწყის ეტაპზე.

მულტიეთნიკურ გარემოში კოალიციური საქმიანობისას (ძირითადი მხარდამჭრები - ევროკავშირი, აშშ-ს საელჩო, „Bread for the World“) „რეა“ პარტნიორებთან ერთად ფართოდ იყენებს მის მიერ შემუშავებულ მულტისაინტეგრაციო მოდელს, რომლის ზემოქმედების არეალი მოიცავს დედაქალაქის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სხვადასხვა ფიზიკური თუ მენტალური მონაცემების მოზარდებს და, აგრეთვე, განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა და კონფესიური კუთვნილების ქანე სოციალურად დაუცველ მოზარდებს. ამ ახალგაზრდების საინტეგრაციოდ და მათი შესაძლებლობების სარეალიზაციოდ შერჩეულია ის ინტერესები/საქმიანობები, რომელთა ირგვლივაც ყველაზე ადვილია ადამიანების გაერთიანება: შშმ პირების პრობლემატიკა და მათი სოციალური კეთილდღეობა, სპორტი (ძირითადად, რაგბი) და ცხოვრების ჯანსაღი წესი, ეკოლოგია, ახალგაზრდული ბიზნესსაქმინობა, ინტერკულტურული ურთიერთობები და სხვ. კოალიციური საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს რეგიონში სასიკეთო ცვლილებების გამტარებელი „ახალგაზრდა ლიდერების“ (საშუალო ასაკი - 15-20 წელი) მომზადებაც წარმოადგენს. ჩვენი ხელშეწყობით, ადგილობრივი მულტიეთნიკური თემებიდან შერჩეული ახალი თაობის აქტიური წარმომადგენლები იდებენ მრავალფეროვან სამოქალაქი და თემატურ (ზემოთ დასახელებული მიმართულებების მიხედვით) თეორიულ ცოდნას, რომლის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა დასაწყისში ჩვენივე ფასილიტაციით ეძლევათ.

კოალიციური საქმიანობისას „რეა“ პასუხისმგებელია მულტიეთნიკური თემების შშმ მოზარდების თანატოლებით ინტეგრაციაზე, მათი დედების გააქტიურება-გაძლიერებაზე და, აგრეთვე, ადგილობრივი თემების მოზარდებისთვის (მათ შორის „ახალგაზრდა ლიდერებისთვის“) განკუთვნილი „სოციალური კეთილდღეობის“ მიმართულების მქონე სინფონმაციო-საგანმანათლებლო კომპონენტის განხორციელებაზე.

ქართველი და არაქართველი ახალგაზრდა

ლიდერები ერთობლივად, დამოუკიდებლად ატარებენ საადვოკაციო, საქველმოქმედო და ეკოლოგიურ აქციებს; გეგმავენ და მართავენ საბანაკო ცხოვრებას (რომელშიც ინტეგრირებული არიან ადგილობრივი შშმ მოზარდებიც), მართავენ მრავალფეროვან ინტერკულტურულ ღონისძიებებს, წარმატებით ახორციელებენ სპორტული („მხიარული სტარტები“, ბავშვთა რეგიონალური და რესპუბლიკური სარაგბო) ფესტივალების ლოჯისტიკასა და მენეჯმენტს. უნდა აღინიშნოს, რომ სარაგბო ფესტივალებს, ისევე, როგორც სხვა ღონისძიებებს, ლიდერების ორგანიზებით, სისტემატურად ესწრებან „რეას“ საინტეგრაციო ცენტრების შშმ მოზარდებიც, რომელთაც საკუთარი „რაგბის მოყვარულთა ფანკლუბიც“ აქვთ ჩამოყალიბებული.

ერთობლივად მიღებული მრავალფეროვანი ცოდნა და განხორციელებული პრაქტიკული საქმეები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი მრავალეთნიკური თემების ახალგაზრდათა გააქტიურება-ინტეგრაციას და, რაც მთავარია, მათში ახალი ლირებულებებისა და საურთიერთობო წესების დამკავიდრებას. თემის წიაღში ახლებურად მოაზროვნე ქმედითუარანი „ახალგაზრდული ფრთის“ არსებობა კი მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს თემის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისთვის.

3.1 წარმატებული გამოცდილება

თბილისიდან დაშორებულ ერთ-ერთი რეგიონში თემზე დაფუძნებული სოციალური სერვისის - საინტეგრაციო ცენტრის ამოქმედებამდე ჩვენ უკვე გვერნდა სხვა რეგიონში შეძენილი ნეგატიური გამოცდილებაც. იქ „ნასწალო გაკვეთილები“ მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული საქმიანობის დასაწყისში და დიდი დრო დაუუთმეთ წინასწარ მოსამზადებელ პერიოდს.

ჩავატარეთ მთელი რიგი შეხვედრებისა ადგილობრივი თვითმმართველობისა და ეკლესის წარმომადგენლებთან, სკოლის პედაგოგებთან. შევხდით განვითარების პრობლემის მქონე ბავშვების მშობლების ერთ ნანილს, რომლებსაც სხვადასხვანიარად ჰქონდათ იდენტიფიცირებული საკუთარი შვილების საჭიროები. უმრავლესობა თვლიდა, რომ მათ შვილებს დღის ცენტრი სტირდებოდა „გარეთ გამოსასვლელად“, რადგან ისინი სულ სახლებში იყვნენ გამოკეტილი, ზოგს კი შვილისთვის იპერაციის გაკეთება მიაჩნდა გადაუდებელ საჭიროებად, რათა იგი როგორმე ეტლიდნ აეყენებინა. მშობელთა შორის აღმოჩნდა 2 დედა, რომლებიც წლების მანძილზე, ყოველგვარი სპეციალური ცოდნის გარეშე, დამოუკიდებლად ცდილობდნენ საკუთარი შვილებისთვის გარკვეული უბარების გამომუშავებას. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს ისეთი „სასტარტო პოზიცია“ იყო, რომლის განვითარებაც აუცილებლად მოგვიტანდა შედეგს. თუმცადა მშობლებს შორის არჩანდა გამოკვეთილი ლიდერი.

კავშირი „რეა“

სოფელს ჰყავდა მოძღვარი, რომლიც გამუდებით ცდილობდა ადგილობრივი ახალგაზრდების სხვა-დასხვა აქტივობებში ჩაბმას. მათი მონაწილეობით აწყობდა მხატვრულ გამოფენებს და ლიტერატურულ საღამოებს, როგორც რეგიონის ცენტრში, ისე ფე-დაქალაქში; ეკლესიასთან ჩამოაყალიბა პატარა სა-განმანათლებლო ცენტრი. მისი დიდი სურვილი იყო ადგილობრივი ბავშვებისგან მორაგბეთა გუნდის ჩა-მოყალიბებაც. შევხვდით სოფლის მოძღვარს და ამ საქმეში ჩვენს დიდი ხნის პარტნიორთან, რაგბის მხარდამჭერთა ლიგასთან, შუამდგომლობას შევ-პირდით. თან თბილისის საინტეგრაციო ცენტრში მივიწვიეთ სტუმრად.

მოძღვარი რამდენიმე დღეში გვეწვია, როგორც თვითონ თქვა, სულ ერთი საათით და..... მთელი დღით დარჩა. ჩვენს მოზარდებთან უმოკლეს ხანში მის მიერ ძალიან იოლად დამყარებული კომუნიკა-ციის მიხედვით მივხვდით, რომ უკვე გვყავდა ჩვენი საქმის „თავკაცი“.

უმოკლეს ხანში მან რამდენიმე სოფელში მცხოვრები შემ ბავშვების საკუთარი სია დაგვახვედ-რა, რომლის შემადგენლობა, გამგეობის სიისგან გან-სხვავებით, უკვე გამიჯნული იყო დაგნოზების მი-ხედვით. მასთან ერთად მოვაკარე შემ მოზარდების ოჯახები. მისივე ორგანიზებით ჩატარდა ახალი შეხ-ვედრები უნიკიპალურ გამგეობაში და ეპარქიაში. ამ შეხედრებს შემდგომში შედეგად მოჰყვა გამგეობის მხრიდან ჩვენი ცენტრისთვის საბავშვო ბალის შენო-ბაში ეზოიანი ფართის გამოყოფა, სარემონტო ხარ-ჯებიც ეპარქიამ გაიღო. ბუნებრივია, სოფელში ნორჩ მორაგბეთა გუნდიც ჩამოყალიბდა.

პროექტის დაწყებიდან პირველი 6 თვე შემ მო-ზარდების საქიროებებს მორგებული ინფრასტრუქ-ტურის შექმნას დასჭირდა. უნდა აღინიშნოს, რომ მოძღვარმა შეძლო თანასოფლელი მოხალისების ჩაბმაც ცენტრის სარემონტო სამუშაოები. აგრეთვე, ნახევარ წელიწადში დასრულდა ადგილობრივი მშიბლებისგან და პედაგოგებისგან ახალი ცენტრის თანამშრომლების მომზადება მათ მეთოდოლოგიურ კონსულტირებას „რეა“ დღემდე აგრძელებს. ცენტრ-მა მთელი დატვირთვით დაინყო მუშაობა: მო-ზარდებს უტარდებათ რეგულარული მეცადინეობები და ექსკურსიები, ისინი უზრუნველყოფილი არიან კვებით და სატრანსპორტო მომსახურებით. ის ბი-ჭუნა კი, რომელსაც მისი დედის აზრით, გადაუ-დებელი ოპერაცია სჭირდებოდა, დღეს უკვე ეტლის გარეშე ზის მეცადინეობებზე, იმდენად დიდია მისი მოტივაცია, რომ მეგობრებს თავი მოაწონოს და და-მოუკიდებელი არსებობა ისწავლის.

მოძღვარი არაერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორი გახდა, რომელთა მემკვიდრეობითაც ცენტრი და მისი მოზარდები ხშირად ექცევიდნენ თანასოფ-ლელების ყურადლების ცენტრში. ადგილობრივი ბიზ-ნესების ცენტრს დაქმარნენ საწვავით და შეშით. ვმართავდით დღესასწაულებს, რომლებზეც, თემის წევრებთან ერთად, სტუმრად ვიწვევდით ადგილო-ბრივი თვითმმართველობისა და საეკლესიო წრეების წარმომადგენლებს, მოგვიანებით შევქმნით დღის ცენტრის მეგობართა კლუბი, რომლშიც გაერთიანდ-ნენ ცნობილი სპორტსმენები, მომღერლები, რეგიო-

ნის აქტიური ახალგაზრდები, უბრალოდ, კეთილი ადამიანები.

სოფელში მსგავსი ცენტრის ამოქმედება ძალიან რეზონანსული აღმოჩნდა და ხშირად იპყრობდა მას-მედიის ყურადლებას (4 სტატია ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში, წამყვანი სატელევიზიო არ-ხების 2 ტელერეპორტაჟი).

პროექტის დასასრულისთვის ცენტრის მხარდა-საჭერად ჩატარდა ძალანა დიდი პიარ-აქცია ღია ცის ქვეშ. ჩვენს ქვეყანაში კარგად იციან, თუ რამდენად პოპულარულები არიან მსახობი დუტა სხირტლაძე და „ჯეოსტარის“ მომღერლები. სწორედ მათი მონა-წილეობის ჩატარდა ცენტრის ეზოში კონცერტი ჩვე-ნი შემ ბავშვებისთვის, რომლებთან ერთადაც მთელი სოფლის ახალგაზრდებმაც მხიარულად გაატარეს დრო.

მთელს რეგიონში გაუღერებულმა წარმატებულმა საქმიანობამ და მისმა ხმაურიანმა „საკონცერტო“ დაგვირგვინებამ შედეგი გამოილო: პროექტის დას-რულების შემდეგ ადგილობრივმა თვითმმართველო-ბამ მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი საინტეგრაციო ცენტრის დაფინანსების შესახებ. ეს ცენტრი ამჟამად დამოუკიდებლად აგრძელებს მუშაობას და ჩვენთან ინტენსიურად თანამშრომლობს.

RheA



3.2 წარუმატებული გამოცდილება

ერთ-ერთ მულტიეთნიურ რეგიონში საქმია-ნობის განხორციელება ადგილობრივ არასამთავრო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით დავიწყეთ. მი-სი სამიზნე ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა ეროვ-ნების, განვითარების თავისებურებების, მენტა-ლობის პრობლემის მქონე 71 ბავშვისა და მოზარ-დისაგან (6-დან 20 წლამდე). ეს ორგანიზაცია, რო-მელსაც იმ პერიოდისთვის შეწყვეტილი ჰქონდა საპროექტო დაფინანსება, თვითონ დაგვიკავშირდა. მათ გვთხოვთ გამოცდილების გაზიარება და დახმარება ახალი პროექტის შემუშავებაში. როგორც გვითხრეს, უკვე გაკეთებული ჰქონდათ ბენეფი-ციართა შეფასება და მათთან მუშაობის პრაქტი-კული გამოცდილებაც – შეძენილი. დასაწყისისთვის – ჩვენთვის ცოტა უჩვეულო იყო სამიზნე ჯგუფის წევრთა დიდი რაოდენობა, რადგან დღის ცენტ-რისთვის ეს კრიტიკულად დიდი ციფრია, და ბენე-ფიციართა ასაკორივად დიდი დიაპაზონი, რაც, თავის მხრივ ძალიან მაღალპროფესიულ და დიფე-რენციებულ მიდგომას მოითხოვს. მათ აგვისხნეს, რომ რეგულარული მუშაობა სამიზნე ჯგუფის მხო-ლოდ 17 მოზარდთან მიმდინარებდა, ხოლო დანარ-ჩენებთან პერიოდული შეხვედრები ეწყობოდა, ძირი-თადად, სადღესასწაულო დღებში. ბუნებრივია, რომ წინასწარ მოუმზადებელი შეხვედრების დარღვევის შემდეგ და მათი მშობლების შესახებ და დანარ-დების შემთხვევაში ერთიანდებოდა ამას მიუმართ უკავშირდებოდა. გარეშე ზის მეცადინეობებზე, იმდენად დიდია მისი მოტივაცია, რომ მეგობრებს თავი მოაწონოს და და-მოუკიდებელი არსებობა ისწავლის.

პარტნიორებთან შევთანხმდით იმის თაობაზე,

რომ ამ ორგანიზაციის ბაზაზე არსებულ საგანმანათ-ლებლო-საკორექციო ცენტრში ფოკუსირებული ვიქ-



ნებოდით მხოლოდ 17 მოზარდზე, რომელთა შორის ასაკობრივი განსხვავება არ იყო დიდი. შევთანხმდით იმაზეც, რომ თანდათანობით მოვამზადებდით მეთოდოლოგიას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, ერთიანი მიდგომა შეგვემუშავებინა სხვადასხვა ეროვნების ბენეფიციარებთან სამუშაოდ. პარალელურად, რამდენიმე სემინარი და ურექშოპი ჩავუტარეთ ცენტრის თანამშრომლებს სამჯურნალი პედაგოგიკის მეთოდოლოგიაში, არტ-თერაპიაში და „პერფორმანსების“ მომზადებაში (ჩვენს პრატიკაში ხშირად ვიყენებთ მოკლე წარმოდგენისთვის მომზადებულ მზა სიუჟეტებს, რომლებზეც ნაკლები დატვირთვა მოძის ტექსტზე და ძირითადად, შეზღუდვის მქონე ბავშვების „ასამოძრავებლად“ არის შემუშავებული. ასეთი მოკლე წილები არ მოითხოვს მოზარდების წინასწარ მომზადებას და ძალიან მოგებიანია პირველი ინტერაქციების დროს, როგორც ზოგადად საკომუნიკაციო, ისე ენობრივი ბარიერის გადასალახად).

მშობლებთან ერთად შევხვდით მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელსაც პროექტი წარვუდგინეთ. მან მხადაჭერა აღვითება, მაგრამ ორიოდე კვირაში იგი ახლით შეიცვალა (განუწყვეტელი საკადრო ცვლილებები საკმაოდ ხშირი მოვლენაა ჩვენს სახელისუფლო სტრუქტურებში როგორც ცენტრალურ, ისე რაიონულ/რეგიონულ დონეზე). ცენტრის დაფინანსების საკითხი კვლავ კითხვის ქვეშ დადგა.

ახალ გამგებელთან ადვოკატირება ცენტრის თანამშრომლებმა უკვე უწევნოდ გააგრძელეს და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიდგა ჯერი პროექტის წარდგენაზე, რომელიც ჩვენ მიერ ერთობლივად შემუშავებული პროექტის კონექტირებული ვარიანტი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ჩვენ და ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს არ გვქონდა ერთიანი ხედგა საპროექტო ხარჯებთან დაკავშირებით: ის თვლიდა, რომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქინდა მყარი ინფრასტრუქტურის შექმნას (რაც აუცილებლობას წარმოადგენდა, მაგრამ დიდ სარემონტო ხარჯებს მოითხოვდა), ხოლო ჩვენ კი არჩევანს პროგრამული ხარჯების სასარგებლოდ ვაკეთებდით. იმის გამო, რომ პროექტის ახალი ვარიანტი ძალიან მსხვილიუჯეტიანი აღმოჩნდა, გამგებამ უარი თქვა მის დაფინანსებაზე. ამდენად, ჩვენი და ადგილობრივი ორგანიზაციის თანამშრომლება, ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა. თუმცადა, აქ ჩატარებულ მუშაობას მაინც არ ჩაუვლია უკვალოდ.

გავიდა კიდევ ერთი წელი და იმ რაიონში ახალი დღის ცენტრი ამოქმედდა, უკვე საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მასში ის პედაგოგებიც მუშაობენ, რომლებმაც თავის დროზე ჩვენი სემინარები და უორქშოპები გაიარეს. თავიანთ საქმიანობაში ისინი აქტიურად იყენებენ სამჯურნალი პედაგოგიკის მეთოდოლოგიას.

ნასწავლიგაკვეთილები:

- ძალიან ცოტა დრო დავუთმეთ წინასწარ მოსამზადებელ პერიოდს და ერთმანეთის შესახებ ზერელე ცოდნის საფუძველზე დავიწყეთ ადგილობრივ ირგანიზაციასთან ურთიერთანამშრომლობა;
- ერთობლივი მუშაობისა არ გვქონდა პრობლემის ერთიანი ხედვა პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან;
- ცენტრის საქმიანობაში და საადვოკაციო პროცესში ნაკლებად იყვნენ ჩართული მშობლები;
- არც ადგილობრივ პარტნიორს და არც ჩვენ იმ დროისთვის არ გვქონდა შემუშავებული ეფექტური მეთოდოლოგიური შიდგორები მულტიეთნიკურ სივრცეში ჩვენი ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო მოდელის ასამუშავებლად.

ეს მიდგომები ჩვენ შეემუშავეთ მოგვიანებით, მულტიეთნიკურ გარემოში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების შეძინის შემდეგ, როდესაც დავიწყეთ ფიქრი „რეას“ მეთოდოლოგის არაქართულენოვანი ვარიანტზე და იმ პედაგოგების მომზადებაზე, რომლებიც, როგორც ქართულ, ისე თავის მშობლიურ ენაზე შეძლებდნენ სათქმელის მიტანას, როგორც არაქართველ შემ მოზარდებამდე, ისე მათ დედებამდე.



პირველი შეხვედრა - ერთმანეთის გაცნობა

4] დასკვნა

რეგიონში მუშაობის პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა ჩვენი საქმიანობის გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმვის აუცილებლობა. ეს კი საჭიროებს მოსამზადებელი პერიოდის საფუძვლიან მომზადებას, განხორციელების გზების ნათლად წარმოდგენას და სამომავლო ხედვას მის სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით. ადგილობრივ თემებთან მუშაობისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანმშრომლობაზე, თანაბრობაზე და თანამოაზრეობაზე აგებულ ურთიერთობებს როგორც უშუალო პარტნიორებთან, ისე სამიზნე ჯგუფის წევრებთან და მხარდამჭერებთან.

კავშირი „რეა“

ადგილობრივ თემებთან ფართო შეხვედრებისას და ცალკეულ ჯგუფებთან ყოველი ინტერაქციის დროს, ჩვენ მკაფიო ინფორმაცია უნდა მივყნოდოთ მათ იმის შესახებ, თუ დაგეგმილი საქმიანობის რომელ ეტაპზე რის გაკეთებას ვაპირებთ და რას ველოდებით მათგან. ყოველ მომდევნო ეტაპზე მათთან ერთად უნდა შევეცადოთ ჩვენი მიდგომების ადაპტირებას, უკვე შეძნილი სამუშაო გამოცდილების, ადგილობრივი თავისებურებების თუ ახალი რეალიების გათვალისწინებით, რათა მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ჩვენი საქმიანობის შემდგომი განვითარება და ეფექტურობა.

სათემო განვითარების დროს თემის ნებისმიერ წარმომადგენლობით ჯგუფს ხელი უნდა შეეწყოს გაძლიერებაში და ორსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების შეძენაში; მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც ჩვენი ძალისხმევის შედეგად პირველად გამოვიდნენ სახლებიდნ და სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყეს. ისინი მუდმივად უნდა გრძნობდნენ ჩვენს მხარდაჭერას, რათა ეს პროცესი შეუქცევადი გახდეს.



Rhea



კავშირი „რეა“

ჭონქაძის ქ. № 29,
0108, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+ 995 32) 298 82 71
ფაქსი: (+ 995 32) 298 61 71

else@caucasus.net
www.rhea.ge

თემაზე მუშაობა - გამოწვევები და პერსპექტივები

მშვიდობის, დემოკრატიისა და
განვითარების კავკასიური
ინსტიტუტი
დავით ლოსაბერიძე

1. შესავალი

თემის ერთობლივი საქმიანობა ყველა ქვეყნისათვის და ყველა ეპოქისათვის არის დამახასიათებელი. საქართველოში თემის საერთო ინტერესების ერთობლივი განხორციელების მაგალითად შეიძლება "ნადი" და მსგავსი ფორმები მოვიყვანოთ.

თანამედროვე ეპოქაში სათემო განვითარების პროცესი უფრო რთული და ყოვლისმომცველი გახდა. დღეისათვის ამ მიმართულებას უკვე მხოლოდ თემი აღარ ახორციელებს დამოუკიდებლად. პროცესში ერთვება თვითმმართველობები, სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო ბიზნესი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი პრობლემების ადგილზევე მოგვარებით.

ვინაიდან საქართველოში ასეთი პრაქტიკა საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა, მისი დანერგვა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა დაიწყეს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში და ახალი საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში ამ მიმართულებით მრავალი პროგრამა განხორციელდა, ხოლო დასარჯულმა თანხებმა რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი შეადგინა.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ყველა პროგრამა წარმატებული იყო. წარმატებას მხოლოდ ის პროგრამები აღწევს, რომლებიც რეალისტურად და ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებს.

სათემო განვითარების უმთავრეს მიზანს საზოგადოების გააქტიურება და საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში მოსახლეობის ჩართვა წარმოადგინს. უფრო კონკრეტულად ამით სამი მიზანი მიიღწევა:

- * მოსახლეობაში აქტიური და ლიდერობის უნარ-ჩვევების მქონე ფენის გამოვლენა, რაც საზოგადოებრივი განვითარებისა და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სწორი რეაგირებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.
- * მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ამ გზით საკუთარი საარსებო გარემოსა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება,
- * საზოგადოების გააქტიურება, ვინაიდან კარგად ინფორმირებული და მომზადებული მოქალაქეები უფრო ეფექტურად აგვარებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს, ვიდრე წებისმიერი, თუნდაც "ძალზე გონიერი" ხელისუფლება,

სათემო განვითარების საკითხებზე მომუშავე

ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებით: "სათემო მობილიზაცია – ეს არის თემის (იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ საერთო ინტერესი, პრობლემები, ხედვა) თანამონაწილეობრივი გზით უნარ-შესაძლებლობების განვითარების პროცესი, რომელიც ემსახურება მოქალაქეების გაერთიანებას კონკრეტული პრობლემის გარშემო, მისი გადაჭრის გზის მონახვას და გადაჭრას. ამავე დროს ეს პროცესი, ამზადებს თემს იმისათვის, რომ მან მომავალში დამოუკიდებლად შეძლოს საკუთარი პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი, მდგრადი და ხანგრძლივებადანი გადაჭრის გზების შემუშავება და მათი განხორციელება."

შედეგად განვითარებული თემი:

- * ეფექტურად რეაგირებს არსებულ საჭიროებებსა და პრობლემებზე: აქვს შესაძლებლობა, განსაზღვროს სტრატეგია და შეიმუშაოს განვითარების ეფექტური გეგმა;
- * ზრდის თავის წევრებში თემისადმი (თემის საერთო რესურსები და პრობლემები) კუთვნილებისა და თემის განვითარებაზე პასუხისმგებლობის გრძნობას;
- * ზრდის მოსახლეობაში გაუმჯობესებული სერვისისა და ცვლილებების მოთხოვნილებას;
- * იდებს ქცევით ცვლილებებს, რაც, თავის მხრივ, ზრდის თემში ამ ქცევისა თუ პრაქტიკას დანერგვის შესაძლებლობას.

თავდასახის ასეთი დასრულებული მიზანი ინტერესთა ჯგუფების (ფერმერები, მასწავლებლები, შეზღუდულების მქონე პირები, მშობლები, უმუშევრები და ა.შ.) არა სფეროების, არამედ ტერიტორიული პრინციპით დაჯგუფებას შესაძლებლობას.

თავის მხრივ, თემი განვითარებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ:

- * თემში არსებობს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთო ინტერესების მქონე აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფი;
- * თემში არსებობს ხედვა, ორიენტირებული განვითარებასა და ინოვაციაზე და თემის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა იცის, თუ რაა გასაკეთებელი არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისათვის;
- * თემს გაცნობიერებული აქვს საკუთარი უფლებები, საჭიროებები და სხვადასხვა სტრუქტურებთან და ინტერესთა ჯგუფებთან ურთიერთობისას იცავს თავის შეხედულებებს;
- * თემს შესწევს უნარი განსაზღვროს პრობლემები და რეაგირება მოახდინოს მათზე.

თემის განვითარების შესაბამისი დონის მისალ-ნევად საჭიროა, მოსახლეობაზ შეიძინოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და საკუთარი ხედვებისა და მიზნების მისალნევად მოხდეს მათი მობილიზება.

2. არსებული სიტუაცია

2.1. გარემო

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგე-ნის (1991) შემდეგ გასული 20 წლის მანძილზე სა-ქართველოში კერძოდ, სათემო, და ზოგადად, ადგი-ლობრივი განვითარების პროცესს ხელს უშლიდა:

- * XX საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევ-რის პოლიტიკური ქაოსი და შეიარაღებული კონფლიქტები, რაც მშვიდობიანი განვითა-რების შესაძლებლობას გამორიცხავდა;
- * მოგვიანებით, ქვეყანაში შედარებითი სტაბი-ლიზაციის მიუხედავად, მაღალი კორუფციისა და მძიმე სოციალ-ეკონომიკური გარემოს არსებობის პირობებში საზოგადოებრივი ნაპი-ლიზმის მაღალი დონე და დემოკრატიული განვითარებისათვის საჭირო გარემოს არარ-სებობა;
- * ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, განსაკუთრებით პოლო წლებში გამოვლენილი ქვეყნის მაქსიმალური ცენტრალიზაციის ტენ-დენცია და საზოგადოების ფართო ფენების პოლიტიკური თუ სოციალური გადაწყვე-ტილების მიღების პროცესისაგან გარიყვა.

საერთოდ, ეკონომიკურმა კოლაფსმა და ცხოვ-რების დონის მკვეთრმა გაუარესებამ (საერთაშო-რისო ორგანიზაციების მონაცემთა თანახმად, მთელ რიგ სფეროებში ქვეყანაში დღეისათვის არსებული დონე 2-3-ჯერ ჩამორჩება თუნდაც 1989 წლის შესაბამის მაჩვენებლებს), პოლიტიკური, ეკონომი-კური თუ სოციალური ფაქტორების შედეგად და-წყებულმა მიგრაციულმა პროცესებმა (საზღვარგა-რეთ სამუშაოს საქებრად ნასული მოქალაქეები, იძუ-ლებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები და ა.შ.) და მოსახლეობის, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობის, დიდ ქალაქებსა და საზღვარგარეთ გადინებამ ქვეყანაში (განსაკუთრებით რეგიონები) ადამიანური რესურსების მხრივ უმდიმესი სურათი შექმნა და უფრო გააღმავა ქვეყნის სხვადასხვა რე-გიონებს შორის განსხვავება და ასიმეტრიული განვი-თარების პროცესს.

ასეთ პირობებში ადგილობრივი განვითარების შე-სახებ საუბარი საკმაოდ რთულია. მიუხედავად სა-მოქალაქო საზოგადოების მცდელობისა, ხელი შე-უწყოს სათემო განვითარებას, პრაქტიკაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. სიტუაციის სირთულეს, ზო-გადად არსებული მძიმე ფონის გარდა, უშუალოდ სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული პრობლემე-ბიც განაპირობებს.

2.2. სამოქალაქო საზოგადოება

ადგილობრივი განვითარებისა და, კერძოდ, სათემო განვითარების უმთავრეს ხელშეწყობად ყველგან სამოქალაქო საზოგადოება და, უშუალოდ, სამოქალაქო საზოგადოების (სსო) და სათემო ორგანიზაციები მოიაზრებან. აქედან გამომდინარე, ამ ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს მოკლე ანა-ლიზი აუცილებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულად სათვის მომარტინიზაციებით დაკავ-შირებული ღია, საზოგადოებისათვის ხელმისაწვ-დომი კვლევები საქართველოში არ ჩატარებულა. მცირეა იმ კვლევათა რიცხვიც, რომელთა მიზანსაც სამოქალაქო საზოგადოების კვლევა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ის მნიშვნელოვანი შორის მოქალაქები, რაც არსებობს (მაგალითად: საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, სივიუსი - სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის ანგარიში, 2010), გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იდ-ლევა.

საკანონმდებლობლო რეგულირება. საქართვე-ლოში კანონმდებლობის მხრივ სსო-ებსა და, მათ შორის, სათემო ორგანიზაციებს, რომლებიც კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებს წარმოადგებენ, საკმაოდ კარგი პირობები აქვთ შექმნილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (მუხლი 25) „კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოსა თუ არასამეწარმეოს) უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნების-მიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა ნებდებაში გათვალისწინებული“. კა-ნონმდებლობა ასევე იძლევა სათემო ორგანიზაციე-ბის საქმიანობის თავისუფალი მოქმედების გა-რანტიებს, თუნდაც ეს უკანასკნელი არარეგისტ-რირებული კავშირების ფორმით მოქმედებდნენ (მუხლი 45).

ადგილობრივი, ტერიტორიულ პრინციპზე აგე-ბული, ორგანიზაციების საქმიანობისათვის დამა-ტებით შესაძლებლობებს აჩენს ადგილობრივი თვით-მმართველობის შესახებ საქართველოს ორგანულ კა-ნონში 2009 წლის 28 დეკემბერს შესული ცვლილე-ბებიც, რომელიც არეგულირებს თვითმმართვე-ლობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილე-ობის პროცედურებს (თავი X1):

- * 581 მუხლი ავალდებულებს თვითმმართვე-ლობის ორგანოებს თვითმმართველობის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების თუ პრო-ეტის გამოქვეყნებას და მათი ხელმისაწვ-დომობის უზრუნველყოფას.
- * 582 მუხლის თანახმად, "თვითმმართველ ერ-თეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს უფლება აქვს, მოამზადოს და შეიმტანოს საკრებულოს დადგენილების პრო-ეტი, ან წარადგინოს წინადადება საკრე-ბულოს ნორმატიული აქტის გაუქმების, ნორ-მატიულ აქტში ცვლილებების ან დამატებების შეტანის შესახებ." პეტიციის შეტანის უფლება დამატებით სტიმულს იძლევა მოქალაქეთა

- გააქტიურებისათვის, მით უმეტეს, რომ თვითმმართველობა ვალდებულია, ერთი თვის მანძილზე განიხილოს იგი.
- * 583 და 584 მუხლები უზრუნველყოფს მოქალაქეთა მონაწილეობას საკრებულოს სხდომებში და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების მიერ საჯარო ანგარიშების წარდგენის აუცილებლობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიუხედავად, გარკვეულ პრობლემებს ქმნის კანონმდებლობა ფინანსურ სფეროში (სახელმწიფო ინსტიტუტების მონოპოლური მდგომარეობა ეკონომიკაში, რთული და, ხშირად გარემოსთან არაადეკვატური, იურიდიული და ფინანსური პროცედურები), რაც აფერებს სსო-ების მოტივაციას, განახორციელონ მთელი რიგი საზოგადოებრივი სერვისები.

ნებაგარიუნად უნდა შეფასდეს სამოქალაქო აქტივობის შეზღუდვის მცდელობა, კერძოდ, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში 2011 წლის 28 დეკემბერს შესული ცვლილებები, რომლის თანახმადაც მთელი რიგი შეზღუდვები წესდებოდა იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან რომელიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობასთან (261 მუხლი). მართალია, იქვე მითითებული იყო, რომ შეზღუდვები არ შეიძლება გამოიყენებულ ყოფილიყო გამოხატვის თავისუფლებისა და სამოქალაქო აქტივობის განხორციელების წინააღმდეგ, მაგრამ თავად საკმაოდ სუმბურული ტერმინი - „პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული“ - ქმნიდა ხელისუფლების მხრიდან, საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე უკანონ ზენოლის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა სურვილი, მოხედინათ აღნიშნული საკანონმდებლო აქტის კორექტორება.

ორგანიზაციული განვითარების დონე. ქართული სსო-ების აქტივების ქუსლს წარმოადგენს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებზე სრული დამოკიდებულება. სახელმწიფოსა და ბიზნესის მხრიდან დახმარების ფაქტობრივი არარსებობის პირობებში (რის მიზეზესაც ქვემოთ შევეხები), დონორთა წინაშე ანგარიშვალდებულება სსო-თა საქმიანობის განმსაზღვრელი ხდება, ხოლო დაფინანსების წყაროების შემცირება (რასაც 2003 წლის შემდეგ პერიდა ადგილი) იწვევს მათი აქტივობების შემცირებას მთელ რიგ სფეროებში.

სსო-თა სხვა სუსტი მხარეებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- * როგორც წესი, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა თანამეგობრობა არ არის წევრობაზე ორიენტირებული.
- * ბევრი სსო მცირერიცხვისა და ახალი თანამშრომლების აყვანა, მცირე გამონაკლისის გარდა, არა კონკურსის წესით, არამედ პირადი ნაცონობობით ხდება (თუმცა, ბოლო ხანებში შედარებით მსხვილი ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ახალ თანამშრომელთა კონკურსით აყვანის წესს).

- * როგორც წესი, არ ხდება სსო-ების ადგილობრივი დაფინანსება და, თუ ხდება, ესაა პოლიტიკური და სხვა სახის სახელმწიფო დაფინანსება ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სსო-ებისათვის.
- * სსო-ებსა და სათემო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ მდგრადობის მხარდამჭერი კომერციული სტრუქტურები და მხოლოდ დონორი ორგანიზაციების წყალობით ახერხებენ მუშაობის გავრცელებას.

სსო თანამეგობრობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ:

- * ისინი, ორგანიზაციული კუთხით, სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტებთან შედარებით, უფრო განვითარებული არიან (იგულისხმება როგორც მენეჯმენტი, ისე ფინანსური და ტექნიკური რესურსები).
- * სსო-ებს, საზოგადოების დიდ წაწილათან შედარებით, აქვს თვითორგანიზების მაღალი უნარი.
- * ბოლო ხანებში შეინიშნება სსო-თა ურთიერთ-თანამშრომლობის ხარისხის ზრდა, რაც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის მაჩვენებელია.

რეაგირება საზოგადოების საჭიროებებზე. ქართული სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციათა კიდევ ერთ ნაკლს წარმოადგენს აქცენტების გაკეთება საკუთარ, ან დონორების მიერ ნაკარნახევი პრიორიტეტების დანერგვაზე და არა ადგილობრივი თემების საჭიროებებზე. ეს გარემოება უარყოფითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობისა და პროექტების განმახორციელებელი გუნდების თანამშრომლობის ხარისხზე.

მაგალითისათვის, თუ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის უმთავრეს პრობლემას სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს, სსო-ების მნიშვნელოვანი წანილი ხშირად ისეთი სახის პროექტების განხორციელებას თავაზობს თემებს, რომლებიც აღნიშნულ პრობლემასთან კავშირში არ არის.

თავად სსო-თა წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ასეთი და მსგავსი საკითხების გადაჭრა მათ არ ხელენიფებათ და რომ ეს მთელი ქვეყნის, და უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების ერთობლივ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს.

ამავე დროს სსო-ები შეძლებისდაცვარად ცდილობენ ხელი შეუწყონ აქტუალურ საკითხთა გადაწყვეტას. ხშირად ხდება (განსაკუთრებულით, შედარებით ძლიერ ორგანიზაციებში), რომ პროექტის დასრულების შემდეგ, მიუხედავად ფინანსური რესურსების არარსებობისა, სსო-თა წარმომადგენლები მოხალისეობრივ საფუძველზე აგრძელებენ მუშაობას ყოფილ ბენეფიციარებთან. ეს უდავოდ პოზიტიური პრაქტიკაა, მაგრამ, თუ ამ ქმედებებს ხელი სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ (სახელმწიფო, ბიზნესი, ადგილობრივი თვითმმართველობა) არ შეეწყო, მუდმივად ასეთი საქმიანობის გავრცელება რთული იქნება.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნებისმიერი ქმედება ადგილობრივი საჭიროებიდან გამომდინარე უნდა იგეგმებოდეს და მისი განხორციელება ყოველმხრივ წახალისებული უნდა იყოს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, საბოლოო ჯამში, ყველაფერი თემის მოსახლეობაზეა დამოკიდებული – წარმატება მიიღწევა მხოლოდ იქ, სადაც არსებობს მოქალაქეთა თუნდაც მცირე ჯგუფის, რეალური ნება – შეცვალონ არსებული მდგომარეობა.

2.3. საზოგადოების განწყობა და ჩართულობის ხარისხი

საზოგადოების განწყობა და მოტივაციები. საზოგადოების უმთავრესი მონაწილის – საზოგადოების როლი და გავლენა პროცესებზე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. თუ რომელიმე ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად თემში არ ვლინდება რეალური საჭიროებიდან გამომდინარე ცვლილებების სურვილი, ნებისმიერი აქტივობა, რაგინდ მაღალ დონეზეც უნდა განხორციელდეს იგი, წარუმატებლობისთვისა განწირული.

სამწუხაროდ, საქართველოში სახეზეა ჩართულობის ხარისხის შემცირების ტენდენცია, რაც არც ადრე იყო მაღალი. ეს განაკუთრებით ითქმის სოციალურად ორიენტირებულ ჩართულობაზე.

მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი (უმუშევრობის მაღალი პროცენტი, ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესება, არასტაბილური სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, საზოგადოების ფართო ფენების ინტერესების უგულებელყოფა ხელისუფლების მიერ) და ბოლოს, სახელმწიფო თუ ადგილობრივი რესურსების უკავისობა, რამაც მოსახლეობის ფართო ფენების მარგინალურიზაცია გამოიწვია, ხელს უშლის ორგანიზებული ჯგუფების წარმოქმნას და შესაბამისი ქმედებების განხორციელებას.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოქალაქეთა აბსალუტური უმეტესობა ამჯობინებს თავისუფალი დრო მშობლების, ნათესავებისა და მეგობრების გარემოცვაში გაატაროს. ქართული ტრადიციული საზოგადოების ლირებულებებიდან გამომდინარე, ადამიანები ნაკლებ ენდობიან ფორმალიზებულ ურთიერთობებს.

ამავე დროს, ფორმალიზებული, ორგანიზაციული გაერთიანებებისაგან განსხვავებით, საქართველოში შედარებით მაღალია სათემო (როგორც წესი, არაფორმალური) ჩართულობის დონე (სამეზობლო, სამეცნიერო ან მსგავსი ტიპის არაფორმალური გაერთიანებები), რაც, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, თავისი აქტივობის ხარისხითა და დონით ეკლესიასა და რელიგიურ ორგანიზაციებში ჩართულობის ხარისხსაც აღემატება.

ჩართულობის ხარისხი. მართალია, მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი მაღალი არ არის, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც აქტიურად არის ჩართული ამა თუ იმ სახის სოციალურად ორიენტირებულ ქმედებებში, სხვადასხვა ტიპის სოციალური ჯგუფები

საკმაოდ ფართოდ არიან წარმოდგენილი. კონკრეტულად, სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობა ასე გამოიყურება:

* ეთნიკური უმცირესობები. საქართველოში ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის 13%-ს შეადგენს, სსო-ს აქტიურ წევრებს შორის – 8.3%-ს. შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია დიდ ქალაქებში მოსახლე ეთნიკური უმცირესობების სოციალური პასიურობით, რის კომპენსაციასაც ახდენს ეთნიკურ ანკულავებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) მცხოვრებთა საკმაოდ მაღალი სამოქალაქო აქტივობა.

* ასაკობრივი სტრუქტურა. სსო-თა ძირითად ნაწილს (93.3%) ახალგაზრდები და საშუალო ასაკის (25-64 წლის) პირები შეადგენს; ხოლო ხანდაზმულები, რომლებიც მოსახლეობის 17.5%-ია, მხოლოდ 6.8%-ით არიან წარმოდგენილი, რაც ტოტალიტარული ეპოქის თაობის მოქალაქეთა შედარებით დაბალი სამოქალაქო აქტივობის დონით უნდა ავხსნათ.

* გენდერი. მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებაში (ქელესისა და რელიგიური ორგანიზაციების ჩათვლით) ქალები (მოსახლეობის 54.5%) შეადარებით ნაკლებად, 39.4%-ით არიან წარმოდგენილი. თუმცა, უშუალოდ, სსო-ებში ქალები 60%-ზე მეტს შეადგენს, საკმაოდ მაღალია მათი წარმომადგენლობა სსო-თა მმართველ რეოლშიც - 29%.

* რეგიონული დანაწილება. მართალია, სსო-თა უმრავლესობა ქალაქებშია დაფუძნებული, მათ შორის, თბილისში მოქმედებს ქვეყანაში არსებული ათი ათასზე მეტი სსო-დან - დაახლოებით 60%; თუმცა უნდა ითქვას, რომ რეგიონები, კერძოდ, სოფლის ტიპის დასახლებები უფრო აქტიურობენ. სოფლებში (ქვეყნის მოსახლეობის 49.4%) სამოქალაქო საზოგადოების წევრია 54.2%. ასევე მაღალია რეგიონების (მოსახლეობის - 75.5%) აქტივობაც - 79.7%. დედაქალაქის ასეთი "პასიური" როლი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ თბილისში თვითრეალიზაციის სხვა საშუალებები (ბიზნესი, სახელმწიფო სამსახური) ბევრად მეტია, ვიდრე სასოფლო ზონებში.

* მონაწილეობა სოციალური სტატუსის მიხედვით. სამოქალაქო საზოგადოების წევრთა შორის უმეტესობას საშუალო ფენა (მოსახლეობის 61.5%) ქმნის - 86.4%, ხოლო დაბალი სოციალური ფენები ნაკლებად არიან წარმოდგენილი; ამ უკანასკნელთ, სავარაუდოდ, სამოქალაქო საზოგადოებაზე უფრო მეტად თვითგადარჩენის პრობლემა აწუხებთ.

თემების ნინაშე არსებული გამოწვევები. საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის შესაძლებლობები, რაც თემს გააჩნია. ცვლილების სურვილის არსებობა წარმოადგენს წარმატების აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის უნარები, რაც თემს უნდა გააჩნდეს დასახული მიზნების მიღწევის პროცესში.

იმ პრობლემათაგან, რომელიც აქ იჩენს თავს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს:

- * საკმაოდ დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე. მოსახლეობა მხოლოდ ნანილობრივ, და ამასთან დაუბალანსებელ ინფორმაციას ღებულობს;
- * სახეზეა ორგანიზაციული მართვის კულტურის დეფიციტი, შესაბამისი უნარ-ჩვეულების დაბალი დონე ხელს უშლის თუნდაც საერთო შეკრებების ორგანიზებას (როგორც წესი, აქტიური, ისიც საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მცირე ჯგუფის ხოლმე);
- * ძალზე დაბალია პირადი ინიციატივის გამოვლენის შემთხვევები - თემში სერიოზულ პრობლემას ხარმოადგენს დამოუკიდებელი, მოტივირებული ლიდერების სიმცირე;
- * სოფლებში შეინიშნება ახალგაზრდობის ნაკლებობა, სოფლის "დაბერების" მაღალი მაჩვენებელი ასევე ამცირებს აქტივობის ხარისხს;
- * სახეზეა მოსახლეობის არასაქმარისი მონანილეობა გადაზიდვებილების მიღების პროცესში, ნაკლებია ამის, როგორც შესაძლებლობა, ისე სურვილიც.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ართულებს სათემო განვითარების პროცესს, არის საზოგადოებაში სსო-თა ცნობადობის დაბალი ხარისხი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი სსო-ების მუშაობის შედეგად თანდათან უშკობესდება საზოგადოების ნდობა ამ სეგმენტისადმი. ყოველ შემთხვევაში კლებულობს სსო-თა მიმართ ნეგატიური განწყობის ხარისხი. მაგალითისათვის, თუ 2006 წელს მოსახლეობის 57.0% ნეგატიურად იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი განწყობილი, 2009 წლისთვის ეს მაჩვენებელი 39.0%-მდე შემცირდა. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სასოფლო ზონებში ამ მხრივ შედარებით ცუდ მაჩვენებლებთან გვექნება საქმე.

2.4. პროცესის სხვა მონაცილენი

თემთან მუშაობის პროცესში, საზოგადოებასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს დაინტერესებულ მხარეებს უნდა ნარმოადგენდნენ ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობები და ბიზნესსტრუქტურები.

სახელმწიფო. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში სახელმწიფოს როლი საზოგადოების გააქტიურების პროცესში, ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს. გარდა ჩვეულებრივი ფუნქციების შესრულებისა, რაც ყველა, და განსაკუთრებით დემოკრატიული, სახელმწიფოებისათვის არის დამასასიათებელი, აქ პოსტონტალიტიკარული მენტალობის დაძლევასაც უნდა შეეწყოს ხელი. ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ ფუნქციას ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და საზოგადოებრივი აქტივობების წახალისება უნდა ნარმოადგენდეს.

სამწვაროდ, მსგავსად საქართველოში ადრე-არსებული ხელისუფლებებისა, დღევანდელი

ხელისუფლების დამოკიდებულებაც საკმაოდ სკეპტიკურია სამოქალაქო სექტორის საქმიანობებისადმი. სსო-ების გავლენა სუსტია პოლიტიკის ფორმირების პროცესშიც. სახელმწიფო მათ სერიოზულ, თანასწორუფლებიან პარტნიორად არ აღიქვამს.

საქართველოს ხელისუფლება, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო საზოგადოებასთან, 2006-2007 წლებიდან მოყოლებული, თანდათან დაშორდა მას და ამჟამად, საუკეთესო შემთხვევაში, რეალური თანამშრომლობა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ პროგრამებში ხელისუფლებისადმი ლინიალურად განწყობილ სსო-თა თანამონაცილეობაში გამოიხინება.

თუმცა, ბოლო ხანებში გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციებიც: ჯერ ერთი, ხელისუფლება, საგარეო საზოგადოების თვალში მიჯის გაუარესებისა და ქვეყნის შიგნით პოპულარობის მკეთრი შემცირების ფონზე, კვლავ ავლენს სურვილს, განსხვავებულ აზრს მოუსმინოს და ზოგი მოსაზრება კადეც გაითვალისწინოს. მეორე, საზოგადოებაში იზრდება მოთხოვნა ინფორმირებულობაზე და დემოკრატიულ ღირებულებებზე, რაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა შეიძლება საკუთარი სოციალური ბაზის გასაძლიერებლად გამოიყენონ.

ამ გარემოებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

- * ხელისუფლების ნაწილი ამ ეტაპზე უკვე თვითონ ცდილობს გააფართოოს დიალოგის ფორმატი სსო-ებთან და შესაბამისად შედარებით გაზრდილია ხელისუფლებასთან დიალოგის ხარისხი;
- * საქართველოში, ისევე როგორც სხვა პატრიმონიალური ტიპის საზოგადოებებში, საკმაოდ მაღალია პირადი ურთიერთობების გავლენა; ქართული სსო-ების ნარმომადგენლები ქვეყნის ინტელექტუალური ელიტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ; მათ აქვთ საკმაოდ სერიოზული კონტაქტები, რაც წარმატებული საქმიანობის ალბათობას ზრდის.

აღნიშნული თანამშრომლობის კარგ მაგალითად შეიძლება გამოდგეს სსო-თა საქმიანობა საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდასაჭერი საკანონმდებლო ცვლილებების ლობირების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ 2009 წელს შემუშავდა ახალი კანონის პროექტი - "ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ". საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის დეკემბრის ბოლოს მიიღო ახალი საკანონმდებლო ინიციატივა - ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. საკანონმდებლო ორგანოსთან აქტიური კონსულტაციების შედეგად მომზადებული წინადადებების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის მიერ. მოქმედ კანონს დაემატა ახალი თავი - "მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართვე -

ლობის განხორციელებაში". ამას გარდა, საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ გადამუშავდა და კანონმდებლობის შესაბამისი სახე მიიღო სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოებისა და გამგეობების დებულებებმა.

კიდევ ერთი სფერო, სადაც სამოქალაქო საზოგადოებამ შეიძლება აქტიურად ითანამდებობლოს ხელისუფლებასთან, არის რეგიონებში განხორციელებულ პროგრამებში მოქალაქეთა ჩართულობის მაღალი დონის უზრუნველყოფა.

ამ შერივ განსაკუთრებული აღნიშვნის ლირსია "სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამა", რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს (თუ ყველაზე მთავროს არა) სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დასახლებულ პუნქტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში პროგრამა ბიუროკრატიული მექანიზმების გამოყენებით, ზემოდან ქვემოთ, განხორციელდა, მაინც შეიქმნა რამდენიმე წარმატებული მაგალითი, როცა საზოგადოებამ მოახერხა თავისი რეალური, და არა მოწვენებითი, ინტერესების ადვოკატირება და ლობირება.

ადგილობრივი თვითმმართველობა. სათემო განვითარების პროცესს წარმატება ნაკლებმოსალონდენია ადგილობრივი თვითმმართველობების აღნიშნულ პროცესში აქტიური ჩართვის გარეშე.

ამ შერივ ქართულ თვითმმართველობას სერიოზული პრობლემები აქვს:

- * ჯერ ერთი, თვითმმართველობის რეფორმის შედეგად 2006 წლის ბოლოდან ჩამოყალიბდა გამსხვილებული ტიპის თვითმმართველი ერთეულები. თვითმმართველი ერთეულების გამსხვილებამ გამოიწვია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობას შორის დისტანციის გაზრდა.
- * მეორეც, მოსახლეობისაგან დაშორების საკომპენსაციოდ მსხვილი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური პოტენციალისა და რესურსების ზრდა არ მომხდარა, რის პირობასაც რეფორმის ავტორები იძლეოდნენ. 2003-2010 წლებში ქვეყნის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსავლების წილი 30%-დან 2.5%-მდე შემცირდა. შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობა უმთავრესად სახელმწიფო ტრანსფერებზე დამკიდებული გახდა.

ასეთ პირობებში თვითმმართველობის ორგანოებს, სურვილის შემთხვევაშიც კი, როგორც წესი, არ გააჩნია ადგილობრივი განვითარების და სამოქალაქო აქტივობის პროცესში სრულუფლებიანი ჩართვის შესაძლებლობა.

აღნიშნული პრობლემის არსებობაზე მიუთითებენ საკართველოში სამოქალაქო განვითარების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები. მიუხედავად დაპირებისა, შესაბამისმა მუნიციპალიტეტებმა ვერ მოახერხეს შეესრულებინათ სსო-ებისადმი მიცემული პირობა სათემო ორგანიზაციებისა და აქტივობების

დაფინანსების ან თანადაფინანსების შესახებ. კადრების, ადგილობრივი ბიუჯეტებისა და პრიორიტეტების ხშირი ცვლა და თვითმმართველობებში ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების არარსებობა (რისი შექმნის უფლებაც კი თვითმმართველობებს ჩამორთმეული აქვთ) კიდევ უფრო ამძიმებს სურათს.

ბიზნესტრუქტური. საქართველოში ბიზნესი საკმაოდ პოლიტიზებული და მონოპოლიზებულია. შესაბამისად ნაკლებმოსალონდენია მათი მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი დონის ჩართულობა. რეგიონებში კი ადგილობრივი ბიზნესი იმდენად სუსტია, რომ სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მოახერხებს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის უზრუნველყოფის ხელშეწყობას. ამავე დროს მცირე ბიზნესი სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდანაც განიცდის სერიოზულ ზენოლაბა.

პოზიტიური არ არის სამოქალაქო სექტორის მიმართ ბიზნესის დამოკიდებულებაც. ჯერ ერთი, საკმაოდ სუსტია სამოქალაქო საზოგადოების და, განსაკუთრებით, სსო-ების თანამდებობის ბიზნესთან, და მეორე - იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბიზნესი ახორციელებს რამდენ სახის ქველმოქმედებას, იგი ცდილობს, ეს საქმე სსო-თა გვერდის ავლით გააკეთოს, რადგან არ აღიქვამს მას თანაბარ პარტნიორად, ან არ არსებობს სათნადო ნდობის ფაქტორი და ხშირად სსო აღიქმება პოლიტიზირებულ ოპოზიციურ ძალად ("უოჩ დოგ") ფუნქციებიდან გამომდინარე). ამას ისიც ერთვის, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ ხდება ქველმოქმედების წახალისება.

შედეგად ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების სოციალური პარტნიორობის მაგალითები არ გვხვდება. ამ მხრივ იმაზე ბევრად უფრო მძიმე სურათია, რასაც სახელმწიფოსა და სსო-თა შორის ურთიერთობისას ვხედავთ.

3. თემის განვითარების პროგრამები და მიღებობები

3.1. მეთოდოლოგია

მიუხედავად საქმიანობის მრავალფეროვნებისა და განსხვავებული მიდგომებისა, ორგნიზაციების, რომელიც ახორციელებს თემის მობილიზების პროექტებს, აერთიანებთ საერთო ხედვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა თანამიმდევრობით უნდა წარიმართოს საქმიანობა. პროექტების განხორციელების პროცესში შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

- * სამიზნე თემის/სოფლის შერჩევა,
- * ადგილზე გასვლა და საკითხის შესწავლა - სიტუაციის ანალიზი,
- * სიტუაციურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზი - საკითხის იდენტიფიცირება,
- * შესაბამისი მასალების - ანგარიშებისა და რუკების მომზადება,

- * საინფორმაციო შეხვედრები თემთან (სოფლის კრებები და სხვ.) - საკითხზე ორიენტირებული დიალოგს იძინირება,
- * საინიციატივო ჯგუფების (სოფლის კომიტეტების) ფორმირება,
- * თემის წარმომადგენლებთან მუშაობა - სამოქმედო გეგმის შემუშავება,
- * თემის მოსახლეობის ინფორმირება (პიულეტენი, ინდივიდუალური შეხვედრები, ჯგუფური შეხვედრები),
- * საინიციატივო ჯგუფის გაძლიერება (ტრენინგები, კონსულტაციები),
- * საინიციატივო ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება თემის მოსახლეობის მონაწილეობით,
- * მედიასაშუალებების აქტიური ინფორმირება და ჩართვა საკითხის ლობირებაში,
- * კონკრეტულ ქმედებათა პილოტირება თემის აქტიური მონაწილეობით,
- * პროგრამის მონიტორინგი და შეფასება,
- * ზრუნვა თემის მდგრად განვითარებაზე (სასწავლო ტურები და სხვ.) - გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება.

საშუალოდ, არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე მთლიანი პროცესი თითოეული სოფლისათვის დაახლოებით 3-5 წელს გრძელდება.

3.2. საქმიანობის ფორმები

სათემო განვითარების მიმართულებით საქართველოს სსო-თა მიერ განხორციელებული აქტივობები საკმაოდ მრავალფეროვანია. საქმიანობები ხორციელდება როგორც უმუშალოდ თემებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც და დამხმარე საქმიანობის მთელი ციკლს მოიცავს.

- * **კანონმდებლობისა და შესაბამისი გარემოს გაუმჯობესება.** ამავე დროს მიმდინარეობს თემ-სა და თვითმმართველობით ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა (კანონთა და მარეგულირებელი აქტების პაკეტების მომზადება და ლობირება; პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება; სხვადასხვა სოციალური ჯგუფის უფლებებისა და ინტერესების ლობირება და ადვოკატირება).
- * **თემების ინფორმირება.** საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემა, საორიენტაციო სიახლეების მინოდება (ინფორმირების ხარისხისა და რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდა: მ.შ. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის გაცნობა, ინტერნეტ-რესურსცენტრი და ა.შ.).
- * **ახალი საინიციატივო ჯგუფების გამოვლენა.** (ადგილობრივი ლიდერების საინიციატივო ჯგუფებისა და რეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა; სათემო და სოფლის განვითარების პროგრამები).
- * **ადგილობრივი უნარების განვითარება.** თემის

გაძლიერება მათი ინფორმატულის განვითარების გზით (ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარების პროგრამა; არაფორმალური ჯგუფების განვითარება და ინსტიტუციინალიზაცია; თემის ლიდერების მომზადება უნარ-ჩვევებში).

- * **ტრენინგ-სემინარები.** ლიდერთა გამოკვეთა და მათი შესაძლებლებების განვითარება (ტრენინგების, სემინარებისა და კონსულტირების პროგრამები).

- * **განვითარების გეგმების შედგენა.** (სოფლის განვითარების გრძელვადიანი გეგმები; საორმენ ცენტრების ჩამოყალიბება ორგანიზაციებისა და პროგრამების რესურსცენტრებად).

- * **საგანმანათლებლო პროგრამები.** არაფორმალური განათლების (მ.შ. სამოქალაქო და სახელობრივი განათლება), კულტურულ-სპორტული და საგანმანათლებლო პროგრამები.

- * **კონსულტაციები.** სოციალური მომსახურების სფეროს (მაგ., მოხუცთა თავშესაფრები, ბავშვთა კვება და სხვა ტიპის სარეაბილიტაციო მომსახურება) განვითარება.

- * **განვითარების პროგრამების მხარდაჭერა და მიკროგრანტები.** სოციალური მეწარმეობის განვითარების გზით შემოსავლების გენერირება და თემებში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (მიკროგრანტების პროგრამები; სოციალური საწარმოების შექმნა; სოციალური სერვისების ინსტიტუციონალიზაცია).

3.3. პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილება

საქმიანობის პროცესში დაგროვდა, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოცდილება. სათემო განვითარების საკითხით დაკავებული ორგანიზაციები ნეგატიური შედეგების ანალიზის გზით ცდილობენ გააუმჯობესონ შემდგომი ცალკეული აქტივობებისა თუ მთელი პროგრამების ეფექტურობა.

წარმატებულ მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ:

- * **პროექტები,** რომელთა დასრულების შემდეგ კონკრეტულ თემთან მუშაობა სხვა ორგანიზაციებმა გააგრძელებს.
- * **საქმიანობა,** რომელმაც წარმოაჩინა მოტივირებული, აქტიური და სოფლის ნდობით აღჭურვილი პირების გამოვლენა, რომლებმაც თემის წინაშე რეალურად არსებული პრობლემების გადაწყვეტა დაიწყებს.
- * **სათემო აქტივობა,** სადაც შექმნილმა სათემო ორგანიზაციებმა შემდეგ დამოუკიდებლად გააგრძელეს საქმიანობა და მოახერხეს საქმიანობებისათვის აუცილებელი ფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან (მუნიციპალური ბიუჯეტი დონორი ორგანიზაციების პროგრამები).

ნეგატიური გამოცდილების მაგალითები, რამაც ცალკეული პროექტის უშედეგოდ დასრულება ან შეწყვეტა გამოიწვია:

- * როცა თემში შესვლა სტიქიურად, მიდგომების შემუშავებისა და მეთოდოლოგიის გარეშე განხორციელდა და არც ადგილობრივი მოსახლეობა იყო ინფორმირებული პროექტის შესახებ, რის შედეგადაც თემის მოსახლეობის დიდი ნაწილი გულგრილად მოეკიდა პროექტის განხორციელებას.
- * როცა სათანადოდ არ იქნა შეფასებული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და პარტნიორთა შესაძლებლობები, არ ჩატარდა სათანადო ახსნა-განმარტება თემის მცხოვრებთავის.
- * როცა არასწორად იქნენ შერჩეული ლიდერები, რამაც საინიციატივო ჯგუფის საზოგადოები-საგან გაუცხოება გამოიწვია.

4. რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სუსტია ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტების გაძლიერების ნინაპირობები, სსო-ებმა უნდა გააქტიურონ მუშაობა მოსახლეობის ინფორმირების, ახალი საინიციატივო ჯგუფების გამოვლენის, უნარ-ჩევევების გაძლიერების გზით ძველი და არსებული სათემო ჯგუფების განვითარებისა და კონკრეტული საკითხების გადაჭრის წარმატებული მაგალითების შექმნის მიმართულებით.

თემის მობილიზებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები შეეხება:

1. აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებული ორგანიზაციების თანამშრომლობის გაძლიერებას,
2. საზოგადოების ჩართულობის პროცესის ხელშეწყობას,
3. სათემო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების ორგანიზაციულ გაძლიერებას,
4. არსებულ სიტუაციაზე გავლენის ხარისხის ზრდას.

1. თანამშრომლობის გაძლიერება

დღეისათვის, სულ უფრო და უფრო მეტი სსო აცნობიერებს ცვლილებებისა და მსგავსი ძირებით ღირებულებების გარშემო კონსოლიდაციის აუცილებლობას. იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა სწორი რეაგირება მოახდინონ ახალ გამოწვევებზე, აუცილებლი:

- * ჯერ თავად სსო-ები შეთანხმდნენ იმ ძირითად ღირებულებებზე, რომლებიც გააერთიანებს მათ საქმიანობის პროცესში,

* უნდა გაძლიერდეს ქსელური მუშაობა სსო-თა შორის და გაუმჯობესდეს პროცესის დემოკრატიულობის ხარისხი,

* ქსელების საშუალებით სსო-ებმა თავიანთი ხედვები მოსახლეობის რაც შეიძლება დიდ ნაწილს უნდა გააცნონ და ხელი შეუწყონ ქეყანაში პოზიტიური ცვლილებებისათვის ახალი საზოგადოებრივი დაკვეთების ფორმირების პროცესს.

2. ჩართულობის პროცესის ხელშეწყობა

სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლებისათვის აუცილებელია სამოქალაქო აქტივობაში წაკულების მქონე სოციალური ჯგუფების მხარდაჭერა:

- * დემოკრატიული ღირებულებების გასავრცელებლად სამოქალაქო განათლების დიდი პროგრამების განხორციელება,
- * ადვოკატირების (მათ შორის მედიასთან ერთად) პროგრამებში მონაწილეობა,
- * სწავლების პროცესთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფასილიტაციასა და პროცესის ხელშეწყობას,
- * აუცილებელია მოსახლეობასთან დიალოგის დაწყება და პრობლემის წარმოქმნის მიზნისა და მისი გამოსწორების გზების მოძიების მიზნით;
- * გასათვალისწინებელია ადგილობრივი თემების პრიორიტეტთა და მენტალობაში არსებული განსხვავებები (რაც მუშაობს ერთ სოფელში, შესაძლოა, მიუღებელი იყოს მეორისათვის).

3. ორგანიზაციული გაძლიერება

ადგილობრივი ჯგუფების ორგანიზაციული უნარების ზრდა უნდა მოხდეს ადამიანური რესურსების და ფინანსური მდგრადობის კორელირებით:

- * სსო-სათვის სოციალური მეწარმეობის წახალისება,
- * თანამედროვე ორგანიზაციული სტანდარტების შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება,
- * ორგანიზაციული განვითარების ტრენინგების ციკლები,
- * სათემო პროექტების ხელმისაწვდომი საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა,
- * განვითარებული თემის კრიტერიუმების ინდიკატორების შემუშავება,
- * შეალედური და საბოლოო შეფასების სისტემის შემუშავება,
- * საგანმანათლებლო საქმიანობის გაძლიერება თემის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად,
- * ჯგუფური ბიზნესის დასაწყებად დამარტინის წახალისება.

4. გავლენის ზრდა

სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე საზოგადოების გავლენის ზრდის მიზნით ვეცადოთ, სწრაფი გავლენა მოვახდინოთ სფეროებზე, სადაც ადვილად შესაძლებელია გავლენის მიღწევა (ნაკლებად პოლიტიზებული სფეროები: კულტურა, სპორტი) და მდგრადი ზემოქმედების მექანიზმები შევიმუშაოთ სფეროებზე, სადაც უკიდურესად რთულია/გაძნელებულია გავლენის მოხდენა (ჯანდაცვის, განათლების, სოციალური პოლიტიკის ადაპტაცია ქვეყნის საჭიროებებთან):

- * არსებული ხედვების გასავრცელებლად საინფორმაციო კამპანიების წარმოება,
- * საგანმანათლებლო საქმიანობა - სამოქალაქო განათლების პროგრამები,
- * ფანდრაიზინგის სისტემების გაძლიერება

დაგეგმილი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით,

- * გამოცდილების გაზიარება სათემო თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის,
- * თვითმმართველობასთან მუშაობის სტრატეგიის შემუშავება,
- * მუნიციპალური ბიუჯეტებიდან სამოქალაქო აქტივობის დაფინანსების ლობირება/ადვოკატირება,
- * საგანმანათლებლო საქმიანობის გაძლიერება მოსახლეობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩასართველად.

[ზოგადი დასკვნა - მოწოდება]

- * საზოგადოებაში არსებული აპათიის და ნიპოლიზმის დაძლევა.

ტერმინთა განმარტებები

არაფორმალური განათლება (Non-formal Education)

გულისხმობს ორგანიზებულ და მიზანმიმართულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ფორმალური განათლების (მაგ.: სკოლა, უნივერსიტეტი) მილმა. ასეთი ღონისძიებებია მაგ.: ტრენინგები, სხვადასხვა კურსები ან თუნდაც, მეცადინეობა რეპეტიტორთან. არაფორმალური განათლების პროცესში ყველა ასაკის ადამიანი შეიძლება იყოს ჩართული. თავად საგანმანათლებლო ღონისძიება შეიძლება იყოს სხვადასხვა ხანგრძლივობის და არ არის აუცილებელი სრულდებოდეს რაიმე სახის საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემით.

არაოფიციალური განათლება (Informal Education)

მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესი, რომლის დროსაც ყველა ადამიანი ითვისებს დამოკიდებულებებს, ფასეულობებს, იძნეს უნარ-ჩვევებსა და ცოდნას საკუთარი გარემოცვის განმანათლებელი გავლენის და რესურსების, აგრეთვე, ყოველდღიური გამოცდილების მეშვეობით (მაგალითად ოჯახი, მეზობლები, ბაზარი, ბიბლიოთეკა, მასმედია, სამუშაო, თამაში და სხვა).

წყარო: ფლაუერსი, ნენსი. კომპასითო: სახელმძღვ. ადამიანის უფლებათა განათლ. სფეროში ბავშვებისათვის/რედ. და თანაავტ. ნენსი ფლაუერსი; სახელმძღვ. მომზადებაში მონაწილეობდნენ: მარია ემილია ბრედერიდე-სანტოსი [და სხვ.]; საბოლოო რედ. უუუანა სელენი; ილ. დაინა ნეგი; [მთარმგნ.: თამარ მიქაელი, ანა გეგეტკორი; რედ. დავით გელაშვილი]- [თბ., 2009]

ადვოკატირება (Advocacy)

მოქალაქეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვისკენ მიმართული აქტივობები (აქციები, კამპანიები და ღონისძიებები), რომლებიც მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე ზემოქმედების მოხდენას კონკრეტული საკითხის ან პრობლემის გადასაჭრელად.

წყარო: კავშირ „რეას“ სპეციალისტთა ადაპტირებული განმარტება

განვითარების თავისებურებების მქონე პირი

(Person with Developmental Disabilities)

ანუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (შშმპ)

წყარო: კავშირი „რეას“ სპეციალისტთა ადაპტირებული განმარტება

განვითარების პროექტი (Development Project)

განვითარების პროექტი – ესაა პროექტი, რომლის მიზანია, მხარი დაუჭიროს ქვეყნის, რეგიონის, მუნიციპალიტეტის, სოფლის თუ თემის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით.

დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი (IDP Collective centre)

დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნენ განსახლებული დევნილები, ამ ობიექტში საცხოვრებელი ფართების დევნილი ოჯახებისათვის, კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთრებაში გადაცემის ღონისძიებების დაწყებამდე/შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

წყარო: საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ



დეცენტრალიზაცია (Decentralization)



საჯარო ხელისუფლების გადაცემა ცენტრიდან პერიფერიებზე. უზრუნველყოფს ქმედების არჩევის თავისუფლებას, გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურობას საკუთარი პასუხისმგებლობით. დეცენტრალიზაციით ხდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის სწორედ იმ საკითხების გადაცემა, რომელიც წარმატებით გადაწყდება მათ მიერვე დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. დეცენტრალიზაციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ინდიუდუალური თვითშემოქმედებისა და დამოუკიდებელი ინიციატივის უზრუნველყოფა და წახალისება, ხოლო მისი მიზანია არა ხელისუფლების შებოჭვა და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესუსტება, არამედ სოციალური ფორმების სიჯანსაღე და სიმყარე, სტაბილურობის უზრუნველყოფა.

წყარო: ყურაშვილი კ. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაციის პრობლემები საქართველოში //აღმანახი №18,— საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,—2003,

ზრდასრულთა განათლება (Adult Education)



ყველა სახის მიზანმიმართული ფორმალური და არაფორმალური სწავლებაა. ის ხორციელდება მუდმივად სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპზე ცოდნის, კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის.

ზრდასრულთა განათლება, ისევე როგორც “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა”, მოიცავს ფორმალური, არაფორმალური და სპონტანური სწავლების (არაოფიციალური განათლების) ყველა დონეს, რომელთა საშუალებით ზრდასრულები ავითარებენ საკუთარ უნარებს, ამდიდრებენ საკუთარ ცოდნას, სრულყოფენ ტექნიკურ და პროფესიულ კვალიფიკაციებს ან იყენებენ ახალი მიმართულებით საკუთარი (დასაქმება, შემოსავლების ზრდა) და საზოგადოების მოთხოვნების დასაკამონილებლად, სოციალური გაუცხოების თავიდან ასაცილებლად (ლიტერალური ზრდასრულთა განათლება).

ზრდასრულთა განათლება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში დამატებით აღიმება, როგორც ეკონომიკის სტაბილიზაციის, დემოკრატიული ღირებულებებისა და სოციალური გარემოს ჩამოყალიბების საშუალება.

წყარო: ევროკომისის მიერ მიღებული და OECD - Organisation for Economic Co-operation and Development მიერ ადაპტირებული განმარტება - Education and Training Policy - Promoting Adult Learning, OECD 2005).


თანამონანილეობითი სწავლება და ქმედება (PLA – Participatory learning and action =RRA+PRA)

მუდმივად განახლებადი მეთოდებისა და მიდგომების ნაკრები, რომელიც, ერთი მხრივ, გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად არის მზად თემი, მონაწილეობა მიღლის საკუთარი პრობლემების მოგვარებაში, და მეორე მხრივ, თემს საშუალებას აძლევს, გააანალიზოს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება და არსებული რეალური გარემო, შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, განსაზღვროს პრიორიტეტები, მიღლის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და განახორციელოს იგი.

წყარო: პავლე დოლიძე - „სათემო მობილიზება – მეთოდური მითითებები“, „ელგანას“ გამოცემა, თბილისი, 2007.

თემის განვითარება (community development)

სოციალური ცვლილების პროცესი, რომელიც მომდინარეობს კონკრეტულ საცხოვრებელ გარემოში მცხოვრებთა გამცდილებებისა და საჭიროებებიდან; მოიცავს თითოეული ინდივიდის ღირსებათა, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოვლენასა და მობილიზებას; უპირატესობას ანიჭებს კოლექტიურ ქმედებას, როგორც პიროვნული ზრდისა და სოციალური განვითარების ყველაზე დინამიკურ გზას; უზრუნველყოფს ხალხის კონტროლსა და ჩართულობას იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.



თემის თანამონაწილეობითი
შეფასების მეთოდი

**(PRA - Participatory
rural Appraisal),**

თემის საჭიროებების
სწრაფი შეფასება
(RRA – Rapid Rural
appraisal)

თემის პრობლემების
თანამონაწილეობითი შეფასება
(PRA)

თემზე დაფუძნებული
სოციალური სერვისი
(Community Based Social
Service))

ინსტიტუციონალიზაცია
(Institutionalization)

ინსტიტუციური მდგრადობა
(Institutional Sustainability)

ინტეგრაცია
(Integration)

იძულებით გადაადგილებული
პირი

**(IDP - Internally displaced
people)**

თანამონაწილეობითი შეფასება გულისხმობს თემის სიტუაციის სწრაფ შესწავლას, მოსახლეობის გაუქტიურებას საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად, პრაქტიკული პროექტების ჩამოყალიბებას და განხორციელებას. ამ მეთოდის მიზანი არ არის მზა გადაწყვეტილებების ან ჰუმანიტარული დახმარების შეტანა, იგი გულისხმობს თემთან დაახლოებას, ერთად ფიქრსა და მუშაობას, ურთიერთგაერთის საფუძველზე კონკრეტული ქმედებების დაგეგმვას, რომლის განმახორციელებელი თავად თემია.

წყარო: პავლე დოლიძე - „სათემო მობილიზება — მეთოდური მითითებები“, „ელექანას“ გამოცემა, თბილისი, 2007.



შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეთოდების ნაკრები, რომლის გამოყენება მოსახლეობისაგან მცირე დროში ზუსტი, სანდო ინფორმაციის მიღებისა და ანალიზისაშე განვითარებას იძლევა.

წყარო: პავლე დოლიძე - „სათემო მობილიზება — მეთოდური მითითებები“, „ელექანას“ გამოცემა, თბილისი, 2007.

როგორც პროცესი, ემყარება თემის საჭიროებების სწრაფი შეფასების (RRA) დროს მოპოვებულ ინფორმაციას, და სოფლის ცხოვრების რეალური სურათის დანახვასთან ერთად გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ინფორმაციის ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წყარო: პავლე დოლიძე - „სათემო მობილიზება — მეთოდური მითითებები“, „ელექანას“ გამოცემა, თბილისი, 2007.

თემის წევრებისთვის განკუთვნილი და თემის რესურსზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების ტიპი ან მომსახურებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილებას და განვითარებას, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარ თავზე ზრუნვა და სხვა ადამიანებზე არიან დამოკიდებული.

ტერმინი ფართოდ გამოიყენება სოციალურ მეცნიერებაში და აღნიშნავს რაიმეს (მაგალითად, კონცეფციის, სოციალური როლის, კონკრეტული ფასეულობის ან ქეცეის ფორმის) შერწყმის და ნორმად/წესად დამკვიდრების პროცესს სოციალურ სისტემასა თუ საზოგადოებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის უნარი, განსაზღვროს შესატყვისი მისია, განახორციელოს მართვის კარგი პრაქტიკა, მოახდინოს შემოსავლების წყაროების გამრავალფეროვნება და უზრუნველყოს ხარისხიანი, გრძელვადიანი და უწყვეტი მომსახურების მიწოდება და საქმიანობა სამიზნე ჯგუფებისათვის.

პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაერთიანებას, გამთლიანებას, ერთიანობის ჩამოყალიბებას ან ალაგენას.

იძულებით გადაადგილებულ პირად/დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეების არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, და-ეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადა-ადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრძესის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

წყარო: საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ

ლიდერი (Leader)

პიროვნება, რომელსაც ქალაქის/სოფლის/თემის მცხოვრებლები ირჩევენ თავიანთი ინიციატივების/პრობლემების ადგილობრივ თვითმმართველობაში წარსადგენად. არჩევის კრიტერიუმია: კონკრეტული ქალაქის/სოფლის/თემის მცხოვრები, ავტორიტეტული, მიზანდასახული, აქტიური, კომუნიკაბელური.

ლობირება (Lobbying)

კანონიერი საშუალება, რომლითაც მოქალაქეთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები და სხვადასხვა ინტერესების ჯგუფები ცდილობენ გავლენის მოხდენას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე.

წყარო: კავშირ „რეას“ „სპეციალისტების ადაპტირებულიგანმარტება“

მდგრადი განვითარება (Sustainable Development)

კონცეფცია გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავრია, სანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანხმად, დღევანდებლის მოხოვნილები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა

(Lifelong Learning)

ეს არის განათლების მიღების შანსი მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების სრულყოფის მიზნით, როგორც პიროვნული, სამოქალაქო და სოციალური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით, ასევე დასაქმებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით. დღეისათვის უწყვეტი სწავლა პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების მთავარი პრინციპია, რომლის მიზანია, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობა და ერის კონკურენტუნარიანობის ზრდა, ასევე კადრებით უზრუნველყოფა და სოციალური ერთიანობა.

წყარო: ევროკომისიის 2000 წლის „მემორანდუმი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესახებ“ - Commission of the European Communities, Brussels, 30.10.2000, SEC(2000) 1832 – A Memorandum on Lifelong Learning, 2000.

მიკრო საინტეგრაციო ცენტრი (Micro integration centre)

მცირე მოცულობის „დღის ცენტრი“, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის მომზადება მათთვის სათანადო ცოდნის მიწოდებისა და უნარ-ჩვევების განვითარების გზით.

მოქალაქეთა ჩართულობა/ მონაწილეობა (Civic Participation/ Involvement)

საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებითა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია, იყოს ინფორმირებული, მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მონიტორინგი გაუწიოს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას.

მულტიდისციპლინური მიდგრმა (multidisciplinary approach)

სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მონაწილეობა და ურთიერთ-ქმედება ერთიან პროცესში, რაც განაპირობებს მის კომპლექსურობას და ოპტიმიზაციას.

ნადი (მამითადი)

შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც აგებულია ურთიერთდახმარების შრომა-მიგებით პრინციპზე. ნადი იწვევდნენ, როგორც მიწის სამუშაოების (ხვნა, ბარვა, თოხნა და სხვა), ისე სახლის მშენებლობისა და სხვა ერთდროული შრომატევადი სამუშაოების დროს.

წყარო: ჯალაბაძე გ., მინათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963; ბარბაველიძე ვ. ბ., ველის მამითა დრევნერუსულის სამუშაოები, «Советская этнография», 1949, №1; ჯალაბაძე გ., ქსე ტ. 7, გვ. 285, თბ., 1984



პანდუსი (rampant)

შენობებსა და საზოგადოებრივ ადგილებში გადაადგილების გასაადვილებლად კიბეების სანაცვლოდ ან მათ გვერდზე დამონტაჟებული დახრილი გადასასვლელი/ბილიკი.

Res publica

(ლათ.) - საერთო საქმე/ სახალხო საქმე. წინამდებარე პუბლიკაციაში ტერმინი გამოიყენება იმის საილუსტრაციოდ, რომ განვითარება თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია, ხოლო, თავის მხრივ, თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი საერთო საქმისადმი პასუხისმგებლობის განცდა შეიძლება იყოს.

სათემო ფონდი (Community Foundation)

წარმოადგენს დამოუკიდებელ, რეგისტრირებულ ფილანტროპიულ ინსტიტუტს, რომელიც განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალს, მაგალითად უბანს, სოფელს, ქალაქს, რეგიონს ან სხვა ტიპის ადმინისტრაციულ ერთეულს ემსახურება. სფ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის შემოწირულობების მიერთობა თავის მიერთობა ინვესტიციებისა და გრანტების გაცემის ინსტრუმენტს და საშუალებას წარმოადგენს, რაც უშუალოდ კონკრეტული გეოგრაფიული არეალის სოციალური პირობების გაუქმდესებას ემსახურება. სათემო ფონდის სახსრებს ძირითადად ადგილობრივი თემიდან, კერძოდ სხვადასხვა მოვალეობის მიერთობა და განვითარების მიზანის მიერთობა და ინდივიდუალური პირებისაგან გაღებული შემოწირულობები ქმნის. სათემო ფონდი ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო პრატიკა გახლავთ და ჯერჯერობით მისი ანალოგი საქართველოში არ არსებობს.

წყარო: სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თემის განვითარებაზე მომუშავე ექსპერტების აღმართება

სათემო მობილიზაცია (Community Mobilization)

პროცესი, რომელიც მიმართულია თემის მოსახლეობის გააქტიურებისკენ, რათა მათ თვითონ შეძლონ აქტუალური პრობლემების თუ საკითხების მოვარება სოციალური, გარემოსდაცვითი და სხვ. სფეროდან და გაატარონ სასიკეთო ცვლილებები.

წყარო: თემის განვითარების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შეთანხმებული განმარტება

სამკურნალო პედაგოგიკა (Curative pedagogics)

ფართოდ გამოიყენება განვითარების პრობლემის მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობისას. იგი მოიცავს ინდივიდუალური პედაგოგიური და სამკურნალო მიდგომების ერთობლიობას, რომელშიც წამყვანი ადგილი აღზრდას უკავია. მისი უმთავრესი პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ზრუნვაზე და კეთილგანწყობაზე დაფუძნებული ურთიერთობების აგება და მათი აღქმა განვითრების სუბიექტებად და არა დახმარების ობიექტებად.

წყარო: კავშირ „რეას“ სპეციალისტების აღაბჭირებული განმარტება



სოციალური საწარმო (Social Enterprise)



არის ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით. განსხვავებით ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, საწარმოსაგან, სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური და სოციალური. აქედან უმთავრესი სოციალურია. ეკონომიკური მიზანი გახლავთ მხოლოდ საშუალება მეორე უფრო მნიშვნელოვანი — სოციალური მიზნის მისაღწევად.

წყარო: სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სოციალურ მეწარმეობაზე მომუშავე ესპერტებისა და პროფესიული განმარტება

სოციალური კაპიტალი (Social Capital)



მოიცავს სოციალური ორგანიზაციის - პრინციპების, სტრუქტურების, ნორმების - იმ თავისებურებებს, რომელთაც შეუძლიათ განამტკიცონ საზოგადოების მიერ განსხვრციელებულ კოორდინირებულ მოქმედებათა ეფექტიანობა. სოციალური კაპიტალი ბადებს თანამშრომლობისკენ ლტიოლვას. მისი ფორმების ნაირსახეობას წარმოადგენს ე. წ. „მორალური რესურსები“, რომელთა მოცულობა მოხმარების პროცესში კი არ მცირდება, არამედ იზრდება; ეს რესურსები მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოიწურება, თუკი ისინი არ გამოიყენება.

წყარო: დემორატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა : სატრენინგო მასალები / შემდგ.: მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოლანაშვილი, დიანა ლეჟავადა სხვ.- თბ., 2007

ურბანიზაცია

(ლათ. urbs - ქალაქი)- ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთული შერწყმა, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. უ-ის პროცესისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა უპირატესად მიგრაციის ხარჯზე, ამიტომაც მის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება სტატისტიკური ზომა ქვეყნის მოსახლეობის წილისა, რომელიც ცხოვრობს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში.

წყარო: სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი—ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ.: ლოგის პრესი, 2004 - 351გვ.; 20სმ.- (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2: [ფ.ა.]

ფასილიტაცია (Facilitation)

პროცესის ხელშეწყობა, დახმარება. ფართო გაგებით — ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული ინდივიდების დახმარება მათი საქმიანობის ორგანიზებასა და გადაწყვეტილების მიღებაში, რომლის მიზანია, კონსენსუსის გზით “გააიოლოს” ჯგუფის შიგნით ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა საკითხების გადასაჭრელად. პროცესს წარმართვს ფასილიტატორი (“ნეიტრალური შუამავალი”), რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა ჩართულობას, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების დაფიქსირება-სისტემატიზაციას და შეხვედრის წესებისა თუ პროცედურების დაცვას.

წყარო: თემის განვითარების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შეთანხმებულიგანმარტება

ფილანთოპია

(ბერძნ. *philanthropia* კაცთმოყვარეობა, *phileo* მიყვარს, *anthropos* – ადამიანი) – ქველმოქმედება, გაჭირვებულისთვის დახმარება

წყარო: მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] – თბ., 2004 – 483გვ.; ცხრ.; 24ხმ. – (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). – ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია (Psychosocial Rehabilitation)

პროცესი, რომლის მეშვეობითაც ფსიქიური დარღვევების ან ფსიქოლოგიური სირთულეების მქონე ადამიანებს შესაძლებლობა ეძლევათ, საზოგადოებაში დამოუკიდებელი ფუნქციონირებისთვის აუკილებელ ოპტიმალურ დონეს მიაღწიონ.

წყარო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენება: “ფსიქიური ჯანმრთელობა- ახლებულიგააზრება, ახალი მედი” – 2001 წ.



შეტყოფის მოვალეობები

